

ოთარ ჭილაძე  
OTAR CHILADZE



რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო  
სიმბოლოებსა და სახელმწიფო  
სიმბოლოებზე  
OPINIONS CONCERNING  
STATE SYMBOLS

3


ოთარ ჭილაძე  
OTAR CHILADZE



წინ მარადისობაა!  
ETERNITY AHEAD!

7

სარა ბარნაველი  
SARA BARNAVELI



სვანეთის დროშა „ლომი“  
THE FLAG OF SVANETI - „LOMI“

8



სახელმწიფო დროშების სახესხვაობები  
VARIETIES OF STATE FLAGS

12

იოვან იონოვსკი  
JOVAN JONOVSKI



რესპუბლიკა მაკედონიის ტერიტორიული  
ჰერალდიკის სისტემა  
TERRITORIAL HERALDRY IN THE REPUBLIC OF  
MACEDONIA AND MACEDONIAN  
TERRITORIAL HERALDIC SYSTEM

24

მაია პატარიძე  
MAIA PATARIDZE



ოთხფურცელა ყვავილი თუ ბოლნური ჯვარი?  
QUATREFOIL OR BOLNURI CROSS?

32

როლანდ სპანდერაშვილი  
ირაკლი ფაღავა  
ROLAND SPANDERASHVILI  
IRAKLI PAGHAVA



კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის ქარ-  
თული ეკლესიის ასაგებად ემიტირებული ლატარიის  
ბილეთი  
THE CONSTRUCTION OF THE CONSTANTINOPLE  
GEORGIAN CHURCH OF OUR LADY OF LOURDES

37


დავით კლდიაშვილი  
DAVID KLDIASHVILI



ქართული გერბები XVI საუკუნის ევროპულ  
წყაროებში  
GEORGIAN COATS OF ARMS  
IN EUROPEAN SOURCES OF XVI CENTURY

44

ზაქარია კიკნაძე  
ZACHARY KIKNADZE



„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმბოლიკა და აკადემიური სამოსელი“  
"THE SYMBOLS AND ACADEMIC DRESSES OF ILIA STATE UNIVERSITY"

47

ირაკლი ფალავა  
IRAKLI PAGHAVA



ქართული საბაგილო მედალი  
(საბჭოთა პერიოდი)  
GEORGIAN TABLETOP MEDALS (THE SOVIET PERIOD)

51



ქალაქ ფოთის გერბის პროექტი  
THE COAT OF ARMS OF POTI - PROJECT

69

ნიკო ჯავახიშვილი  
NIKO JAVAKHISHVILI



საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის  
კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917 წ.)  
GEORGIAN STATE FLAG BY THE VISION OF THE  
PART OF GEORGIAN SOCIETY IN 1917

76



საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს  
სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“  
ORGANIC LAW OF GEORGIA ON STATE SYMBOLS

79



საქართველოს კანონი „სახელმწიფო  
მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“  
THE STATE LAW OF GEORGIA ON SYMBOLS  
OF STATE IMPORTANCE

89



საქართველოს მთავრობის დადგენილება  
საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად  
სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების  
აღმართვის, გამოყენისა და გამოსახვის წესის შესახებ  
THE RESOLUTION ON USAGE OF SYMBOLS  
OF STATE IMPORTANCE

96



საჯარო დაწესებულებების სიმბოლოები  
THE SYMBOLS OF NATIONAL INSTITUTIONS

108

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი მამუკა გონგაძე  
მთავარი რედაქტორი დავით ჩხეიძე  
სარედაქციო კოლეგია: მირიან კიკნაძე, ზაქარია კიკნაძე, თამაზ მეღვინაშვილი, ვიქტორია სარჯველაძე  
ტექნიკური უზრუნველყოფა სანდრო რუხაძე  
დიზაინი: ინგა გაბაშვილი; დამკაბადონებელი ლია მოსეშვილი  
გამომცემელი - საქართველოს პარლამენტთან არსებული პერალდიკის სახელმწიფო საბჭო  
[www.heraldika.ge](http://www.heraldika.ge), e-mail: [heraldika@parliament.ge](mailto:heraldika@parliament.ge)

© საავტორო უფლებები დაცულია. სტატიაში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ISSN 2298-0261

# რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით

სახელმწიფო სიმბოლიკა საუკუნეების მანძილზე იქმნება და როგორც უნდა გავზარდოთ კონკურსით გათვალისწინებული ვადები, მაინც ნაჩქარევად, ძალდატანებით და ხელოვნურად მოხდება ის, რაც სინამდვილეში, ბუნების მოვლენასავით, თითქოს თავისთავად ხდება...

ამერიკელი „რკინის ლედის“ ამასნიანდელ-მა საპროგრამო გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსეთის განსაკუთრებული უფლებამოსილება ეგრეთ წოდებულ „ესენგეს“ ფარგლებში, რაც მეტად დამაფიქრებელია და განსაკუთრებით „ესენგეს“ ნევრი ქვეყნებისათვის, რასაკვირველია, თუკი ისინი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას სერიოზულად აპირებენ. ჩვენ კი, თუნდაც სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრები, ჯერჯერობით იმაზე ვდავობთ, ახალი ჰიმნის შექმნისას ტექსტს უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა თუ მელოდიას...

მოკლედ, ჯერ ისიც არ ვიცით, რა გვინდა: მრავალჭირნახული, მრავალგზის პატივყარილი, მაგრამ დღევანდლამდე მაინც ღირსეულად მოღწეული ქვეყნის ისტორიული მონაპოვრის აღდგენა, თუ სრულიად ახალი, „ესენგეს“ შესაფერი სახელმწიფოს შექმნა.


ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია, საერთოდ, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის საქმიანობის გასარკვევადაც - ჯერ კიდევ ამოუწურავი, მრავალმხრივი და მრავალნაირი მასალაა მოსაძიებელი, მოსანესრიგებელი და, რა თქმა უნდა, შესასწავლიც, რის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია ესოდენ სერიოზული და რთული გადანყვეტილების მიღება, გნებავთ, არჩევანის გაკეთება არსებულსა და არარსებულს შორის. ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, მით უფრო პოეტი და მხატვარი, ვერ იტყვის დაბეჯითებით, თუ როგორი სახელმწიფოებრივი სიმბოლოები შეესაბამება ისეთ ქვეყანას, როგორიც დღევანდელი საქართველოა. ანდა, როგორადაც წარმოგვიდგენია ის ჩვენს ფიქრებსა და ოცნებებში. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კონკურსების გამოცხადებითა და საკონკურსო მასალის საჯარო განხილვებით ეს არ მიიღწევა. პირიქით, ამ ნიადაგზე შეიძლება ბევრი წინასწარ ძნელად გასათვალისწინებელი დაბრკოლებაც წარმოიქმნას. ასევე, ხელის შეშლის მეტს არაფერს მოგვიტანს „საქართველოს

სახელმწიფოს დღევანდელი რეალობისა და მრავალეროვნულობის“ გათვალისწინება.

ჩემი აზრით, სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის სამუშაო თეზისად თავიდანვე ის ანბანური ჭეშმარიტება უნდა ქცეულიყო, რომლის თანახმადაც საქართველო დიდი ისტორიული წარსულის მემკვიდრეა, გუშინდელის ლოგიკური გაგრძელებაა და არა დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ჩანასახი. რაც მთავარია, არაფრით არ შეიძლება, ლამის მარადისობის ნიალიდან გამოღწეული ქვეყნის მისია, მისი მოვალეობა და დანიშნულება დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, დაიყვანებოდეს თუნდაც ხიზანთა თავშესაფრის უკეთილშობილეს ფუნქციამდე. რაც არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო, არც ერთ ჩვენზე არანაკლებ სტუმართმოყვარე და ჩვენზე გაცილებით მრავალეროვნულ სახელმწიფოში.

ახლავე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი „მრავალეროვნულობა“ მაინც პოლიტიკური ძალდატანების შედეგია და არა ბუნებრივი, ნებაყოფლობითი მიგრაციისა. რუსეთის იმპერიული კანცელარია ყოველთვის დაბეჯითებით ცდილობდა საქართველოში „მრავალეროვნულობის“ ცნების დანერგვას, რადგან ესეც საქართველოს დაპყრობის, გადაგვარებისა და მითვისების საშუალება იყო მისთვის და არა უპოვართა და უსამშობლოთა მიმართ თანაგრძნობისა და ყურადღების გამოხატულება.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, როცა ისტორიის ჩიხში მიმწყვდეული საქართველო ბუნებრივად აღმოჩნდა საბედისწერო არჩევანის წინაშე, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რუსეთის ნაქეზებით, ისეთი დაუფარავი და, ცოტა არ იყოს, მღელვარე აქტიურობით დაუჭერია მხარი საქართველოს სამეფოს გაუქმების იდეისთვის, ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მიმდევარი, მეფე გიორგი მეთორმეტეც კი გაღიზიანებულა და განრისხებულს უთქვამს: სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდესო.



ოთარ ჭილაჩი

### რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიბოლოიკასთან დაკავშირებით

სახელმწიფო სიბოლოიკა საუკუნეების მანძილზე იმუშავებდა და როგორც უნდა გავსჯოდით კონკურსით გათვალისწინებული ვალები, გინც ნაჩაგრე ვად, კალაქტანებით და ხელოვნურად მოხდებოდა ის, რაც სინამდვილეში, გუნების მოკლენასავით, თითქმის თავისთავად ხდება...

ამერიკე  
ნანდელმა  
ერთხელ  
თის განსაც  
ეგრეთ წ  
გლებში,  
ლია და  
წერილი ქვე  
თუკი ის  
სახელმწიფ  
რიოზულად  
სახელმწიფ  
წერებში, ჯ  
ახალი პიმ  
ენიჭებოდეს  
დიას... მო  
ით, რა გ  
მრავალგზი  
დღევანდლ  
მოდწეულ  
მონაპოვრი  
ახალი, "ეს  
ფოს შემქ  
ენელოვანი  
საქართველო  
კომისიის  
- ჯერ კიდ  
და მრავალ  
ლი, მოსაწ  
უნდა, შეს  
ყოვლად  
სერიოზულ



პარლამენტის

# უწყებანი

საპარტოველოს პარლამენტის ყოველკვირული უარნალი



მართლაც, ოჯახური საქმეების გადანყვეტა მასპინძლის პრეროგატივაა და არა სტუმრისა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ სიტუაციაში ყოველთვის მოსული (სხვა ეროვნების წარმომადგენელი) იჩენს ტოლერანტობას დამხვდურის (ქვეყნის კანონიერი პატრონის) მიმართ, ანუ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დგება იმ დროშის სამსახურში, რომელიც მის მიერ მეორე სამშობლოდ აღიარებული ქვეყნის თავზე ფრიალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიღბულ, შენელებულ ანექსიასთან გვაქვს საქმე, როცა უკვე ანექსირებული იძულებულია ტოლერანტობით გაამართლოს თავისი უმწეობა და სისუსტე.

სახელმწიფო სიმბოლიკა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ შექმნილა და, იმედი უნდა ვიქონიოთ, არც მომავალში შეიქმნება ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათა რაოდენობისა თუ მათი რელიგიურ-პოლიტიკურ-ზნეობრივ მონაცემთა გათვალისწინებით. თუკი მსოფლიო ისტორიიდან ერთი მაგალითის მოტანა მაინც შეიძლება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, აქ გამოთქმულ მოსაზრებას, თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტების პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უფრო სწორად, როგორადაც საქართველო ესახებოდათ და ესახებათ მის მრავალრიცხოვან, დიდსა თუ პატარა მტრებს. მრავალეროვნულობის გათვალისწინება, ძალაუნებურად, საკუთარი ეროვნულობის უარყოფამდე მიგვიყვანს, მით უფრო, რომ მრავალეროვნულობა სრულებითაც არ არის საქართველოს სახელმწიფოს გამოსარჩევი ნიშანი, მრავალეროვნულობაზე მეტად ჩვენი გამოსარჩევი ნიშანი, ალბათ, სხვათა მამებლობაა, რაც თავისთავად კარგი თვისებაა, მაგრამ სახიფათოა, როცა სახელმწიფო ინტერესებს ემთხვევა, როგორც უნდა მოვინდომოთ, ყველას გულს მაინც ვერ მოვიგებთ. ამავე დროს, სხვათა მამებლობა უფრო ადამიანური სისუსტეების გამოხატულებაა, ვიდრე პოლიტიკური პრინციპულობისა, თუ მეცნიერული ობიექტურობისა. მოკლედ, ამ სახიფათო და ძნელად მოსარევ სურვილს უნარი შესწევს უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენოს ნებისმიერი ჩვენთაგანი - დღეს უარი გვათქმევინოს იმაზე, რასაც გუშინ ვიცავდით და, პირიქით, დღეს იმის დამცველებად გამოგვიყვანოს, რასაც გუშინ თავგამოდებულნი უარყოფდით, ანუ, გარემოების შესაფერისად, ხან, საერთოდ, ეჭვის ქვეშ დავაყენოთ, ვთქვათ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს

არსებობა როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში, ხან კი, იმავე სახელმწიფოს ფესვები პრეისტორიულ ეპოქებში ვეძებოთ. საქართველოს, რუსეთისაგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მხოლოდ თავისი სურვილით, თავისი ნებით და თუნდაც, მრავალრიცხოვან ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, ერთბაშად აღადგინოს ის, რაც წინაპრის ძალისხმევითა და განგების ძალით, ჯერ კიდევ მისად ითვლება, ჯერ კიდევ არ გაუხსვისებია შვილთა სიბეცითა თუ შვილობილთა სივერაგით გამწარებულს. ძველის აღდგენა, მით უფრო, სხვებზე დამოკიდებული ქვეყნებისგან, ყოველთვის დიდ ძალისხმევასა და გამბედაობას მოითხოვს. სხვათა შორის ბაგრატიონთა შეცდომა ის კი არ არის, რუსეთის მფარველობის ქვეშ რომ შეიყვანეს ქვეყანა, რასაც ხშირად და, გარკვეული თვალსაზრისით, სამართლიანადაც ვუკუთინებთ ხოლმე, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, არამედ - ძველის აღდგენა რომ ვერ გაბედეს, ვერ გაბედეს საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, რაზეც საერთოდ არ ვლაპარაკობთ ან, თუ ვლაპარაკობთ, არ ვანიჭებთ თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ამ საბედისწერო შეცდომის კანონზომიერი შედეგია მხოლოდ, რითაც ჯვარი დაესვა ერთ-ერთი უკეთილშობილესი და უაღრესად ტრაგიკული სამეფო დინასტიის ლამის ათსაუკუნოვან არსებობას.

და აი, ორასი წლის შემდეგ, ისევ იმავე დილემის წინაშე აღმოვჩნდით; ან უნდა აღვადგინოთ ძველი - ანუ, არა მარტო გარეგნული ხატი დავიბრუნოთ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოსი, არამედ მტკიცედ და მკაფიოდ მივუთითოთ, თუ რომელ კულტურულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეს განეკუთვნება საქართველო თავისი ისტორიული გზითა და მსოფლმხედველობით - ან შევქმნათ ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა, რათა მეტ-ნაკლებად ასატანი გავხადოთ ჩვენი არსებობა იმ ძლიერი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ძალა შესწევთ და პრეტენზიაც გააჩნიათ ერთხელ კიდევ თავიანთი ინტერესების შესაბამისად მიგვალბინონ ესოდენ მნიშვნელოვანი გადანყვეტილება. და მაინც, მიუხედავად რეალური სირთულეებისა, გნებავთ, საფრთხისა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ჩვენი ხვალისდელი დღის გათვალისწინებითაც, ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნას ისევ უკვე არსებული ადგენა აჯობებს. სახელმწიფო სიმ-

ბოლიკა საუკუნეების მანძილზე იქმნება და როგორც უნდა გავზარდოთ კონკურსით გათვალისწინებული ვადები, მაინც ნაჩქარევად, ძალდატანებითა და ხელოვნურად მოხდება ის, რაც სინამდვილეში, ბუნების მოვლენასავით, თითქოს თავისთავად ხდება. ღმერთმა ქნას, მკვდრებით აღმდგარმა ქართულმა სახელმწიფომ განვითარების ისეთ სიმაღლეებს მიაღწიოს, აუცილებელიც გახდეს გაზრდა და გამდიდრება უკვე არსებული სიმბოლოებისა, რომლებსაც, ისტორიული უსამართლობისა თუ ბედის უკუღმართობის მიუხედავად, მაინც შეუბღალავად, მაინც თავდაპირველი ბრწყინვალეობით მოუღწევიათ ჩვენამდე და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ შესწევთ უნარი უკეთ წარმოგვაჩინონ სხვათა თვალში. სახელმწიფო სიმბოლოები, უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენას გვიღვივებს, ჩვენც რომ აუცილებელი ვართ ვილაციისთვის მაინც, ხოლო, ის ვილაცა, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი სამშობლოა - აღთქმული ქვეყანა, სადაც განგებამ განგვანესა ადამიანური მოვალეობების აღსასრულებლად.

სახელმწიფო სიმბოლოები, ამავე დროს ორიენტირებადაც აღიქმება ამქვეყნიური განურჩევლობის, გულგრილობისა თუ დაუნდობლობის ოკეანეში. ისინი წარმართავენ ჩვენს სულიერ მისწრაფებებსა თუ ზნეობრივ მიდრეკილებებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვიმარტავენ, თუ რატომ ვარსებობთ, საერთოდ, რა გვევალეობა, რას უნდა ვემსახუროთ და, ბოლოს და ბოლოს, რას უნდა შევეწიროთ, რის საფასურად. აქედან გამომდინარე, უბრალოდ გაუგებარიც არის, რატომ უნდა შექმნას ქვეყანამ სახელმწიფო სიმბოლოები ხელახლა, თუკი ამ სიმბოლოებით ერთხელ უკვე უცხოვრია და გაცილებით უკეთესადაც, ვიდრე უიმათოდ ცხოვრობს. ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, იგივე საქართველოს სახელმწიფო გერბია, დავით აღმაშენებლის დროშა, რომელსაც უცხოური წყაროებიც მოიხსენიებენ, იგივე საქართველოს სახელმწიფო დროშაა და, რაც მთავარია, დღესაც მხოლოდ უკეთეს გრძნობებს აღვივებს ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულში - ეროვნულ ღირსებასა და სიამაყეს. ხოლო თუკი მაინცდამაინც გვინდა „მრავალეროვნულობის“ გათვალისწინება, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს დროშა აღიქმებოდა საკუთარი ადამიანური ცხოვრების გარანტიად საქართველოში სხვადასხვა დროს შემოხიზნულთა მიერ. რაც შეეხება ჰიმნს,

რასაკვირველია, ისიც უსათუოდ გვექნებოდა - საქართველოს შეიძლება ჰიმნების ქვეყანა ეწოდოს - მაგრამ დღეს ნამდვილად ძნელი დასადგენია, რომელი მათგანი როდის ასრულებდა ამ საპატიო დანიშნულებას, რომელ მათგანს მღეროდა საქართველოს მოსახლეობა უფრო თავისუფლად და უფრო სიამაყით. გერბისა და დროშის მსგავსად, ჰიმნი თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდება ხალხის ფსიქიკაში. ყოველი თაობა დედის რძესთან ერთად იწოვს მის ტექსტსაც და მელოდიასაც და, ამიტომაც, ჩვენგან განსხვავებით, ყოველთვის სიამოვნებით მღერის, თუკი ამის საშუალება ეძლევა. ასე რომ, თუკი რამე უნდა შეიქმნას ხელახლა, ალბათ, ჰიმნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის შინაგანი პორტრეტია, საზეიმო აქტია მისი ყველაზე სანუკვარი ნატვრისა თუ ოცნების გამხელილსა და ჩვენც ამ დიადი აქტის მონაწილენი ვხდებით სიტყვისა და მელოდიის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, უფრო მეტიც, ღვთაებრივი შეუღლების წყალობით. სიტყვა ბადებს მელოდიას, რათა მელოდიამ ხელახლა დაბადოს ისიც, ახლა უკვე ფიცად, ლოცვად, რწმენად, თუ იმედად გარდაქმნილი. ეს, რა თქმა უნდა, ბედნიერი შემთხვევაა და სულ ერთია, როგორ მიიღწევა ამგვარი შეუღლება - ღია კონკურსებით, როცა ყველა ერთნაირად უფლებამოსილია სცადოს ბედი, თუ სახელმწიფო დაკვეთით, როცა წინასწარ ვუცხადებთ ნდობას ჩვენი გემოვნებისა და პოზიციის შესაბამისად შერჩეულ პოეტსა და კომპოზიტორს.

ხალხი ან მღერის, ან არ მღერის უამისოდ შექმნილ ჰიმნს და ამით ამოიწურება მთელი მისი როლი ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში. მაგრამ აუცილებელია, გარკვეული დროის მანძილზე, ეს ახალი ნაწარმოები (კონცერტების, რადიო თუ ტელეგადაცემების მეშვეობით) განუწყვეტილად ახდენდეს ზემოქმედებას მის ფსიქიკაზე, რათა არა მარტო ტექსტი და მოტივი დაიმასხვროს ახალი ჰიმნისა, არამედ შეისისხლხორცოს და გააცნობიეროს კიდევ, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ფენომენი და, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მისთვისაც მოულოდნელად, თანამძრახველად გაეღვიძოს თანამძრახველთა შორის.

## ოთარ ჭილაძე

მწერალი

პირველად გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეულ ჟურნალ უწყებანში, 5.07.1997, №27-28

# წინ მარადისობაა!

საქართველო, რომელიც, ღვთის წყალობით, ერთხელ კიდევ აღსდგა დღეს მკვდრეთით, ისევ სახელმწიფოდ იწოდება და საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი აქვს, თუნდაც, გამარტივებული. სხვათა შორის, სახელმწიფო გერბი ჩვენსავე თავგადასავალს გვიყვება ჰერალდიკის ენაზე. უფრო სწორად, სხვებისთვისაც წარმოაჩენს, თუკი რამე მნიშვნელოვანი და საინტერესო გაგვაჩნია. სამეფო გვირგვინი, ყალყზე შემდგარი ლომები და წმინდა გიორგი, რასაკვირველია, ძვირფასი სიმბოლოებია თავისთავად, მაგრამ მათი გამოსახვა ნებისმიერი ქრისტიანული ქვეყნის გერბზე შეიძლება და არის კიდევ გამოსახული; ხოლო ქრისტეს კვართზე, მით უფრო კი ოქროს საწმისზე, მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ სხვებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთსაც, რომელმაც ჯერ კიდევ ამ ორასი წლის წინ გაგვიუქმა სახელმწიფოცა და სახელმწიფო სიმბოლოებიც და, ალბათ, მაინცდამაინც არ ესიამოვნება, მისგან ერთხელ და სამუდამოდ დამარხულის აღდგენას თუ მოინდომებს დღეს ვინმე. მოკლედ, ჩემსავით გამოუსწორებელი ეჭვიანები რომ იყვნენ ჩვენი პარლამენტარებიც, დარწმუნებული ვარ, უფრო ღრმად დაფიქრდებოდნენ, არ აჩქარდებოდნენ გერბის საბოლოო ვარიანტის მიღების დროს. მაგრამ ჩვენი ბედ-იღბლის ხალხისთვის ისიც დიდი მიღწევაა (მე ვიტყვოდი, ბედნიერება), რასაც, ჯერჯერობით, მივაღწიეთ. ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით. რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად. იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცოდინება. ეს ეხება „გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ“ შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით ველარ დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუხდებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა იყოს მათთვის. ოღონდ შურის საძიებლად კი არ უნდა დაბრუნდნენ, არამედ გვერდში ამოსადგომად და მხარის შესაშველებლად. როგორმე უნდა მოერიონ თავს და გამხიზნავ, გამჩუქებელ, გამყიდველ მშობლებს მიუტევონ, აპატიონ ყოვლად გაუმართლებელი სისუსტე და სიბეცე, უპრინციპობა და უნებისყოფობა. ეს არა მხოლოდ



სულიერ შვებას აგრძნობინებთ, არამედ „უსამშობლოდ დაკარგული დროის ანაზღაურებადაც“ ჩაეთვლება. დარწმუნებული ვარ, ასედაც მოხდება. როგორც კი განვინმინდებით მონური ყოფის შლამისგან, ყველას, წასულსაც და დარჩენილსაც, ერთად, ერთდროულად გაგვახსენდება „ვისი გორისანი ვართ“ და სულის შემძვრელი სიცხადით დაგვიდგება თვალწინ ჩვენი საერთო დედის, ჩვენი მარადიული, დაუღვეველი, ამოუწურავი, აუნონავი, გაუზომავი, ფასდაუდებელი, თვალშეუდგამი, ხელშეუხებელი სამშობლოს ულამაზესი და უძვირფასესი სახე...

## მთარ ჭილაქი

მწერალი

პირველად გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალ გაზეთ „ივერიაში“, №84, 2004

## სვანეთის ღროშა „ლომი“

გაერთიანებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთავარ ღროშათაგან ვიცნობთ ზემო სვანეთის „ერთობილი ხევის ღროშას“, ე.წ. „ლომს“ (ტაბულა VII).

ისევე როგორც საქართველოს ღროშა, სვანეთის ეს ღროშაც იყო ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო.

ღროშის თავი – შუბის პირი – ლომისგან განცალკევებული იყო და ახლაც ცალკე ინახება მესტიის მუზეუმში. ღროშის თავი ახლა სხვაგვარია: ბუნის წვერზე ჩამოცმულია სპილენძის ნაკვეთილი კონუსისებრი მასრა (6სმ სიგრძით, დიამეტრი – 2,4 სმ. წვერისკენ). მასრის ქვემოთ დამაგრებულია „ლომი“-ს თავი, ხოლო მის შემდეგ ბუნზე გაკეთებულია სპილენძის ბუშტი. იგი ორი ნახევრისგან (ზემოდან და ქვემოდან) შედგება. ესენი ახლა დამორებულია ერთმანეთისგან და მათ შუა ჩანს ქეჩა, რომლითაც ბუშტია გამოტენილი. ბუშტის დიამეტრია – 6 სმ.

ლომის შუბის პირის (ტაბულა VIII და IX) შედგება ორი მოოქროვილი ვერცხლის ფურცლისგან, რომლებიც პატარა ლურსმნებით არის ერთმანეთზე დამაგრებული. ერთი ლურსმანი შერჩენილია შუბის წვერზე, იონა ლატარის ნარწერის ზემოთ.

შუბის პირი სიგრძეზე შუა ნაწილში ამობურცულია. აქ ბუნის წვერის გასაყრელი ადგილი იქნებოდა. იგი გარედან ხაზგასმულია სწორად ჩაჭრილი ხაზებით.

ხეტარზე ჩამოსაცმელ მასრიდან – ქვემო ნაწილიდან, რომელზედაც წერდა ექვთ. თაყაიშვილი, აღარაფერია დარჩენილი. წვერთა-

ნაც ნაწილი მოტეხილია. წვერთან და ცოტა ქვემოთაც შუბი გაბზარულია გალუნვის გამო. არის ნაკეციებიც.

ვერცხლის ფურცლები სქელია. შუბის პირი მთლიანად განიერი და მასიურია.

გლუვი, ამობურცული ლულა შუბის პირის სიგრძეზე ფართოვდება ქვემოთკენ. ის არის კომპოზიციის ღერძი. მის აქეთ-იქით ჭედვით გამოყვანილია ფიგურები: მარცხნივ – იონა ლატარისა, მარჯვნივ – წმ.გიორგი სეტისა. იონას ფიგურა და მისი სახე ამ ღერძისკენ არის მიქცეული, მისკენ მიმართულია იონას ნახევრად აპყრობილი ხელებიც. წმ. გიორგი – კი ფრონტალურად არის დაყენებული.


შუბის პირის კონტურთან, რომელიც ვინროა წვერისკენ და ქვემოთკენ თანდათან ფართოვდება, შეთანხმებულია კომპოზიცია: ზემოთკენ ჯერ მოთავსებულია ფიგურული დეკორატიული ქარაგმები წმინდანების აღმნიშვნელ ნარწერებზე; შემდეგ ქვემოთკენ – თვით ეს ასომთავრული ნარწერები („წ: იონა ლტრ“ისა“ „წ“გ“ი სეტისა), რომლის სტრიქონები, რაც უფრო დაბლა ჩადის, უფრო მეტ ასოებს შეიცავს და მეტ ადგილს იჭერს. ნარწერების ქვემოთ თვით წმინდანების ფიგურები. შუბის პირის გაფართოვება ხდება მათ განუღებლად იდაყვებთან, ხოლო უფრო ქვემოთ – წმ.გიორგის სანვიმრის კიდის და დადგმული ფარის ხარჯზე.

შუბის მეორე მხარეზე, ღერძის მარცხნივ, მოთავსებულია ღროშის შემწირველის დიდი ნარწერა, მარჯვნივ – გამოხატულება უღრის მთავარანგელოზისა, ხოლო მის თავთან ნარწერა: „მთავარანგელოზი: უღრისა“. აქაც სტრიქონების ასოების რიცხვი შუბის კონტურთან შეფარდებით მატულობს და კლებულობს.

კომპოზიცია საიშვიათოა, რადგან ამგვარად შემკული სხვა შუბის პირი არ არის შემონახული.

ფოტო ვერ გადმოგვცემს ნაწარმოების სიძვირფასეს და ძალას.

ორნამენტირებული ქარაგმები, ასოების დაბმა და მათი შემკობა გაფურჩქვნის ხანისაა. ასოები შემკულია წვეტებით ან ორმაგი ფოთლის მსგავსი სახეებით. ასოები ძალიან ჰგავს მესტიის მუზეუმშივე დაცულ ინასარიძიანთ ხატის, – აკად. თაყაიშვილის მიერ







XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ ტრიპტიქის ასოებს.

კომპოზიცია საინტერესოა იმითაც, რომ მასში წარმოდგენილია ერთობლივი (გაერთიანებული) სვანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი წმინდანების კრებული. მათი შერჩევაც საინტერესოა: ორი მეომარი, საომარ რომაულ ტანისამოსში – წმ. გიორგი შუბით და ფარით, მთავარანგელოზი ამონვდილი ხმლით. იონა ლატარისა თავისი მნიშვნელობით, ისევე როგორც წმ. გიორგი, ნანილობრივ დაკავშირებულია ქვეყნის ნაყოფიერების ძველ წარმართულ ღვთაებებთან, რომლებიც ინთქმებოდნენ მიწის, გველეშაპისა თუ წყლისაგან, რომ ხელახლა აღორძინებულიყვნენ.

„თვით ლომის დაკავშირება მზესთან ძველ აღმოსავლეთში უძველესი ხანიდან მოდის, და დროშა-ლომის მნიშვნელობაც არა მარტო სამხედრო და პოლიტიკურ იყო წარსულში,

არამედ სხვაგვარიც – ის იყო მოსავალთანაც დაკავშირებული“<sup>1</sup>. მისი გამოტანა ხდებოდა ელიშობას (მესტიის მუზეუმის თანამშრომლის სეზი გულედანის სიტყვით, ელიშობა არის ელიისა და წმ. გიორგის დღე, დარ-ავ-დართან დაკავშირებული).

ფრთოსანი ლომი ქართული წარმართობის წარმოდგენათა წრეს მიეკუთვნება. როგორც ასეთს, მას ვხედავ აგრეთვე ბოლნისის V საუკუნის სიონზე.<sup>2</sup> ორივე მხარე შუბის პირისა ერთი ოსტატის მიერ არის შესრულებული. დამახასიათებელია, რომ სახეების გამოყვანაში სრულიად არ არის სიღბო: ისინი დაჭიმულია, ძალიან მსხვილი ღანჯვის ძვლები აქვთ, ძლიერჩაღრმავებული ყბები, თვალების

<sup>1</sup> ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ.275.

<sup>2</sup> იქვე.

ჭრილები მსხვილად არის მოცემული, თვალები თითქოს გადმოცვენაზეა.

სხეულები სისწორით არ არის მოდელირებული. სრულიად არაბუნებრივად მიიმართება მთავარანგელოზის ტალღისებური ხაზი.

წმინდანთა პოზები, ჩაცმულობანი XI-XII საუკუნეების ნიმუშებს მოგვაგონებს. ტანსაცმლის ნაოჭები ზევიდან ჩაჭრილი ხაზითაა ნამუშევარი.

ნიმბების არეს ორნამენტი დაწერთვით არის შესრულებული. ორნამენტი მცენარისებურია, ყლორტების სხეულებს წარმოადგენს. ფარზე, რომლის კონტური ჯუმათის წმ.გიორგის ფარის კონტურისებურია,<sup>3</sup> ისეთივე ორნამენტია, როგორც ნიმბებზე და დაწერთვითაა მოცემული.

მსგავსად არის გაკეთებული ანჩისხატის შიგნითა კარების მოჭედულობაზე (XIV საუკ.) ნათლისღების სცენაში არეს ნაწილი. ორნამენტიც იგივეა. თუმცა ქვაზე, მაგრამ ასევე წერტილებით და ასეთივე ორნამენტით შესრულებულია წმინდანის ნიმბი შუა საუკუნეების რელიეფზე, რომელსაც XIV საუკუნით ათარილებენ (ხახანაშვილი)<sup>4</sup> ანგელოზის ფრთები სტილიზებულია. ფრთების დასაწყისში ერთი დასმული წრეებია. თითოეული წრე ცენტრში ჩაჩრუტნულია და ამ ჩუჩრუტანას ერთის მხრიდან ჩაჭრილი ხაზების ნახევარწრე ევლება მარაოსავით. ფრთის ზემო ნაწილს ოლე საზღვრავს, რომელიც შედგება გამწკრივებულ პატარა წრეებისაგან, მათ შუაგულში წერტილებია. ფრთების ბოლოები შედგება ვიწრო გრძელტალღოვანი ზოლები-საგან, რომლებიც გეზადაა დაშტრიხული.

შუბზე მოთავსებული შემწირველის წარწერა აკად.ექვთ. თაყაიშვილის მიერ არის მართებულად ნაკითხული.<sup>5</sup> წინა გამომცემელთა<sup>6</sup> მიერ ქარაგმების გახსნა სწორად არ იყო მოცემული. ეს წარწერა ჩამოგრძელებულია თავიდან ბოლომდე:


ქარაგმების გახსნით და ტრანსლიტერაციით მხედრულზე (ექვთიმე თაყაიშვილის ნაკითხვა): „ქ.უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ჴევსა ბედნიერისა სუანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ, ჩემ დიდისა მონასტრისა წინამძღურისა გრიგოლ კოპასდისაგან მოხსენებული“.

3 Н.Кондаков и Д. Бакрадзе, «Опись памятников древности», სურათი 51.

4 ექვთ თაყაიშვილი, არქეოლოგ.მოგზაურ ლექს.-სვანეთში, გვ. 273, 274.

5 იქვე.

6 იქვე.



კოპაძეთა გვარი აღნიშნულ წარწერაში გვხვდება სამცხე-საათაბაგოს წარჩინებულთა სიაში,<sup>7</sup> სვანეთში – კი ლესგუნის წმ. ელიას ხატზეც. პროფ. გ. ჩუბინაშვილის ცნობით ჯერ კიდევ 1931 წელს კოპაძენი ამ შუბის მცველებად ითვლებოდნენ.

რომელ დროშაზეა წარწერაში ლაპარაკი არა ჩანს – ცალკე მოხსენებულია დროშა, ცალკე – ლომი. შესაძლოა, ლომის გარდა შეწირული იყო ლითონის დროშაც ისეთივე ფორმისა, როგორიც არის რუსუდანის დროშაკი.. იქნებ ამისგან დარჩენილია ვერცხ-

7 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, გვ. 80.



ლის ნაჭედი ვინრო ფირფიტა (იხ. ფოტო), რომელიც აშკარაა, შემდეგშია შემოხვეული ტარზე. ფირფიტის ორნამენტი XII-XIII საუკუნდა მიეკუთვნებოდას (ამჟამად აღარ არის შემორჩენილი).

ლომის ახლანდელი ბუნი უბრალო ხეა, ცუდად გათლილი, კოჭიყებიანი. ძირი სწორად აქვს გათლილი, მთავრდება ბრტყელი წრით და არა წვეტით. ბუნი დაუმოკლებიათ, რომ ელექტრონის მავთულებს არ მოსდებოდა მედროშის ხელში (ალათი ჯაფარიძის ცნობით).

ამ ნაწილში ბუნს ტყავის თასმა აქვს შემოხვეული, რითაც ამაგრებენ მას მხედრის ფეხსა და უზანგზე.

ტერმინი „მელომე“ სვანეთში აღარ გვხვდება. ელიშობას ლომი უჭირავს ერთ-ერთ „ლეღგარგუ“-თაგანს. ასე ჰქვია ოთხ გვარს: რატიანს, ლიგურიანს, მჭედლიანს, ფალიანს (ცნობები ბესლან ფალიანისა, სეტი). ძველად

ლომის დამჭერელნი ჯაფარიძეები იყვნენ. მათ ლეღგარგუ არ ერქვათ. ლეღგარგუ ნიშნავს ეკლესიის მომვლელს. 10-12 ცხენოსანი იღებდა მონანილეობას გაჭენებაში. ერთს ეჭირა ლომი, მეორე დამხმარედ იყო. მგლოვიარე ჯაფარიძე ჯირითში ცხენზე არ შეჯდებოდა. ასეთ შემთხვევაში მისი შემცვლელნი ჩართულანები იყვნენ ან მოლოზნები (ჯაფარიძე იბდით, სეტი).

როგორც ვხედავთ, სვანურ ლომს ჩვენს დრომდე თავისი მნიშვნელობა სავსებით არ დაუკარგავს, ხოლო წარსულში მას დიდი როლი ჰქონია.

იგი უნიკალურ დროშას წარმოადგენს.

## სარა ბარნაველი

ხელოვნების ისტორიკოსი

ნაწყვეტი წიგნიდან „ქართული დროშები“  
სარა ბარნაველი, თბ.1953

# სახელმწიფო დროშების სახესხვაობები

## ავსტრიის ეროვნული დროშა



ავსტრიის ეროვნული დროშა მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დროშად. წითელი ველი გაკვეთილია თეთრი ზოლით და წარმოქმნის სამი თანაბარი ზომის თარაზულ ზოლს - წითელს, თეთრს და კვლავ წითელს. ლეგენდის თანახმად, ბაბენბერგის ჰერცოგმა ლეოპოლდ მეხუთემ 1191 წელს წმინდა მინისათვის გამართულ აკრის ბრძოლაში იმდენად თავგანწირვით იბრძოლა, რომ ბრძოლის ბოლოს მისი თეთრი ფერის პერანგი მთლიანად შეღებილი იყო სისხლით. ბრძოლის დასრულების შემდეგ ლეოპოლდ მეხუთემ ასევე აღმოაჩინა, რომ ბრძოლაში დაეკარგა დროშა და გადაწყვიტა, საკუთარი პერანგი აღემართა დროშად. ბაბენბერგის ჰერცოგმა შეიხსნა ქამარი და დაინახა, რომ წითელ პერანგს თეთრ ზოლად დარჩა

## ავსტრიის სახელმწიფო დროშა



სისხლისგან შეუბღალავი პერანგის ზოლი. მე-13 საუკუნეში სახელოვანი წინაპრისათვის პატივის მიგების მიზნით ბაბენბერგის მთავრებმა საკუთარ ფერებად დაამკვიდრეს წითელი და თეთრი.

ავსტრიის სახელმწიფო დროშის სამ თარაზულ (წითელ, თეთრ და წითელ) ნაწილად გაკვეთილ ველის შუა თეთრ ზოლზე გამოსახულია ავსტრიის სახელმწიფო გერბი. ავსტრიის სახელმწიფო გერბის ზომა დადგენილია: არწივის ბრჭყალებით შეპყრობილი ჩაქურჩის ტარის ქვედა კიდე ეხება ქვედა წითელი ზოლის ზედა ზღვარს, ხოლო არწივის ნისკარტის ზედა კიდე ეხება ზედა წითელი ზოლის ქვედა ზღვარს. ავსტრიის სახელმწიფო დროშას ეწოდება „Dienstflagge des Bundes“. აკრძალულია დროშაზე სახელმწიფო გერბის გამოსახვა ფარით.

ავსტრიის სახელმწიფო დროშის შვეულად დაშვების წესები არ არის განწერილი. აკრძალულია შვეულად აღმართულ დროშაზე სახელმწიფო გერბის გამოსახვა.



**ბელგიის სახელმწიფო დროშა**




ბელგიის დროშა მიღებულია 1831 წელს, ჰოლანდიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ბელგიის დროშას საფუძვლად დაედო საფრანგეთის სამფერი დროშა; თავდაპირველად ბელგიის დროშა უნდა ყოფილიყო თარაზულად გაკვეთილი, მაგრამ ჰოლანდიის დროშისაგან გასასხვავებლად, მკვეთრად გასამიჯნად დროშა გადაიკვეთა შვეულად. შავი, ყვითელი და წითელი ფერები დამახასიათებელია ბრაბანტის მხარისათვის. ამ ფერებით იყვნენ შემოსილი ბრაბანტელები, როდესაც პირველად აჯანყდნენ ავსტრიის წინააღმდეგ მე-18 საუკუნეში, ხოლო მეორედ, უკვე უილიამ პირველის წინააღმდეგ მონყობილი აჯანყების დროს, როდესაც ბრძოლა გადაიზარდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და შედეგად ხსენებული ფერები დამკვიდრდა ბელგიის სახელმწიფო ფერებად.

ბელგიური დროშის ბანერის პროპორციებია 4:3; დროშა, რომლის სიმაღლესაც აღემატება სიგანეს, გამოიყენება ძირითადად ბელგიის სამეფო სასახლეებში.




საზღვაო დროშა

**ჩეხეთის სახელმწიფო დროშა**



ჩეხეთის დროშა ორ, ზედა თეთრ და ქვედა წითელ, ზოლად გაკვეთილი ველია. ზოლებს შორის მარჯვენა მხრიდან სამკუთხედი ნაკვეთია, რომლის წვერიც მიმართულია მარცხნივ. დროშა განასახიერებს ეროვნულ ერთიანობას, რომელიც გასული საუკუნის განმავლობაში არაერთხელ გამოიცადა. 1918 წელს შეიქმნა ჩეხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამ დროს იღებს სათავეს ახლანდელი დროშაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წელს ჩეხეთის სახელმწიფო დაიპყრეს კომუნისტებმა, ხოლო 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გაიყო ორ ნაწილად - ჩეხეთად და სლოვაკეთად. გაყოფის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკამ შეინარჩუნა დროშა, შეიცვალა ლურჯი ფერის განმარტება, კერძოდ, ლურჯი მონაკვეთი, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა სლოვაკეთს, დღეს აღნიშნავს მორავიას.

რესპუბლიკის პრეზიდენტის დროშა, პროპორციებით 1:1. დროშის ცენტრში გამოსახულია ცაცხვის ტოტემით შემკული ჩეხეთის დიდი გერბი. დევიზი წარწერით: „PRAVDA VITEZI“ „სიმართლე (ყოველთვის) იმარჯვებს“. დროშა გარშემორტყმულია სამფერი კლაკნილი არშიით, რომლის კიდურა ნაწილები ლურჯია. ყოველ ორ კიდურა ლურჯ



ნაწილს შორის მოყოლილია 29 კლაკნილი. არშიის მსგავსი ნიმუშები გამოიყენებოდა ავსტრიისა და ავსტრო-უნგრეთის სამხედრო დროშებზე და სამეფო შტანდარტებზე.

ჩეხეთის შვეული დროშა, მოზრუნებული არის 90 გრადუსით საათის ისრის სანიანალმდეგოდ შედგენილი პროპორციებით, სადაც ლურჯი სამკუთხედი ნაკვეთი დაშვებულია ზემოდან, თეთრი ზოლი - მარჯვნივ, წითელი - მარცხნივ.


სამხედრო დროშას ჩეხურად ეწოდება „საბრძოლო პირობა“, დროშის სამფერი კლაკნილი არშიით გარშემორტყმულია ჩეხეთის რესპუბლიკის ოთხ ნაწილად გაკვეთილი და გადაკვეთილი გერბი (პირველი და მეორე განაკვეთი გამოსახავს ბოჰემიას, მესამე - მორავიას და მეოთხე - სილეზიას). არშიის ლურჯი ფერი არის ოდნავ უფრო ღია, ვიდრე მეორე განაკვეთის ველი. სამხედრო დროშა საპრეზიდენტო შტანდარტის გამარტივებულ ნიმუშს წარმოადგენს.



ესტონეთის სახელმწიფო დროშა




ესტონეთის დროშა სამფერია და გაკვეთილია სამ თარაზულ - ზედა ლილილოსფერ ლურჯ, შუა შავ და ქვედა თეთრ ზოლებად. დროშის პროპორციებია 11:7 და სანიმუშო ზომა არის 165/105 სმ. პირველად ესტონეთის დროშა 1881 წელს იქცა სტუდენტური მოძრაობის სიმბოლოდ. ლურჯი გამოსახავს ესტონეთის ცას, ზღვასა და ტბებს. ზოგიერთი განმარტებით, ღირსებას. შავი არის ესტონელი ხალხის სევდა, მაგრამ, იმავდროულად, ესტონელი ფერმერების მოსასხამის ფერი. თეთრი თოვლია, რომელიც წლის უმეტესი დროის განმავლობაში ფარავს ესტონეთს და ასევე განასახიერებს თავისუფლების სულისკვეთებას. სწორედ ამიტომ საბჭოთა რეჟიმის დროს, 1944-1990 წლებში ესტონეთის დროშა აკრძალული იყო და მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1990 წლის 7 აგვისტოს მოხერხდა მისთვის სახელმწიფო დროშის სტატუსის დაბრუნება. კანონი დროშის შესახებ მიღებულია 1993 წლის 6 აპრილს.



შვეული დროშა



გონფალონი




პენანტი

## საბერძნეთის დროშა



საბერძნეთის დროშა პირველად 1821 წელს თურქების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების დროს გამოჩნდა. ლურჯ ველზე გამოსახული თეთრი ჯვარი სიმბოლურად დაუპირისპირდა ოსმალურ ნახევარმთვარეს. საბოლოო სახით დროშა მიიღეს 1822 წელს - ლურჯ ველზე გამოსახულმა თეთრმა ჯვარმა გადაინაცვლა დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში, დროშის ველი გაიკვეთა ცხრა თეთრი და ლურჯი ზოლით, რაც გამოხატავს რევოლუციური დევიზის ცხრა მარცვალს: „Eleftheria i Thanatos“ - „თავისუფლება ან სიკვდილი“. ლურჯი არის ზღვის მშვენიერება, რამაც შთააგონა ამბოხებულები, თეთრი - მემამბოხეთა სულისკვეთების სისპეტაკე, ხოლო ჯვარი პატივისცემა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ, რომელმაც ოსმა-



ლობის პირობებში შეინარჩუნა ბერძენთა ეროვნული თვითმყოფადობა. დროშას ეწოდება Galanolefci („ლურჯ-თეთრი“), თუმცა ლურჯის შეფერილობის ხარისხი ხშირად იცვლებოდა.

არასახელმწიფო დროშა. ლურჯ ველზე გამოსახული თეთრი ჯვარი თარიღდება 1822 წლით და შეხვედბოდით მხოლოდ ხმელეთზე, ზღვაზე გამოიყენებოდა ზოლებით გაკვეთილი დროშა. 1975 წლიდან 1978 წლამდე ასეთი დროშა მიჩნეული იყო ეროვნულ დროშად, ახლა ეროვნულ დროშად მიჩნეულია ასევე მხოლოდ ზოლებით გაკვეთილი დროშა.

ე. წ „ბერძნული ჯეკი“ - კვადრატული დროშა, რომლის ლურჯ ველზე დატანილია თეთრი ჯვარი. ჯვრის მკლავის სისქე მთლიანი განის 1/5-ია.





## გერმანიის დროშა



გერმანიის სამფერი დროშა შედგება სამი თარაზული - შავი, წითელი და ოქროსფერი - ზოლისგან. სამივე ზოლი თანაზომიერია და წარმოადგენს გერმანიის ეროვნულ ფერებს. შავი ფერი პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა და მნიშვნელობა 1848 წლის რევოლუციის დროს შეიძინა. 1848-1850 წლების ფრანკფურტის პარლამენტმა სამფერი დროშა გაერთიანებული და დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს სიმბოლოდ გამოაცხადა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვაიმარის რესპუბლიკის დაარსებასთან ერთად, სამფერი დროშა გერმანიის სახელმწიფო დროშად იქცა. თუმცა, ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, 1933 წელს დროშა გაუქმდა და ჩანაცვლდა ნაცისტური სვასტიკით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანული დროშა წარმოადგენდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიას 1959 წლამდე, სანამ აღმოსავლეთ გერმანიის დროშაზე არ დაიტანეს კომუნისტური სიმბოლო. 1990 წლის 3 ოქტომბერს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ დროშამ საბოლოოდ დაიმკვიდრა ერთიანი გერმანული სახელმწიფოს დროშის სტატუსი. ფერების თანამედროვე განმარტება დაკავშირებულია დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებასთან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და წარმოადგენს გერმანიის გაერთიანებისა და თავისუფლების სიმბოლოს - არა მხოლოდ ქვეყნის თავისუფლების, არამედ გერმანელი ხალხის პიროვნულ თავისუფლებასაც.



შვეული დროშა (*Knatterfahne*) და ბანერი (*Bannerflagge*) ერთნაირად გამოიყურება, თუმცა შვეული დროშა აღმართულია შვეულ ტარზე, ხოლო ბანერისთვის გამოიყენება თარაზული ტარი. „ჩამოკიდებული“ (*Hängefahne*) გახლავთ შვეულად გადმოფენილი ჩვეულებრივი დროშა, რომელსაც ძირითადად გამოფენენ შენობებზე.



აღმართვისა და გამოფენის თვალსაზრისით, გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში (ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბერლინის ჩათვლით) შვეულად გამოფენილი დროშები იშვიათია. თუმცა ხშირია მაღალი და ვიწრო დროშების („*Knatterfahne*“) ჩვეულებრივი დროშის ტარზე აღმართვა. ასეთი დროშა იმდენად ხშირად აღიმართება, რომ თითქმის ყველა სამთავრობო ორგანიზაცია ადგილის ეკონომიის მიზნით მხოლოდ ამ ტიპის დროშებს აღმართავს.

არსებობს ამ დროშის ორი სახეობა: ე.წ. „გადაბრუნებული“ და ოდნავ განელებილი დროშები: ზოლები განლაგებულია შვეულად, შავი ზოლით ტარისაკენ, ხოლო მეორე სახეობის დროშაზე, რომელიც შედარებით ნაკლებად გვხვდება, ზოლები პროპორციით 1:1 თარაზულად არის განლაგებული.

ეროვნულ დროშასთან ერთად სამთავრობო შენობებზე, როგორც წესი, ევროკავშირის (ძალიან მაღალი და ვიწრო) დროშაც არის აღმართული.

ფედერალური სამსახურის დროშის (*Bundesdienstflagge*) შუაში დატანილია ფედერალური ფარი (*Bundesschild*), რომელიც ოდნავ განსხვავდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბისგან. 1996 წლის 13 ნოემბრის დადგენილების თანახმად დროშების შესახებ (*Anordnung über die deutschen Flaggen*) ფარი ოდნავ უნდა



იყოს გადანეული ტარისკენ, თუმცა დადგენილება ზუსტად არ განსაზღვრავს „ოდნავ გადანეულის“ მნიშვნელობას. ფედერალური სამსახურების დროშას აღმართავენ მხოლოდ ფედერალური დაწესებულებები. „ინსტრუქცია გერმანიის დროშების შესახებ“ აგრეთვე განსაზღვრავს ფედერალური სამსახურების შვეული დროშის აღწერილობას, რომლის პროპორციაა 5:2.



ლატვიის დროშა




შეფერილობის სახესხვაობა



ლატვიის დროშა გაკვეთილია სამი თარა-ზული - ზედა და ქვედა განიერი ყოლოსფერი და შუა ვიწრო - თეთრი ზოლებით. ყოლოსფერი გამოხატავს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღვრილ სისხლს, ხოლო თეთრი - სამართლიანობისა და ჭეშმარიტების სიმბოლოა. ლატვიის ეროვნული დროშა დამტკიცებულია 1921 წელს, თუმცა გამოიყენებოდა 1918 წლიდან, სანამ 1940 წელს საბჭოთა


კავშირმა არ მოხდინა ლატვიის ოკუპაცია. საბჭოთა მმართველობის დროს ლატვიის დროშის აღმართვა იკრძალებოდა, მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1990 წლის 27 თებერვალს მოხდა დროშის ხელახალი მიღება. ლატვიის დროშას, რომელიც მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დროშად, მე-13 საუკუნიდან აღმართავდნენ მეომრები.




ლატვიის პენანტი თანაფარდობით 5x17x1 და 2:1:2



პრეზიდენტის დროშა




საზღვაო დროშა - ლატვიის საზღვაო დროშა აღმართულია რესპუბლიკის ეროვნული საზღვაო ძალების ყველა ხომალდზე.




პრემიერ-მინისტრის დროშა



საზღვაო დროშა



პარლამენტის თავმჯდომარის დროშა




საზღვაო ხომალდის დროშა

სლოვაკეთის დროშა



სლოვაკეთის დროშა შედგენილია პან-სლავური სამფერი - თეთრი, ლურჯი და წითელი თანაზომიერი ზოლებით გაკვეთილი ველით და მასზე დატანილი ემბლემით. 1918 წლიდან 1993 წლამდე ჩეხებს და სლოვაკებს ჰქონდათ საერთო დროშა. დღევანდელი სლოვაკური დროშა მიღებულია უკვე ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ. ემბლემაზე გამოსახული სამი ბორცვისგან შედგენილი მთა, რომლის შუა მაღალ ბორცვზეც აღმართულია ოთხმკლავიანი ჯვარი, მიუთითებს ქრისტიანობის დასაწყისს კარპატების მთებში. ემბლემა დატანილია დროშის შუა მარჯვენა მხარეს. ემბლემა დიდი ხნის განმავლობაში იყო სლოვაკების სიმბოლო, ხოლო სამფერი დროშა მიღებულია 1848 წელს, როდესაც რუსეთის მხარდაჭერით შთაგონებულმა სლოვაკმა ხალხმა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში სლავური წარმომავლობის ხალხებს შორის პირველებმა დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.




გრძელი შვეული ბანერი



მოკლე შვეული ბანერი



პრეზიდენტის შტანდარტი



საქართველოს სეფა დროშა

პროექტი



საქართველოს სახელმწიფო დროშა

საქართველოს ეროვნული დროშა

პროექტი



გონფალონი


პროექტი





საქართველოს სახელმწიფო დროშის ბუნიკი

პროექტი




ბუნიკი



გრძელი ალაბი - პენანტი

პროექტი



საქართველოს  
სახელმწიფო  
დროშა  
ვერტიკალური  
ბანერი

პროექტი

ეროვნული ფერები

პროექტი

# რესპუბლიკა მაკედონიის ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემა

მაკედონია - სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ ევროპაში. უძველესი სიმბოლო, რომელიც მაკედონიის ჩრდილოეთ ნაწილის ტერიტორიულ ერთეულთან არის დაკავშირებული, გახლავთ ყვითელი დროშა წითელი ორთავიანი არწივის გამოსახულებით<sup>1</sup> ქ. სკოპიეს თავზე წარწერით „Skopi“. იგი გამოსახულია იტალიელი კარტოგრაფის ანჯელინო დე დულჩერტოს პორტოლანზე და 1339 წლით თარიღდება. ნახევარი საუკუნის შემდეგ სკოპიე ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ ექცევა და გამოსახულებების გამოყენებაზე ისლამური შეხედულების გამო თავის სიმბოლიკას კარგავს.

ბალკანეთის ომებისა (1912-13) და მეორე მსოფლიო ომის შედეგად თანამედროვე მაკედონიის რესპუბლიკის ტერიტორია შევიდა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოს (შემდგომ იუგოსლავიის) შემადგენლობაში, სადაც ასევე შევიდა მდინარე დუნაის ჩრდილოეთით მდებარე მდიდარი ჰერალდიკური ტრადიციების მქონე მიწები. 1929 წლის ტერიტორიული დაყოფის შედეგად ქ. სკოპიე გახდა პროვინცია ვარდარ ბანოვინას დედაქალაქი. ამრიგად, სკოპიე ხდება ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელიც ფლობდა საკუთარ გერბს<sup>2</sup> და, ამავე დროს, არ იყო ავსტრია-უნგრეთის ნაწილი.

გერბის პირველი ვარიანტი (1928) წარმოადგენილი იყო ლანდშაფტური კომპოზიციით ქვის 4-თაღიანი ხიდის, მთისა და ქალაქის ციხესიმაგრის ფრაგმენტის გამოსახულებით, რომლის „ოფიციალური“ ვერსია განთავსებული იყო ესპანურ ფარზე, დაგვირგვინებული „დუშან-მეფის გვირგვინით“ და დამტკიცდა 1932-1934 წლებში<sup>3</sup>.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ბულგარეთის გავლენის ქვეშ მყოფ ქ. სკოპიეს ახალი გერბი მიანიჭეს (1941): „ციხესიმაგრე კალე, ლომი წითელი დროშით, ხორბლის ყურები, შარის მთების ქერი, მდინარე ვარდარის ხიდი და სლოგანი „ბრწყინავს და ყვავის“<sup>4</sup>. მოგვიანებით წითელი დროშა ბულგარეთის ტრიქოლორით<sup>5</sup> იყო შეცვლილი, თუმცა ინფორმაცია ამ გერბის პრაქტიკული გამოყენების შესახებ არ არსებობს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახალხო რესპუბლიკა მაკედონია გახდა იუგოსლავიის ფედერალური სახალხო რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი. ამ პერიოდისთვის გამოყენებაში იყო ერთადერთი მუნიციპალური სიმბოლო - ქ. სკოპიეს ჰერალდიკური გერბი: ფარი ჰორიზონტალურადაა გაყოფილი ორ თანაბარ ნაწილად, ლაჟვარდის და მწვანე ველებად. ზედა ველში მოთავსებულია მენამული მთა და თეთრი ციხესიმაგრე, ხოლო ქვედა ველში - თეთრი 5-თაღიანი ხიდი.<sup>6</sup> იხილეთ ქ. სკოპიეს გერბები: (სურ. 1).

სახალხო რესპუბლიკა მაკედონიას ჰქონდა ტერიტორიული დაყოფის რამდენიმე მცდელობა. აქედან ყველაზე გრძელვადიანი იყო 1965-1996 წლების პერიოდი, როცა მაკედონია 32 მუნიციპალიტეტად იყო დაყოფილი.<sup>7</sup> რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა რეგულირდებოდა კონსტიტუციური კანონით, რომელიც არ ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის საკითხებს.

1960-იან წლებში ზოგიერთმა ქალაქმა სოციალისტური მოდელის მიხედვით შექმნილი გერბების გამოყენება დაიწყო. 1970 წლისთვის, როდესაც მილოშ კონსტანტინოვი მუშაობდა თავის სტატიაზე მაკედონიის მუნი-

1 ეს სიმბოლო ხშირად განიხილება, როგორც სერბეთის გერბი, თუმცა ის გახლავთ ვერცხლისფერი ორთავიანი არწივის გამოსახულება წითელ ფონზე და წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ ჰერალდიკურ სიმბოლოს.

2 პირველი იყო ბელგრადი, იუგოსლავიის სამეფოს დედაქალაქი (იხ. „სკოპიეს გერბი“, იოვან იონოვსკი, მაკედონიის ჰერალდი N6, 2012).

3 სკოპიეს გერბი აღმოჩენილი იყო 2007 წელს 1934 წელს მოკლული მეფე ალექსანდრ კარაჯორჯევიჩის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების ყდებზე.

4 Протокол №8, Скопска градска општина, Скопје, 12 јули 1941. Архив на Град Скопје, Збирка Скопска градска општина.

5 Дирекција за администрација №13,055, Софија, 6 октомври 1941. АГС, Збирка Скопска градска општина.

6 ეს გახლავთ ყველაზე ადრეული ქ. სკოპიეს ომის შემდგომი პერიოდის გერბის გამოსახულება, 1950წ. ტურისტული ატლასიდან.

7 Измени на уставниот закон на СРМ. Службен весник на Социјалистичка Република Македонија, 2/65, 25 јануари 1965. [Changes of the Constitutional Law of SRM. Official Gazette of the Republic of Macedonia, 2/65, Jan 25, 1965.]





სურ. 1

ციპალური ჰერალდიკის შესახებ, მხოლოდ შვიდმა მუნიციპალიტეტმა (სკოპიე, ბიტოლა, კუმანოვო, კრუშევო, ოჰრიდი, სტრუგა და რადოვიში) დაადასტურა გერბების გამოყენების ფაქტი<sup>8</sup>, ხუთმა უარყო, ხოლო დანარჩენებმა არც უპასუხეს (სურ. 2).

1996 წლის ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, რესპუბლიკა 123 მუნიციპალიტეტად და განსაკუთრებული სტატუსის მქონე დედაქალაქად (სკოპიე) იყო დაყოფილი. ეს იყო მუნიციპალური ჰერალდიკის კანონით დარეგულირების პირველი მცდელობა. კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისთვის დაიშვა საკუთარი სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემოღების შესაძლებლობა<sup>9</sup>.

კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

*ადგილობრივ თვითმმართველობას [მუნიციპალიტეტს] შეუძლია ჰქონდეს საკუთარი გერბი და დროშა.*

*მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა განსხვავდება მაკედონიის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბისა და დროშისგან და რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტების დროშებისა და გერბებისგან ისევე, როგორც სხვა ქვეყნების დროშებისა და გერბებისაგან და სხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტების დროშებისა და გერბებისაგან.*

8 Милош Константинов, „Седум градски грбови“, Македонски архивист, број 1, Здружение на архивистите на СРМ, Скопје, 1970. [Milosh Konstantinov, „Seven City Arms“, Macedonian Archivist, #1, Association of Archivists of the SRM, Skopje, 1970].

9 Закон за територијалната поделба на Република Македонија и определување на подрачјата на единиците на локалната самоуправа (Службен весник бр 49/96, 14 септември 1996). [Law on territorial division of the Republic of Macedonia and determination of the area of the units of local Self-Government (Official Gazette, 49/96, Sep. 14, 1996)].

*მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა განსხვავდება საერთაშორისო ორგანიზაციების დროშებისა და გერბებისგან.*

*სიმბოლოების შექმნა და დამტკიცება რეგულირდება წესდებით (სტატუტით).*

*გერბი და დროშა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ რეგისტრირების შემდეგ.<sup>10</sup>*


მოგვიანებით, 2004 წელს, მუნიციპალიტეტების რაოდენობა შემცირდა 83-მდე (და ქ. სკოპიე განსაკუთრებული სტატუსით)<sup>11</sup>, ხოლო 2013 წელს – 80-მდე (და ქ. სკოპიე).

ახალი კანონის მე-10 მუხლის თანახმად:

- (1) მუნიციპალიტეტს აქვს უფლება იქონიოს საკუთარი გერბი და დროშა.
- (2) მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა განსხვავდება სახელმწიფო გერბისა და დროშისგან, ქ. სკოპიეს გერბისა და დროშისგან და სხვა მუნიციპალიტეტების დროშებისა და გერბებისგან.
- (3) მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა განსხვავდება სხვა ქვეყნების გერბებისა და დროშებისგან, სხვა ქვეყნების მუნიციპალური გერბებისგან და დროშებისგან და საერთაშორისო ორგანიზაციების დროშებისა და გერბებისგან.
- (4) დროშის და გერბის შექმნა და დამტკიცება რეგულირდება წესდებით (სტატუტით).

10 Закон за локалната самоуправа (Службен весник бр 52/95, 1 ноември 1995), [Law on Local Self-Government (Official Gazette, 52/95, Nov. 1, 1995)].


11 Закон за локалната самоуправа (Службен весник бр 55/04, 16 август 2004).



ბიტოლა



კრუსევი



კუმანოვი

სურ. 2

- (5) თვითმმართველობის სამინისტრო ვალდებულია მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია მოახდინოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
- (6) სიმბოლოს გამოყენება ძალაში შედის მხოლოდ აღნიშნული სიმბოლოს რეგისტრაციის შემდეგ (იხ. პუნქტი 5).
- (7) თვითმმართველობის მინისტრი ვალდებულია მიაწოდოს თვითმმართველობას ინფორმაცია ამ კანონის მე-5 პუნქტის შესახებ და გაუწიოს საჭირო დახმარება და კონსულტაციები.<sup>12</sup>

ეს ორი კანონი არეგულირებს მაკედონიის მუნიციპალური ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის რამდენიმე ასპექტს. შესაბამისად, მაკედონია გახლავთ აღმასრულებელ მთავრობასთან არსებული ჰერალდიკური კანონმდებლობის მქონე ერთ-ერთი ქვეყანა.<sup>13</sup>

ზემოთ აღნიშნული კანონები მხოლოდ გერბის რეგისტრაციის პროცესს არეგულირებს. აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ სამი მნიშვნელოვანი დასკვნა:

1. ყველა მუნიციპალიტეტს აქვს უფლება იქონიოს გერბი და დროშა.
2. ეს უფლება დაცულია მუნიციპალური წესდების მიმართ.
3. გერბი და დროშა უნდა გატარდეს თვითმმართველობის სამინისტროსთან არსებულ რეესტრში.

რეალობა კი სულ სხვა სურათს გვიჩვენებს:

1. სიტყვა „გერბი“ ატარებს ძალიან ზოგად მნიშვნელობას და ნიშნავს სიმბოლოს. შემდგომში ცხადი გახდება, რომ

ზოგიერთ მუნიციპალურ სიმბოლოს არ შეიძლება ეწოდოს გერბი ამ სიტყვის თუნდაც ფართე გაგებით.

თითქმის ყველა მუნიციპალური სტატუტი (წესდება) ერთმანეთისგან არის გადმონერილი. გერბის მიღების შესახებ მუხლში წერია, რომ გერბის მოპოვება უნდა მოხდეს ზოგადი საზოგადოებრივი კონკურსის შედეგად. შემდეგ მუნიციპალიტეტი აცხადებს ზოგად საჯარო კონკურსს ყველანაირი ჰერალდიკური ნორმის დაცვის გარეშე და გამარჯვებულ ესკიზს წარადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოში. კონკურსის მთავარი მოთხოვნა თითქმის ყველგან ერთნაირია:

„გერბი უნდა შეიცავდეს ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, კერძოდ: ისტორიული ტრადიციისა და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ მახასიათებლებს“.<sup>14</sup>

ვინაიდან კომისიის წევრებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ შესაბამისი ჰერალდიკური ცოდნა და განათლება, ამ ტიპის კონკურსები ტარდება, როგორც ჩვეულებრივი, რეგულარული საჯარო კონკურსები, სადაც მატერიალურ მხარეს ენიჭება საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. აგრეთვე ხშირად დიდ როლს ასრულებს ადგილობრივი პატრიოტიზმიც.

სიმბოლოების რეგისტრირება ხდება მუნიციპალური ერთეულების გერბებისა და დროშების რეესტრში, რომელიც თვითმმართველობის სამინისტროში ინახება. რეგისტრაციის

<sup>12</sup> Закон за локалната самоуправа (Службен весник бр 5/02, 29 јануари 2002).

<sup>13</sup> Стојан Антонов, БХВО, 15 октомври 2008. [Stoyan Antonov, BHVS, Oct. 15 2008).

<sup>14</sup> Член 2, Одлука за начинот и постапката на утврдување на грб и знаме на Општина Карпош, Гласник на Општина Карпош, гласник 2005 број 6 од 20 јуни 2005. [Article 2, Decision on the way and procedure for determining the Coat of Arms and flag of the Municipality of Karposh, Gazette of Municipality of Karposh, Gazette 2005, #6 of June 20, 2005].

პროცესის ზედამხედველობა ევალება სამინისტროს მიერ დანიშნულ თანამშრომელს, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ მხარეს ამონებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სრულად არის წარმოდგენილი;
2. მუნიციპალიტეტის წესდებაში არსებობს მუხლი დროშისა და გერბის შესახებ;
3. გერბის შერჩევისა და დამტკიცების პროცესი ჩატარდა ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად;
4. ტექსტის არსებობის შემთხვევაში, წარწერის შესრულება უნდა მოხდეს კირილიცათი მაკედონიურ ენაზე და შემდეგ უმცირესობის ენაზე, თუ ასეთი არსებობს.

პროექტს თან არ ერთვის ჰერალდიკური, ისტორიული ან სხვა რაიმე ექსპერტიზის დასკვნა, გარდა სახელმწიფო სამრეწველო საკუთრების სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი-სა მსგავსი სიმბოლოს არარსებობის შესახებ.

სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ჩაბარებისთანავე გერბი ტარდება რეესტრში და მუნიციპალიტეტს ენიჭება სიმბოლოს გამოყენების უფლება.<sup>15</sup> არ არსებობს არანაირი სტანდარტი ან სისტემა ჰერალდიკური გერბის დასამტკიცებლად. თუმცა, რადგან კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სადამსჯელო ნორმებს ან საურავებს, ბევრი მუნიციპალიტეტი საერთოდ არ არეგისტრირებს დროშებსა და გერბებს.

აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა, როცა მუნიციპალიტეტი მაკედონიის ჰერალდიკურ საზოგადოებას კონსულტაციისთვის მიმართავს, მაგრამ ადგილობრივ საკრებულოს შეუძლია ბათილად ცნოს კომისიის დასკვნა იმ შემთხვევაში, თუ მათ არ მოსწონთ გერბის შემოთავაზებული ჰერალდიკური მოდელი.<sup>16</sup>

### მუნიციპალური გერბები

მაკედონიის ჰერალდიკის აღორძინება სოციალისტურ პერიოდს დაემთხვა და, შესაბამისად, მასზე სოციალისტური მემკვიდრეობის გავლენა საკმაოდ ძლიერია, კერძოდ, ლანდშაფტური ელემენტების გამოყენება მა-

კედონიის რესპუბლიკის ჰერალდიკაში ყველაზე გავრცელებული კონცეფციაა. ზოგადი სიმბოლოების გამოყენება კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელი ატრიბუტების და თვისებების წარმოსაჩენად, როგორც მთავარი ჰერალდიკური იდეა, საზოგადოებისთვის საკმაოდ ახალი და ძნელად მისაღები აღმოჩნდა. გერბების შექმნის დროს ყველა ცდილობს ფარზე რაც შეიძლება მეტი ობიექტის განთავსებას და გამოსახული ობიექტის ორიგინალთან თითქმის ფოტოგრაფიული მსგავსების მიღწევას.

2012 წლის კვლევის თანახმად, მოხდა მუნიციპალური გერბების კლასიფიცირება სიმბოლოების გამოყენების კონცეფციასა და ზოგადი ჰერალდიკური ტრადიციების გათვალისწინებით.<sup>17</sup> გამოვლინდა 5 ზოგადი კატეგორია და რამდენიმე ქვეკატეგორია. აქედან ნათლად გამოჩნდა, რა შეიძლება გაკეთდეს ჰერალდიკური სტანდარტების მისაღწევად.

1. ჰერალდიკური გერბები (10 გერბი).
2. გერბები, რომლებიც უმნიშვნელო ცვლილებების შემდეგ მიიღებს ჰერალდიკურ სახეს (10 გერბი), სამი ქვე-კატეგორია: 2a) ტექსტის ამოღება; 2b) არაჰერალდიკური ელემენტების ამოღება; 2c) ნახატიის შესწორება ჰერალდიკური პრინციპების მიხედვით.
3. ჰერალდიკური გერბები, რომლების გადახედა შესაძლებელია ჰერალდიკური პრინციპების შესაბამისად (10 გერბი): 3a) გვირგვინის და ტექსტის განთავსება ფარის გარეთ; 3b) ფერების შეცვლა; 3c) ელემენტების კორექტირება (ტექსტის ამოღება).
4. თითქმის არაჰერალდიკური გერბები (13), რომლებიც, ჰერალდიკური პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროებს სერიოზულ დიზაინერულ ცვლილებას და ელემენტების რაოდენობის შემცირებას.
5. არაჰერალდიკური გერბები, გერბები, რომლებიც ცვლილებას არ ექვემდებარება, 37 გერბი 4 სუბკატეგორიაში: 5a) რეალისტური პეიზაჟი; 5b) სიმბოლური პეიზაჟი; 5c) კვაზიჰერალდიკა; 5d) ლოგოები (სურ. 3).

აქედან დასკვნა: მაკედონიის მუნიციპალური გერბების უმრავლესობა არაჰერალდიკური და სოციალისტური „პეიზაჟური“ გერბებია. 83 გერბიდან 37 (45%) არაჰერალდიკური გერბია, რომლებიც ცვლილებას არ ექვემდებარება. თითქმის არაჰერალდიკურ

15 The Register of Coat of Arms and Flags of the Units of Local Self-Government, although a public document, has not been accessible to us in spite of many attempts over the last 15 years.

16 როგორც პრობლემებში 2011 წელს და კისელა ვოდაში 2013 წელს მოხდა.

17 Jovan Jonovski, „Municipal Heraldry in the Republic of Macedonia“, Macedonian Herald 6, 2012.



ჰერალდიკური -  
ცენტარის  
მუნიციპალიტეტი

ჰერალდიკურთან  
მიახლოებული -  
გოსტივარი

შესაძლო  
ჰერალდიკური -  
როსომანი

თითქმის  
არაჰერალდიკური -  
კრატოვო

კვაზიჰერალდიკური  
- ჩუჩერ -სანდევო

სურ. 3

გერბებთან ერთად (16%) ეს რიცხვი შეადგენს საერთო რაოდენობის 60%-ს.

**ფარი**


მაკედონიის ჰერალდიკა არ ეფუძნება ერთი კონკრეტული ფარის ფორმას, მაგრამ ფარის ფორმა გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ჰერალდიკის თეორიაში. 2015 წელს მოხდა მაკედონიური ტერიტორიული ჰერალდიკის ფარების კლასიფიცირება.<sup>18</sup>

1. ესპანური - 16 გერბი
2. რენესანსი - 15, აქედან 12 ერთი მრუდით, ხოლო 3 - ორი მრუდით
3. გოთიკური - 7
4. ნეოგოთიკური<sup>19</sup> - 6
5. ფრანგული - 3
6. პოლონური - 3
7. ბაროკო ან ნეობაროკო - 2

8. მრგვალი ან ოვალური - 2
9. სამკუთხედი (ექიუ) (heater) -
10. დიზაინერული<sup>20</sup> - 16 გერბი, 5 სუბკატეგორიის: a) პროესპანური<sup>21</sup> b) პროფრანგული c) პროგოთიკური d) პროექიუ e) გაურკვეველი წარმოშობის (სურ. 4).

გერბების მაგივრად გამოიყენება ლოგოებიც (8 მუნიციპალიტეტში), მაგრამ ამ საკითხს აქ არ განვიხილავთ.



ტერიტორიულ ჰერალდიკაში გამოყენებული ფარების ფორმებისა და ზომების ამ მრავალფეროვნების გამო მაკედონიის ჰერალდიკურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ფარის სტანდარტის შემოღება. ეს გახლავთ ქვედა მხარის დიდი რადიუსის მქონე გოთიკური ფარი, სადაც მრუდი იწყება ფარის ნახევარსიმალიდან, რომლის თანაფარდობაა 6x8 (მაგ., მავროვო-როსტუშის მუნიციპალური გერბი).



სურ. 4 მაკედონიის მუნიციპალური ჰერალდიკის ფარები

18 Јован Јоновски, Симболите на Македонија, Силсон, Скопје, 2015, 213-216.  
19 გოთიკური ფარით ინსპირირებული ახალი დიზაინი.

20 ტრადიციული ფარებით შთაგონებული თანამედროვე დიზაინერების მიერ შექმნილი ფარები.  
21 პრო = მსგავსს.



სურ. 5. MTHS სტანდარტების გათვალისწინებით შექმნილი მცირე, საშუალო და დიდი გერბები (რადიკოვის მუნიციპალიტეტი)

**მაკედონიის ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემა**

გერბების დიზაინის პროცესის ჰარმონიზაციის მიზნით მაკედონიის ჰერალდიკურმა საზოგადოებამ (MHS) შეიმუშავა გარკვეული წესები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ჰერალდიკური გერბების შექმნა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ადაპტირება. მაკედონიის ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემა (MTHS) სრულად შეესაბამება მაკედონიის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობას და ტერიტორიულ ორგანიზებას. ამ სისტემის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობისთვის გათვალისწინებულია ჰერალდიკური გერბი, დროშა, სამკერდე ნიშანი და ჰერალდიკური ბეჭედი.<sup>22</sup>

არსებობს გერბის სამი ფორმა: მცირე, საშუალო და დიდი. დიდი გერბი შედგე-

ბა სტანდარტული ფარის, გვირგვინისა და ყვავილოვანი ორნამენტისგან (გვირგვინი) (სურ. 5).

მაკედონიის ტერიტორიულ ჰერალდიკაში არსებობს ორი რანგის გვირგვინი: საქალაქო და საგარეუბნო შესაბამისად.

საქალაქო ქონგურიანი გვირგვინი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, დედაქალაქის, ისტორიული დედაქალაქის და ქალაქ სკოპიეს მუნიციპალიტეტის. არსებობს ერთი ტიხროვანი გვირგვინიც (ნოვო სელო).

ყვავილოვანი ორნამენტი ხაზს უსვამს თითოეული მუნიციპალიტეტის უნიკალურობას. გარდა ამისა, გერბს შეიძლება ახლდეს დევიზი ან რაიმე სხვა დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტი. სამივე ფორმის გამოყენება განსაზღვრულია დროშის და გერბის გამოყენების წესებით (სურ. 6).



ნოვო სელოს ტიხრებანი გვირგვინი



დემირ-ჰისარის საქალაქო გვირგვინი



ოჰრიდის ისტორიული დედაქალაქის გვირგვინი



დედაქალაქ სკოპიეს გვირგვინი

სურ. 6. ჰერალდიკური გვირგვინები

<sup>22</sup> Ivan Nacevski, „Macedonian municipal heraldry system“, Macedonian Herald 4, 2014.

MTHS-ის რეგულაციის შესაბამისად, მუნიციპალური დროშის პროპორცია შეადგენს 2:3, რაც ნიშნავს, რომ მუნიციპალური დროშა არის სახელმწიფო დროშაზე მოკლე და ერთმანეთის გვერდზე გამოფენის დროს ნათლად ჩანს სახელმწიფო დროშის უპირატესობა.

MTHS მიესალმება მუნიციპალურ დროშაზე მცირე გერბის გამოყენებას, მაგრამ ეწინააღმდეგება იმავე ბლაზონის სრულ რეპლიკაციას, როგორც არის, მაგალითად, დროშის ფორმის ჰერალდიკური გერბის ბანერი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის შტანდარტის სახით. მუნიციპალური გერბები გამოისახება აგრეთვე ცერემონიალურ დროშებზე, ე. წ. გონფალონებზე (იხ. მუნიციპალური სიმბოლოების გამოყენების წესი<sup>23</sup>) (სურ. 7).

სამკერდე ნიშანი იქმნება პატარა გერბის საფუძველზე, მაგრამ შეიძლება სრულიად დამოუკიდებელი იყოს. ჰერალდიკური სამკერდე ნიშანი არ წარმოადგენს მცირე გერბის სრულ

ასლს და გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ მუნიციპალური ადმინისტრაციის თანამშრომლების განმასხვავებელი ნიშანი (ინსიგნიას).

სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენების სახელმძღვანელოს მიხედვით, მუნიციპალური ბეჭდებისთვის გამოიყენება საშუალო გერბის გამოსახულება, რაც ხაზს უსვამს ბეჭდის ოფიციალურ სტატუსს (სურ. 8).

MTHS-ის მთავარი პრინციპი მუნიციპალური სიმბოლიკის შექმნისას გახლავთ კონკრეტული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი კულტურული, ისტორიული და ბუნებრივი ასპექტების გათვალისწინება და მათი გამოსახვა ჰერალდიკურად სწორ მანერაში.

MTHS ზრუნავს ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ტრადიციების გაგრძელებაზე. შესაბამისად, უკვე არსებული, ჰერალდიკურად გამართული გერბები დამტკიცებული და ინტეგრირებულია სისტემაში. ჰერალდიკურთან მიახლოებული გერბები შეიძლება დაიხვეწოს ჰერალდიკური სტანდარტების გათვალისწინებით



ოპრიდის დროშა



ჩემინოვო-ობლევევოს დროშა



რადოვიშის დროშა



დემირ პისარის დროშა

სურ. 7.

23 Macedonian Heraldic Society, Rulebook on Usage of Municipal Symbols, 10.6.2013.




მერის დროშა

ცერემონიალური დროშა-ხორუგვი

ჰერალდიკური სამკერდე ნიშანი

ლოგო

სურ. 8. MTHS, ელემენტები



არაჩინოვო

ცენტარის მუნიციპალიტეტი

სურ. 9. ჰერალდიკური გერბები, რომლებიც შეესაბამება MTHS-ის სტანდარტებს

ან შეიცვლოს ახალი ჰერალდიკური გერბებით.

შესაბამისად, ჰერალდიკურად არასწორი გერბები ერთმნიშვნელოვნად ვერ გახდება MTHS-ის სისტემის ნაწილი და შეიცვლება სათანადო ჰერალდიკური გერბებით (სურ. 9).

ამასთანავე, MTHS მკაცრად ეწინააღმდეგება მაკედონიის სახელმწიფო სიმბოლოების, მათი ცნობადი ელემენტებისა და სახელმწიფო ფერების დომინანტური კომბინაციის სახით გამოყენებას ტერიტორიულ ჰერალდიკაში. აგრეთვე აკრძალულია ნებისმიერი ეროვნული, ტერიტორიული, ადგილობრივი და კორპორატიული გერბების ან მათი ცნობადი ელემენტებისა და იმ რელიგიური,

რასობრივი, ეთნიკური ან კლასობრივი ელემენტების გამოყენება, რომლებსაც შეუძლია დისკრიმინაციის გამოწვევა.

ამ დრომდე მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტის გერბი შეესაბამება სრულად MTHS-ის მოთხოვნებს: რადოვიშის, ნოვო სელოს, ჩესინოვო-ობელშევოს, კოჩანის, დემირ ჰისარის, ოჰრიდის, სვეტი ნიკოლეს და პრობიშტიპის, რაც მაკედონიის რესპუნლიკის მუნიციპალიტეტების 10%-ს შეადგენს.

## იოჰან იონოვსკი

მაკედონიის ჰერალდიკის საზოგადოების  
პრეზიდენტი

ქართულად თარგმნა ვიქტორია სარჯველაძემ

## ოთხურსელა ყვავილი თუ ბოლნური ჯვარი?

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკურ საცავში დაცულია გიორგი IV ლაშას (1210-1223) უნიკალური მონეტა, რომელიც უპასპორტოა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მონეტის მფლობელი ვინმე მოქალაქე მედვედევი იყო, რომელმაც მონეტა მიყიდა ტფილისის თავადაზნაურთა საზოგადოებას.<sup>1</sup> რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს, 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ის საფრანგეთში გაიტანა (ეროვნულ საგანძურთან ერთად), საიდანაც შემდგომში სამშობლოში, კერძოდ კავკასიის მუზეუმში დაბრუნდა, რომლის სამართალმემკვიდრეც დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმია.

2013 წელს ჩვენ (თანაავტორი ირაკლი ფალავა) საკმაოდ დიდი პუბლიკაცია მიუძღვევით ამ მონეტას.<sup>2</sup> ნაშრომში, გარდა ისტორიულ-ნუმისმატიკური მიმოხილვისა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ სამონეტო იკონოგრაფიის ცალკეულ დეტალებს, რომელთა ახლებური ამოკითხვით მივიღეთ დასკვნამდე, რომ გიორგი IV ლაშას მონეტის ავერსზე არსებული სიუჟეტი მეფედ კურთხევის სცენის გამოსახვაა.

რამდენიმე წლის დაგვიანებით კვლავ ვუბრუნდები იკონოგრაფიულად საკმაოდ გადატვირთულ და ამით ქართული ნუმისმატიკური ძეგლებიდან გამორჩეულ მონეტას. შევეცდები, ამოვხსნა რევერსზე აღბეჭდილი დეკორის სიმბოლური მნიშვნელობა.

### მონეტის აღწერილობა<sup>3</sup>

**ავერსი:** ახალგაზრდა მამაკაცის სრულტანიანი გამოსახულება. თავის ირგვლივ ჩანს შარავანდის ნაშთები. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ნივთი უჭირავს, მარცხენაში - აპოკომბიონი; აპოკომბიონს ეხება (იჭერს, ან, საფიქრებელია, აწვდის მონარქს) ზეციდან გადმონვდილი ორი ხელი. ფიგურის მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასომთავრული გრაფემებია, რომელთა თავმოყრა გვაძლევს შემდეგ წარწერას.

ჟ უ ჯ

ჩ ბ ს ს

გ[იორგი] ძე  
თ[ა]მ[ა]რ[ი]სი



სურ. 1

1 Пахомов, Монеты Грузии, 100.

2 მ. პატარიძე, ი. ფალავა, „გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა“, საისტორიო კრებული, 3 (2013), გვ. 197-265.

3 მ. პატარიძე, ი. ფალავა, „გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა“, საისტორიო კრებული, 3 (2013), გვ. 204-205.



მარჯვნივ, მარცხენა მკლავზე გადმოფენილი დიადემის ბოლოს ქვემოთ მოჩანს ასო **ზ** (ლასი)-ს ზედა ნაწილი, რომელიც თარიღის შემორჩენილ ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

**რევერსი:** ნერტილებისგან შემდგარი ხაზებით გამოყვანილი ფიგურა („ვარდული“), სივრცეს ოთხ ნაწილად ყოფს; „ვარდულის“ ოთხ სეგმენტში თარიღის მაუნყებელი ფორმულის შემადგენელი სიტყვებია:

ვარდულის ზედა ნაწილში (ვერტიკალურად): **ماية** (-ასს)

მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში:  
ست (ექვსსა)<sup>4</sup> / سنة (წელსა)

ქვედაში (ვერტიკალურად):  
ست و (და ექვს-)

რაც უნდა შეჯამდეს როგორც მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ ქვევიდან ზევით წაკითხული ლეგენდა:

سنة ست و ست ماية  
წელსა ექვსსა და ექვს-ასს

„ვარდულის“ მიერ გაყოფილ სეგმენტებში არაბული გრაფემებია, რომელთა ამოკითხვით ვიღებთ წარწერას:

ملك [ك] || الم [ل] [ن] || ك  
=====  
تاسار [س] || > [م] ||  
المسح ||

სრულად აღდგენილი ლეგენდის თარგმანი ქართულ ენაზე შემდეგნაირია (თითოეულ სტრიქონში წაკითხვა, არაბული წესით, მარჯვნიდან უნდა იწყებოდეს):

მეფეთა || მეფე  
[ძე] (გი=)ქი || ქიურ (=გიორ)-  
=====  
მახვილი || თამარისაი  
|| მესიისა

4 სიტყვის თავზე თითქოსდა რაღაც გაურკვეველი მოჩანს, რაც შეიძლება ინტერპრეტირებულ იყოს როგორც რამდენიმე გაცვეთილი სიმბოლო, შესაძლოა – عشر – ანუ, ათი, რაც თარიღს (606) 616-ად გადააქცევდა (= 1219/20) (Пахомов, *Монеты Грузии*, 101). თუმცა ვეთანხმებით ე. პახომოვს (Ibid.), რომ თარიღად მაინც 606 და არა 616 არის აღნიშნული.



სურ. 2

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ეტაპზე ჩემთვის საინტერესო რევერსზე გამოსახული ეგრეთ წოდებული ვარდულია. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დეკორი ძალიან ხშირია XIII საუკუნის მოჭიქული კერამიკის ნაწარმზეც. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს 2017 წლის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩენილი ჯამი<sup>5</sup> (სურ. 2).

ჯამის ცენტრში ოთხფურცელა ყვავილია (ვარდული) გამოსახული, რომელიც სივრცეს ოთხ ნაწილად ყოფს. თითოეულ ამ სეგმენტში ამოკანრულია მწვანე და ოხრის ფერზე თეთრი ყლორტოვანი ორნამენტი. ჯამი დაფარულია უფერული ქიქურით. დეკორს გარშემოყვება ორი პარალელური ხაზი. მსგავსი დეკორით შემკული ჭურჭელი მ. მინიშვილის მიერ შედარებული იქნა ლაშა გიორგის მონეტის რევერსის გამოსახულებასთან<sup>6</sup>. მეცნიერი ამ ორნამენტს ოთხფურცელა ყვავილს უწოდებს.

ლაშა გიორგის რევერსზე წარმოდგენილ დეკორსაც შემოუყვება გარშემო ნერტილოვანი რკალი, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ გაცვეთილია და მხოლოდ ერთი ფრაგმენტი-ლა ჩანს.

როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა და ეჭვს არ იწვევს, რომ ორივე არტეფაქტზე დომინანტი ყვავილის მსგავსი ორნამენტი, მაგრამ შემდგომი დაკვირვებებით ახლებური ინტერპრეტაციის გაკეთება ვცადე. ამაში

5 დ. ბერიკაშვილი, არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს, არქეოლოგია № 2. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2018, გვ. 21-22.

6 მ. მინიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში, IX-XIII სს., 1979, გვ. 53.



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

დიდი დახმარება გამიწია ჭერმისხევში აღმოჩენილმა ვერცხლის თასმა.

1994 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზანში მცხოვრებ ალიკა ნიკოლოზის ძე ქიტესაშვილისგან შეიძინა მოოქრული ვერცხლის თასი (სურ. 3, 4), რომელიც, მისი თქმით, შემთხვევით უპოვიათ მუკუზანის მახლობლად ჭერმისხევში (საინვ. № 11-994. თასის – 37 მმ, პირის – 121 მმ, პირის სისქე – 4 მმ, წონა – 382,10 გრ).<sup>7</sup>

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტის ლაბორატორი-

აში ჩატარდა ჭერმისხევის თასის ძირსა და პირზე არადესტრუქციული რენტგენო-ფლუორესცენტული სპექტრული კვლევა, განისაზღვრა ოთხი ელემენტი: ვერცხლი, ოქრო, სპილენძი და ტყვია (ძირი: Ag – 92.020 %; Au – 4.807%; Cu – 2.941%; Pb – 0.232%. პირი: Ag – 92.318 %; Au – 0.716%; Cu – 3.662%; Pb – 0.304%).

როგორც ვხედავთ, თასი მდიდარი და, შეიძლება ითქვას, გადატვირთული რელიეფური დეკორით არის გაფორმებული. ჭერმისხევში აღმოჩენილი ეს თასი გვიანსასანური ეპოქის ტორეგტიკის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც დათარიღებულია VI-VII საუკუნეებით.<sup>8</sup>

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება თასის ფსკერი (სურ. 5), რო-

<sup>7</sup> ი. გაგოშიძე, გ. გაგოშიძე, ვერცხლის თასი ჭერმისხევიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, V (50-B), 2014, გვ. 341.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 342.



სურ. 7



სურ. 8

მელზეც ორმაგ წრენიში ჩასმულია ისეთივე ოთხფურცელა ყვავილი, როგორც ლაშა გიორგის მონეტის რევერსზე და XIII საუკუნის მოჭიქულ ჯამზე. აქაც ეს „ვარდული“ წრეს ყოფს ოთხ ნაწილად, მაგრამ მოოქვრის საშუალებით ჩვენ ნათლად ვხედავთ ტოლმკლავა ჯვარს.

თასის ფსკერზე გამოსახული წრეში ჩანერილი ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 4, 7) იმ გასხვივოსნებული ჯვრის განსახიერებაა, რომელიც კონსტანტინე დიდს მაქსენციუსთან ბრძოლის წინ (312 წ.) ცაზე გამოეცხადა. ამგვარ ჯვარს – „ჯვარი ძლევისაი“ ან, უბრალოდ, „ძლევაი“ ეწოდება<sup>9</sup>. წრეში ჩახაზული ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებები მრავლად გვხვდება როგორც ადრეულ, ისე განვითარებულ შუა საუკუნეების ხელოვნებაში.

ვინაიდან გიორგი ლაშას მონეტა XIII საუკუნეს მიეკუთვნება, საჭიროდ ჩავთვალე მაგალითად მომეყვანა ამავე პერიოდის ქართული გუმბათოვანი ტაძრის ერთ-ერთი რელიეფი (სურ. 7).

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისის სიონიდან ორიოდ კილომეტრზე, მდინარე ბოლნისისწყლის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდზე მდებარეობს წულრულაშენის ტაძარი. ტაძრის ნარჩენებში მოხსენიებული არიან გიორგი მეფე და ეკლესიის მშენებელი ჰასან არსენის ძე. რენე შმერლინგის აზრით, ნარჩენებში მოხსენიებული გიორგი მეფე გიორგი IV ლაშაა. სავარაუდოდ, ეს ხუროთ-

მოდგრული ძეგლი ლაშას მეფობის დროს (1210-1222წწ.) აშენდა<sup>10</sup>.

რელიეფს თუ დავაკვირდებით აშკარად ჩანს ორ პარალელურ წრეში ჩასმული, ეგრეთ ნოდებული ბოლნური ჯვარი. ჯვრის მკლავებს შორის კი ფოთლისებურ ორნამენტებს ვხედავთ, რომლებსაც თუ სხვა პოზიციიდან შევხედავთ ისევ ოთხფურცელა ყვავილს მივიღებთ (სურ. 8).

„ბოლნური ჯვრის“ შექმნა შესაძლებელია წრენიერების გადაკვეთის საშუალებით. სწორედ ეს კვეთა ქმნის ამ დეკორს, რომელსაც ხან ვარდულს და ხან ოთხფურცელა ყვავილს უწოდებენ.

გამოდის, რომ ეს დეკორი მეორეხარისხოვანია და დომინანტი აქ ჯვრის გამოსახულებაა. მიუხედავად ამისა, მას „უყურადღებოდ“ არ ტოვებენ და სხვადასხვაგვარად ამკობენ.

ამ რაკურსით თუ შევხედავთ, ცხადი ხდება, რომ XIII საუკუნის მოჭიქული კერამიკის ნაწარმზე მთავარი ამ ეგრეთ ნოდებული ყვავილის საშუალებით შექმნილი ჯვარია, რომელიც მდიდრულად არის მორთული. ეს შემთხვევით არ ხდება. ოსტატი ცდილობს ყლორტოვანი ორნამენტით გამოარჩიოს ჯვარი ჭურჭლის ზედაპირზე ისევე, როგორც ჭერმისხევის თასზე ჯვარი გამოკვეთილია მოოქვრით.

დავუბრუნდეთ გიორგი IV ლაშას უნიკალური მონეტის რევერსს. ამ შემთხვევაშიც თვალში საცემი უფრო ვარდულია, რომე-

9 იქვე გვ. 343.

10 პ. ზაქარაია, ბოლნისები და წულრულაშენი, 1953, თბილისი. გვ. 78.



სურ. 9

ლიც, მართალია, ნამდვილად ყოფს სივრცეს ჯვრისმაგვარ სეგმენტებად, მაგრამ დეკორით მორთვას ვერ ვხედავთ. სამაგიეროდ გაცილებით მნიშვნელოვანია ჯვრის მკლავებზე აღბეჭდილი ინფორმაცია, წარწერა - „გიორგი ძე თამარისა მესიის მახვილი“. ავერსზე დატანილ მეფედ კურთხევის სცენასთან ერთად, ჯვრის მკლავებში არაბულად ჩანერილი „მესიის მახვილი“ ვფიქრობ, პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს, რითაც ამცნობს მახლობელი აღმოსავლეთის მოქალაქეებს, რომ ქრისტიანული აღმსარებლობის მეფე ადის ტახტზე (სურ.9).

მოჭიქული კერამიკის აღწერილობისას, მ. მინიშვილის თქმით, შესაძლოა ყლორტოვანი ორნამენტების მიღმა გაცილებით ღრმა

შინაარსი დევს<sup>11</sup>. ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, ძნელი წარმოსადგენია იმაზე ძლიერი და სასწაულმოქმედი იარაღი, ვიდრე „ჯვარი ძლევისაი“.

ამრიგად, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გიორგი IV ლამას უნიკალური მონეტის რევერსზე, XIII საუკუნის მოჭიქულ თასსა და ნულრულაშენის რელიეფზე (სურ. 9), „ჯვარი ძლევისაი“ არის გამოსახული.

### მაია პატარიძე

ისტორიის დოქტორი. ნუმისმატი საქართველოს ეროვნული მუზეუმი

11 მ. მინიშვილი, მოჭიქული კერამიკის სანარმო შუა საუკუნეების თბილისი, IX-XIII სს., 1979, გვ.54.

# კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის ქართული ეკლესიის ასაგებალ ემიტირებული ლატარიის ბილეთი

რადგან დიდად მიგვაჩნდა საქართველო და გვექონდა ნატვრა მისდამი სამსახურისა ჩვენისა, ყოველნაირი მძიმე შრომა თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას და მის მომავალ ახალ თაობასაც შემწეობა სწავლაში და მეცნიერებაში.

ზაქარია ჭიჭინაძე – აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი

ქართული ბონისტიკური ისტორია სრულყოფილად შესწავლილად ჯერ ვერ ჩაითვლება. მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნია ნიკო ჯავახიშვილის მიერ ამ თემაზე შექმნილი პიონერული ნაშრომი<sup>1</sup>, მაგრამ უკვე ცნობაში მოყვანილი მასალა სრულად სისტემატიზირებულ-კატალოგიზირებულად ჯერაც ვერ ჩაითვლება. ამასთან, დაინტერესებული მკვლევრის ხელში ზოგჯერ სრულებით ახალი, აქამდე აბსოლუტურად უცნობი ქართული ბონისტიკური არტეფაქტიც მოხვდება ხოლმე. ჩვენი მოკლე ნაშრომის მოკრძალებული მიზანი სწორედ რომ სამეცნიერო მიმოქცევაში უნიკალური ტიპის ქართული ქალაქის „ფულის ნიშანის“ შემოტანაა. აღნიშნული ქართული ბონი დიდი ისტორიული მნიშვნელობის პირველწყაროდ წარმოგვიდგება, რომელიც ცხადად და უჩვეულო მხრიდან წარმოგვიდგენს XIX საუკუნის საქართველოსა და ქართველთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრებას; ადასტურებს და ასურათებს ქართული საზოგადოების ერთი სეგმენტის მაინც კომერციულ მიმართებას - საზოგადოებრივ აზრში ბურჟუაზიული ელემენტების გამოჩენას.

სანამ უშუალოდ ამ ქართული ბონის აღწერილობას მოვიყვანდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია საკმაოდ ვრცელი ისტორიული შესავლის გაკეთება.

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის მთავრობის მიერ გატარებულმა რელიგიურმა პოლიტიკამ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი კათოლიკენი; ვითარებისაგან თავის დასაღწევად ქართველ კათოლიკე სასულიერო პირთა ნაწილმა საზღვარგარეთს მიაპურა, კერძოდ, კონსტანტინოპოლს


(სტამბოლს). მათ შორის იყო ახალციხელი მღვდელი პეტრე ხარისჭირაშვილი (ხარისჭირაანთი), რომელიც 1856 წელს ოსმალეთის დედაქალაქში გაემგზავრა, რამდენიმე თვის შემდეგ კი სამოღვაწეოდ გადავიდა ვენეციაში წმ. ლაზარეს სომხურ-კათოლიკურ მონასტერში. იქ მან ქართული სტამბა დააარსა და ქართულენოვან სასულიერო და საერო ლიტერატურის ბეჭდვას შეუდგა.



1859 წელს მამა პეტრე კონსტანტინოპოლში ბრუნდება და ქალაქის განაპირა უბან ფერიქოში შემონირულობებით აარსებს ქართველ ძმათა მონასტერს.<sup>2</sup> 1860 წელს პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობითა და იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით ააგეს ტაძარი ლურდის ღვთისმშობლის სახელზე. ჩვენს მიერ მიკვლეული უნიკალური ბონი სწორედ ამ ეკლესიის ასაგები თანხის

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ნიკო. ქართული ბონისტიკა. თბილისი, 1996.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი მანანა. მონტოპანის ქართველ კათოლიკეთა სავანე. თბილისი, 2009, გვ. 25.



კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია

მოსაზიდად ემიტირებული ლატარიის ბილეთია. 1861 წლის 10 თებერვალს ქართველთა ძმობა *პროპაგანდა ფიდემ* იურიდიულად ცნო. მონასტერში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღევლინებოდა.<sup>3</sup>

1860 წელს მონასტერთან დაარსდა ორწლიანი სასულიერო სასწავლებელი, სადაც პირველ წელსვე მამა პეტრემ 100 მოსწავლეს მოუყარა თავი. მათი დიდი ნაწილი სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად ჩაყვანილი<sup>4</sup> და პეტრეს მიერ გამოსყიდული ქართველი ბავშვები, დანარჩენი კი საქართველოდან სპეციალურად სასწავლებლად შერჩეული ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ.<sup>5</sup> პეტრე ხარისჭირაშვილმა 1864 წელს შეადგინა სასულიერო სასწავლებლის დებულება, რომელიც ვატიკანში დაამტკიცებინა. სასწავლო პროგრამით

ისწავლებოდა საღვთისმეტყველო საგნები, ლათინური, ფრანგული, ქართული ლიტერატურა, ქართული ენის გრამატიკა, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა, საბუნებისმეტყველო საგნები. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლო ფრანგულ სემინარიებში სწავლის გაგრძელება. 1870 წელს სასწავლებელი სამწლიანად გადაკეთდა. სწორედ ამ სასწავლებელში სწავლობდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი, ივანე გვარამაძე, შალვა ვარდიძე, პეტრე მერაბიშვილი და სხვანი.<sup>6</sup>

1870 წელს პეტრე ხარისჭირაშვილმა კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) სტამბაც დააარსა („სტამბახანა“), სადაც 200-ზე მეტი წიგნი გამოიცა ქართულ, ფრანგულ, გერმანულ, თურქულ, ინგლისურ და ბერძნულ ენებზე. ამრიგად, შეიქმნა ქართული მნივნობრობის კიდევ ერთი მძლავრი კერა. იქ გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „გე-

3 ბარდაველიძე ნუგზარ. „მომლოცველობა სტამბოლის ქართულ სავანეში“. საბა N8 (2011), გვ. 7-11.

4 XIX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვასთან დაკავშირებით, იხ. რეხვიაშვილი მიხეილი. *იმერეთის სამეფო* (1462-1810 წწ.). თბილისი, 1989, გვ.422-423.

5 ბლუაშვილი უჩა. *მესხეთის სახელოვანი შვილები*. თბილისი, 2008, გვ. 73.

6 ფუტყარაძე შუშანა. *სტამბოლის ქართული სავანე*. თბილისი, 2012, გვ. 15.

ოგრაფია“, „მოკლე ქართული ღრამატიკა“, „მოკლე რიტორიკა“, „მოკლე ფილოსოფია“, „საქრისტიანო მოძღვრება“ და სხვა. ან ნიგნებიდან ნაწილი უფასოდ ვრცელდებოდა მოსახლეობაში.<sup>7</sup>

კონსტანტინოპოლის ქართველთა სავანის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით პეტრე ხარისჭირაშვილმა ასევე დააარსა სავაჭრო ამხანაგობა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ კომერციული წამოწყება ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ქართველ პატრიოტს შეუდარებლად უფრო გლობალური მიზანი ჰქონდა დასახული - თავისი ერის მსოფლმხედველობის შეცვლა და კომერციის საწყისებზე გადაყვანა, ამის წყალობით კი ეროვნული კეთილდღეობის მიღწევა და წინსვლა.

მამა პეტრეს მიერ სავაჭრო ამხანაგობის დაარსებასა და მის წესდებაზე საინტერესო ცნობებს გვანვდის მისი უმცროსი თანამედროვე ზაქარია ჭიჭინაძე (რომლის ნაშრომიც ერთგვარი პირველწყაროა პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრების შესახებ): „დღე და ღამ სულ ქართველების შესახებ ჰქონდა ფიქრები. უკანასკნელ დროებში ეს სხვა ფიქრებს მიეცა და სხვა საქმეებს დაადგა. ამან გამოაცხადა მთელს ქართველ კათოლიკეებში შემდეგი თავისებური მოსაზრება: ყველა გვარის ტომი დანინაურდა ვაჭრობით, ხელობით და სხვების ცოდნით. მაგრამ ჩვენ ქართველებს კი არა გვეშველა რა, ჩვენი ქვეყანა სავსეა უცხო ტომთ ვაჭრებით, ჩვენში ისინი სარგებლობენ და ქართველ გვარის ნევრნი კი ვალატაკებულნი და დაქვეითებულნი არიან. ამას რამე უნდა ეშველოს და მოველინოს, რომ ქართველ ტომის ერნიც წადგნენ წინ და ვაჭრობას შეეჩვიონ. ამან განიზრახა სავაჭრო ამხანაგობის შედგენა და სტამბოლში დაფუძნება. ამ ამხანაგობას სწირავდა ეს თავის საცხოვრებელს და შეძლებას. ამხანაგობა ფუძნდება იმ ჰაზრით, რომ ქართველ გვარის ერი ევროპიულს ვაჭრობას შეეჩვიოს და ამით ქართველი ერი დანინაურდეს და წინ წავიდეს“.<sup>8</sup>

ქართველი კათოლიკეების კომერციული წამოწყება მყარ პრაქტიკულ საძირკველს დაეფუძნა. ისევ დავესესხოთ ზაქარია ჭიჭინაძეს: „ამისთვის იმართება ხელის მოწერა,

ბევრნი მთელს თავის საცხოვრებელს სწირავენ, როგორც პ. ხარისჭირაშვილი. სანევროთ შეაქვთ 6000 მანეთი. ფულის მოგროვებას, საქმის დამტკიცებას და მტკიცე ქართველ გვარის ძმობის დაარსების შემდეგ ქართველნი კონსტანტინოპოლში აკეთებენ ქარვასლას, აქ ხსნიან მალაზიებს. ქარვასლას ქართველთ ვაჭართ ქარვასლა ეწოდება. საქართველოში იმყოფებიან ძმობის ამხანაგები, რომლებიც საქართველოდგან ამ ქარვასლაში გზავნიან ნაწარმოებს, რაც საქართველოში მოდის. ის იქ იგზავნება და იყიდება. ამის დაყიდვის შემდეგ იქ, ანუ ევროპაში ყიდულობენ იმ საქონლებს, რაც საქართველოში სალდება და გზავნიან საქართველოში მყოფ ძმობის ამხანაგებთან. ამხანაგობა მეცადინეობს, რომ ვაჭრის შევირდებათ მარტო ქართველ გვარის მოწაფენი იყოლიონ და ესენი გამოსწურთონ ვაჭრობაში“.<sup>9</sup>

საგანგებო ყურადღება ეთმობოდა ზნეობის საკითხებსაც; აღსანიშნავია, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა პეტრე ხარისჭირაშვილი ინფორმაციის მიღებას ეროვნულ ენაზე: „კონსტანტინეპოლის ქართველთ ქარვასლის ერთ სართულში სცხოვრობდნენ თვით ვაჭრები, დანარჩენი სართულის ოთახები კი სავაჭროებათ უნდა იყოს დატოვებული. 25 წლამდის ყველა ვაჭარმა უნდა ცოლი შეერთოს, ესენი თავიანთ სახლობით აქ უნდა იყვნენ, შვილებს შესაფერისი განათლება მისცენ, ლოთობა, ჩხუბი და სხვა რამეები ამათში მოსპობილ უნდა იყოს. თავისუფალ დროს ესენი უნდა მისდევდნენ ქართული წიგნებისა და გაზეთების კითხვას. მავნე პირნი, ან ცოლშვილის დამწიოკებელნი, ან ლოთობის მიმდევარს, ჯერეთ დარიგება ეძლევა, მერე ზედამხედველებს უყენებენ და თუ ვერც ეს გაასწორებს მას, მერე რიცხავენ ქართველთ გვარის ძმობიდან. ამ წესდებაში ბევრი კიდევ სხვა რამეებია მოხსენებული“.<sup>10</sup>

სავაჭრო ამხანაგობის მოგება ირიცხებოდა საერთო ფონდში, ნაწილი ხმარდებოდა საგამომცემლო საქმიანობას, ნაწილი ქველმოქმედებას და ნაწილი კი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად მივლინებას. 1900 წლისათვის მონასტრის ძმობის მფლობელობაში იყო რამდენიმე სავაჭრო ობიექტი და 5 დუქანი, რომელთა წლიური შემოსავა-

7 ბლუაშვილი უჩა. *მესხეთის სახელოვანი შვილები*. თბილისი, 2008, გვ. 73.

8 ჭიჭინაძე ზაქარია. *აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი*. ტფილისი, 1895, გვ. 50.

9 იქვე, გვ. 50-51.

10 იქვე, გვ. 51.

ლი 4 ათას რუბლზე მეტს შეადგენდა, ბანკში კი დეპოზიტის სახით 45 ათასი რუბლი ჰქონდათ განთავსებული.<sup>11</sup>

ცხადია, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი და მისი თანამოაზრეები შესანიშნავად ფლობდნენ თავიანთი წამოწყებებისთვის საწყისი კაპიტალის მოძიების სხვადასხვა ხერხს. მეცენატებისგან მიღებული დახმარების გარდა, სახსრების მოპოვებას ახერხებდნენ ხელმოწერისა და ლატარიის ჩატარების გზითაც. ამ უკანასკნელი ხერხის გამოყენებას იუწყება ჩვენს მიერ ერთ კერძო ქართულ კოლექციონში მოძიებული XIX საუკუნის უნიკალური ქართული ბონი - ფერიკოს ქართველი მამების მიერ გამოშვებული ლატარიის ბილეთი.

აქვე მოგვყავს მისი აღწერილობა (იხ. ბილეთის გამოსახულება):

ლატარიის ბილეთი შედგენილია ფრანგულ, ოსმალურ და ბერძნულ ენებზე.

ავერსი: წარწერები ფრანგულ და ოსმალურ ენებზე

ფერიკოში ქართველი მამების

ლურდის ღვთისმშობლის ეკლესიის აღმენების ლატარია

საიმპერატორო ხელისუფლების ნებართვით N1,376

ემისია - 10,800 ბილეთი - თითო ბილეთი 10 ვერცხლის პიასტრისა

- 1 ლოტი 50 თურქული ლივრი .....
- ჯამში 50 თურქული ლივრი
- 2 ლოტი 20 თურქული ლივრი .....
- ჯამში 40 თურქული ლივრი
- 6 ლოტი 5 თურქული ლივრი .....
- ჯამში 30 თურქული ლივრი
- 50 ლოტი 1 თურქული ლივრი .....
- ჯამში 50 თურქული ლივრი
- სულ 59 ლოტი .....
- ჯამში 170 თურქული ლივრი

ბილეთები დეპონირებულია ბატონ გ. ტუბინისთან გალათაში.

ლატარიის ბილეთის ავერსზე დასმულია ოსმალური და ლათინურენოვანი ბეჭდები. ლათინურენოვანი ბეჭდის ტექსტი: „CONG. GEOR. SERVI. IMM. CONCEP. 1861“.

<sup>11</sup> ბლუაშვილი უჩა. *მესხეთის სახელოვანი შვილები*. თბილისი, 2008, გვ. 75.



კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის ქართული ეკლესიის ასაგებად ემიტირებული ლატარიის ბილეთის ავერსი



<b>ΛΑΧΕΙΟΝ</b>		<b>بیانقو</b>	
<b>ΠΡΟΣ ΑΝΘΙΚΟΔΟΜΗΣΙΝ ΤΗΣ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΟΥ</b>		فری کوبنده کورجی کلیسائیک انشاسیچون	
<b>ΔΟΥΦΑΟΥ</b>		حکومت سانیه نیک رخصتبله بهری ایکی چاریک	
<b>ΤΩΝ ΕΝ ΦΕΡΙΚΙΟΙ ΓΕΩΡΓΙΑΝΩΝ ΠΑΤΕΡΩΝ</b>		مجیدیه به اولیق اوزره « ۱۰۸۰۰ » عدد بلیت	
Ἀδελφ τῆς Ἀπόστολ. Κυβερνήσεως.		ترتیب و اخراج اولمشدر .	
<b>ΟΛΙΚΟΝ ΠΟΣΟΝ ΓΡΑΜ. 10,800</b>		عدد بلیت	
ΠΡΟΣ ΓΡΟΣΙΑ 10 ΑΡΓ. ΕΚΑΣΤΟΝ		قزانیلان لیرای عثمانی	
1 ΑΡΙΘ. ΕΚ 50 Α.Τ. ΚΕΡΔΗΣΕΙ Α. Τ. 50		مجموعه ویریه جک لیرای عثمانی	
2 » ΕΞ 20 » ΚΕΡΔΗΣΟΥΣΙ » 40		۰۰ ۰۰	
6 » ΕΚ 5 » » 30		۴۰ ۲۰	
50 » ΕΞ 1 » » 50		۳۰ ۰	
59 ΑΡΙΘ. ΚΕΡΔ. ΤΟ ΟΛΙΚ. ΠΟΣΟΝ Α. Τ. 170		۰۰ ۱	
Τὸ ἐκ τῶν ὑραγυατῶν σαυαχίχῶν ποσῶν κατατεθεισῶν ἐν τῇ Τραπεζῇ τῶν Κυρίων I. Τσαμπίνγ.		۰۰ ۱۰	
		بيع و فروخت اوانسه جق بايتلرك بلى غلطه ده	
		جياسينطو تو بينتك صندايغه تسليم اولنه جقدر .	
		في ۲ كانون ثانی سنه ۱۳۰۲	

კონსტანტინოპოლის ლურდის ღვთისმშობლის  
ქართული ეკლესიის ასაგებად ემიტირებული ლატარიის ბილეთის რეკონსტრუქცია

**რევერსი:** პრაქტიკულად იდენტური წარწერები ბერძნულ და ოსმალურ-თურქულ ენებზე.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ და მოკლედ შევაჯამებთ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული და გაანალიზებული ბონის ისტორიულ ღირებულებას.

ჩვენს წინაშე მეტად საინტერესო ქართული ქალაქის საფასეა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებს მიეკუთვნება და ამრიგად, ქრონოლოგიურად, ჩანს, ყველაზე ადრეულიც კი არის; ამ ბონის სახით სამამულო ბონისტიკური ისტორია კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო კომპონენტით მდიდრდება.

მაგრამ ამ ბონის მნიშვნელობა ამ გარემოებით როდი შემოიფარგლება. ქართული მინა-წყლის დამტაცებელ ორ მეზობელ (რუსეთისა და ოსმალეთის) იმპერიაში მოღვაწე ქართველი პატრიოტების მიერ ჩატარებული ლატარიის ეს ბილეთი ზედმინევენით ზუსტად და ობიექტურად ასახავს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართულ იმ თავგანწირულ შრომას, რომელსაც არ გაურბოდნენ იმდროინდელი ქართველი პატრიოტები.

**ბიბლიოგრაფია**

ბლუაშვილი უჩა. *მესხეთის სახელოვანი შვილები*. თბილისი, 2008.

რეხვიაშვილი მიხეილი. *იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.)*. თბილისი, 1989.

ფუტყარაძე შუმანა. *სტამბოლის ქართული საგანე*. თბილისი, 2012.

ჭიჭინაძე ზაქარია. *აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი*. ტფილისი, 1895.

ჯავახიშვილი მანანა. *მონტოპანის ქართველ კათოლიკეთა საგანე*. თბილისი, 2009.

ბარდაველიძე ნუგზარ. „მომლოცველობა სტამბულის ქართულ საგანეში“. *საბა N8* (2011). გვ. 7-11.

ჯავახიშვილი ნიკო. *ქართული ბონისტიკა*. თბილისი, 1996.


**როლანდ სანდერაშვილი**

ისტორიკოსი, ნუმისმატი

**ირაკლი ფალავა**

ისტორიის დოქტორი, მედიცინის დოქტორი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი





პორტოლანი, 1450წ. უცნობი ავტორი. ქ.მოდენა; ესტენსეს ბიბლიოთეკა

# ქართული გერბები XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში

პორტუგალიის სამეფო კარის კარტოგრაფის ლოპო ომემის შვილის დიეგო ომემის მიერ 1559 წელს შესრულებულ შავი ზღვის აუზის ქვეყნების პორტულანზე საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახულია გერბი და დროშა, რომელთაც, მართალია წარწერა არა აქვს, მაგრამ ქართული ნიშნები უნდა იყოს. იგი წარმოადგენს ოთხად გაყოფილ ფარს, რომლის ჭადრაკულად განლაგებულ ლურჯ და წითელ ველებზე დატანილია ბიზანტიურ დროშაზე გამოსახული ლათინური „B“-ს (ალბათ, „ბასილევსის“ პირველი ასო-ნიშანი) ტრანსფორმირებული ოთხმაგი სიმბოლო (ნიშანი „C“-დ იკითხება), ხოლო დროშა წარმოადგენს მწვანე ფერის ქსოვილს, მასზე ანალოგიური სამი ნიშნით.

ქართული გერბისა და დროშის ამგვარ გამოსახულებას თავისი ისტორიული წანამძღვრები გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ახალი ათენასა“ და „მეორე იერუსალიმის“ აგებით, საქართველო ცდილობდა მართლმადიდებლობის ცენტრი კონსტანტინეპოლიდან

გელათსა და თბილისში გადმოეტანა და თავი მესამე რომად გამოეცხადებინა. ამისათვის საჭირო ნიადაგიც მზადდებოდა, რასაც დასაწყისი 1121 წლის დიდგორის ომში გამარჯვებამ მისცა. ამისი დასტურია ის ფაქტიც, რომ ევროპელთაგან „იოანე-ხუცესად“ მონათლული და საქართველოში „მესიის მახვილად“ წოდებული დავით IV აღმაშენებელი მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის ნაცვლად, გულზე „აღმოსავლეთის ეკლესიის“ მფარველის არქიტრატივი მიქაელის ხატს ატარებდა. მეფე დავითმა ხომ „სულტანი დასუა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი; დასცა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“.

ამას მოჰყვა გიორგი III-ს (1156-1184 წწ.) ეპოქა, რომელსაც „ვინათგან დავითიანობა და სოლომონიანობა მოჰგვარობდა ცხებულ-



დიეგო ომემის (Diego Homem) 1559 წლის პორტოლანი




ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის გერბი

სა ღმრთისასა, ამასცა სოლომონიანებრ ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქვეყანისანი... აძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმუა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მალრიბამდე“. აღარაფერს ვიტყვით თამარსა და გიორგი ბრწყინვალეზე. მას შემდეგ რაც 1439 წელს კონსტანტინეპოლის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ფლორენციის უნიას ხელი მოაწერა, ყველაფერი ნათელი შეიქმნა. აღმოსავლეთს აშკარად სჭირდებოდა „მესამე რომი“.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ბაგრატიონთა გერბზე ბიზანტიური სიმბოლოები გამოჩნდებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა თავად ბიზანტია აღარ არსებობდა. სხვათა შორის, ბიზანტიის მემკვიდრეობისა და მართლმადიდებლობის დამცველის იდეა საქართველომ XVIII საუკუნის დასაწყისშიც გაიხსენა, როცა სახელმწიფო გერბად ორთავიანი არწივი გამოიყენა და ეკლესიებსა თუ ციხეებზე გოლგოთას სცენა – იერუსალიმის ჯვარი გამოსახა.

საფიქრებელია, რომ ეს გერბი ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის (1534-1558 წწ.) ზეობის ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „მეფე ლუარსაბი განთქმულია თავისი ვაჟკაცობით საქართველოს ყველა მეფეთა და თავადთა შორის უძველესი დროიდან დღემდე... თურქებსა და ყიზილბაშებს განსაკუთრებით ემინიათ მისი“. ბერი ეგნატაშვილი მას ვახტანგ გორგა-



იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის დროშა

სალსა და დავით აღმაშენებელს ადარებს და ამბობს: „უკეთუმცა მეფესა ლუარსაბსა ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და, რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან: რამეთუ ესე ლუარსაბ იყო კაცი ბრძენი და გონიერი, მოშიში ღმრთისა და მორწმუნე სჯულიერად, ლუანლ-მრავალი და ბრძოლასა შინა მხნე და ახოვანი და მბრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი“. ისიც აღსანიშნავია, რომ მეფე ლუარსაბის ავტორიტეტი და საერთაშორისო მდგომარეობა შესანიშნავად გააგრძელა მისმა ვაჟმა მეფე სიმონმა I-მა (1558-1604 წწ.). რაც შეეხება დროშას, იგი იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც საკუთარი პოლიტიკური თუ მხედართმთავრული ნიჭის წყალობით შეძლო მთელი ათი წლით ოსმალებისთვის სამცხე-საათაბაგო წაერთმია და იგი საკუთარი სამეფოსათვის შეეერთებინა.

ქართული ისტორიული ჰერალდიკის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ინფორმაციის მომცემია ილია ტაბალუას მიერ ესპანეთის სიმანკას არქივში მიკვლეული ქართლის მეფე სიმონ I-ის სურათი, რომელზეც გერბიც არის გამოსახული საბრძოლო სპილოს სახით. ჰერალდიკაში საბრძოლო სპილოს სემანტიკაა – სიუზერენი, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

მიყვებით ისტორიას...

1558 წელს მეფე ლუარსაბ I სპარსელების წინააღმდეგ გარისთან მომხდარი ბრძოლის დროს დაიღუპა, თუმცა მან მოასწრო ქართლის მეფედ და საკუთარ მემკვიდრედ მისი შვილი 19 წლის სიმონი გამოეცხადებინა. 60-იან წლებ-



ქართლის მეფე სიმონ I

ში მეფე სიმონ I-ს გამუდმებული ბრძოლების გადატანა მოუხდა სპარსეთის სახელმწიფოსთან, რომელთაც თბილისიც კი დაიკავეს. ამას ისიც დაემატა, რომ მისი გამაჰმადიანებული ძმა დაუდ-ხანი სპარსელებს ეახლა და მათი დახმარებით, ქვემო ქართლში დაბანაკებული, ქართლისათვის იბრძოდა სიმონის წინააღმდეგ, რომელსაც ამ დროს გორში ჰქონდა სამეფო რეზიდენცია.

1569 წელს ფარცხისტან მომხდარი ბრძოლის დროს მეფე სიმონი სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდა. იგი ყაზვინში ალამუთის ციხეში ჩასვეს, სადაც შაჰის უფროსი შვილი ისმაილიც იჯდა. ქართველ მეფესა და სპარსელ უფლისწულს შორის მეგობრობა დამყარდა. ისმაილმა გამეფების შემთხვევაში სიმონს მეფობის დაბრუნება შეჰპირდა, თუ იგი არასოდეს აღმართავდა იარაღს სპარსელების წინააღმდეგ. უფლისწული ამბობდა, რომ ისინი ერთმანეთს არ უნდა ებრძოდნენ, რადგან ერთი საერთო მტერი – ოსმალეთი ჰყავთ. სპარსეთში შაჰთამაზის გარდაცვალების შემდეგ ისმაილი გამეფდა, რომელმაც სიმონს პირობა შეუსრულა. 1578 წელს სპარსელების 500 კაციანი ლაშქრისა და ერთგული ფეოდალების დახმარებით მან ქართლის მეფობა დაიბრუნა. სიმონის მოლაღატე დაუდ-ხანმა კი თბილისი დატოვა და სტამბულში გაიქცა. ამის შემდეგ სიმონ მეფე აქტიურად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ.

მარკ ანტონიო აბანიო ესპანეთის მეფე ფი-

ლიპე II-სადმი წარმოდგენილ 1578 წლის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ „ქართველ მეფეებს ომში თან მიჰყავთ მრავალრიცხოვანი სასულიერო პირები მათი უფროსის (პრელატის) მეთაურობით. ისინი ჯვრებით და ანთებული სანთლებით ხელში წინ მიუძღვიან ჯარს, მღერინ ფსალმუნს და ლოცულობენ გამარჯვებისათვის, ხოლო მტრის მოახლოებისას, როდესაც უკვე გაცემულია ბრძანება შეტევის დაწყებაზე, სასულიერო პირები თანდათანობით უკან იხევენ, იკავებენ უშიშარ ადგილს და ლოცულობენ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, ხელთ უპყრიათ რა მაღლა ანეული შტანდარტი ჯვრით“. 1599 წელს ოსმალებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა, რის შემდეგაც იგი სტამბოლის იედიყულეს ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა. ქართველი მეფის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველებს ნება დართეს მისი ცხედარი ქართლში გადმოესვენებინათ.

სიმონ I-ის ცხოვრებისა და ღვაწლის განხილვა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მისი პორტრეტის (სურათის) დამხატვა არ



ქართლის მეფე სიმონ I-ს გერბული საბრძოლო საილო

იცოდა მეფის პირადი გერბი და საბრძოლო საილოს სახით მისი მდგომარეობა აღნიშნა. რაც შეეხება მეფე სიმონის გერბს, იგი მისი მამის ლუარსაბ I-ის გერბის მსგავსად, ლურჯ-წითელი ჭადრაკული ველი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვერცხლის ჯვარი დაემატებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც თავად მეფე რომის პაპისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, „სანამ ცოცხალი ვარ, თავს არ დავზოგავ სამშობლოსათვის, ქრისტესათვის...“

## დავით კლდიაშვილი


ჰერალდიკის სპეციალისტი

# „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმბოლიკა და აკადემიური სამოსელი“

სიმბოლიკა და აკადემიური სამოსელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 2006 წელს შეიქმნა. ეს უნივერსიტეტი ხანგრძლივი ისტორიის მქონე 6 ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად დაფუძნდა.

რექტორატი ჩვენ (ზ.კ.-ს) დაგვიკავშირდა და სიმბოლიკისა და სამოსელის შექმნა გვთხოვა. რექტორატის მიერ თავიდანვე იყო განსაზღვრული ის, რომ გერბზე საქართველოს სახელმწიფო დროშა, უნივერსიტეტის სამი მთავარი თავისუფლება ლათინურად და დევიზი ასევე ლათინურად უნდა ყოფილიყო განთავსებული. ჩვენს შეთავაზებას იმის თაობაზე, რომ აკადემიური სამოსელი შუა საუკუნეების ქართული ტანისამოსის მიხედვით შექმნილიყო, რექტორატი მონონებით შეხვდა. საბოლოოდ შევქმენით უნივერსიტეტის გერბი, ბეჭედი, შტანდარტი, გონფალონი, ბაკალავრის, მაგისტრის, დოცენტის, პროფესორის და რექტორის სამოსელი.

**გერბის აღწერილობა:** პირველ, მენამულ ველზე ექვსი ვერცხლის (თეთრი) გადაშლილი




ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი




ავტონი ზაქარია კიკნაძე



ქართული ჰერალდიკის ასოციაცია



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი  
გრაფიკული ვერსია



ავტონი ზაქარია კიკნაძე







ქართული ჰერალდიკის ასოციაცია



ავტონი ზაქარია კიკნაძე



ქართული ჰერალდიკის ასოციაცია



ილია ჭავჭავაძის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გონივალთნი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შტანდარტი



ავტონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კანონის ანთავალი




ავტონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კანონის ანთავალი





ილია ჭავჭავაძის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გონდადონი  
რუგონი



ნიგნი უნივერსიტეტის ექვს ფაკულტეტს აღნიშნავს. ნიგნებზე ლათინურად ანერია ის სამი თავისუფლება, რაც უნივერსიტეტს უდევს საფუძვლად: აკადემიური თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება. მეორე ველზე საქართველოს დროშაა, რაც უნივერსიტეტის სახელმწიფო სტატუსზე მიანიშნებს. მესამე ველზე ანდრია პირველწოდებულის ჯვრისებურად გადაჯვარედინებული, ნახევრად ვერცხლისა და ნახევრად მენამული ორი გასაღები აღნიშნავს უნივერსიტეტის მიერ სწავლების ხერხების ფლობას. მეოთხე, ლაფვარდოვან ველზე სამი მენამული ქრცვიანის (დედალოსი, ყარყუმი) ბენშემოვლებული პროფესორის ქუდი აღნიშნავს ორი უმაღლესი სასწავლებლის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტების წარსულს, მათ გაერთიანებას და ახალი უნივერსიტეტის მომავალს. საგერბო ფარის ქვეშ სადევინო ბაფთა ლათინური წარწერით LIGAMUS - ქართულად „ჩვენ ვაერთიანებთ“, გამოხატავს უნივერსიტეტის მოწოდებას, გააერთიანოს სწავლება და კვლევა, თავი მოუყაროს არსებულ

ცოდნას, შექმნას ახალი ცოდნა და გადასცეს ის სტუდენტებსა და საზოგადოებას.

აკადემიური სამოსელი: 1. ბაკალავრის სამოსელი - შავი ფერის გრძელი „კაბა“, რომელსაც მკლავების გამოსაყოფი ჭრილები აქვს. მრგვალი შავი ქუდი. 2. მაგისტრის სამოსელი - შავ გრძელ კაბაზე ზემოდან გადაცმული ასევე შავი მოსასხამი-ქურთუკი, რომელსაც მკლავების გამოსაყოფად ჭრილები აქვს. შავი მრგვალი ქუდის და ქურთუკის პირს თეთრი ბენვი მიჰყვება. 3. დოცენტის სამოსელი - ლურჯ გრძელ კაბაზე ლურჯი მოსასხამი - ქურთუკი, რომელსაც მკლავების გამოსაყოფი ჭრილები აქვს. ლურჯი მრგვალი ქუდის და ქურთუკის პირი თეთრი ბენვითაა მორთული. 4. პროფესორის სამოსელი - ლურჯ გრძელ კაბაზე ზემოდან გადაცმული წითელი მოსასხამი-ქურთუკი, რომელსაც მკლავების გამოსაყოფი ჭრილები აქვს. წითელი მრგვალი ქუდი და ქურთუკი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბაკალავრის სამოსელი





ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მაგისტრის სამოსელი



აფთონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კის ასოციაცია



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორის სამოსელი



აფთონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კის ასოციაცია



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოცენტის სამოსელი



აფთონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კის ასოციაცია



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორის სამოსელი



აფთონი ზაქარია კიკნაძე



ქართული შერეული კის ასოციაცია

თეთრი ბენვითაა მორთული. 5. რექტორის სამოსელი - წითელ გრძელ კაბაზე ზემოდან გადაცმული პორფირისფერი მოსასხამი-ქურთუკი, რომელსაც მკლავების გამოსაყოფი ჭრილები აქვს. პორფირისფერ მრგვალ ქუდს

წინ მცირე ჭრილი აქვს. ქურთუკი და ქუდი თეთრი ბენვითაა მორთული.

**ზაქარია კიკნაძე**  
მხატვარი-პერალდიკოსი

# ქართული სამაგიდო მედალი (საბჭოთა პერიოდი)

## შესავალი

ნუმიზმატიკა, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინა, საკმაოდ ფართო დარგია და არ შემოიფარგლება ექსკლუზიურად მონეტების კვლევით. მისი ერთ-ერთი განხრავა სამედალო ხელოვნება/დარგიც, რომელიც (სამაგიდო) მედლების კვლევას გულისხმობს.

თანამედროვე მედლები სათავეს იღებს სამახსოვრო და დონატიური მონეტებიდან, რომლებიც უკვე ანტიკურ პერიოდში იჭრებოდა. სამახსოვრო მონეტას იცნობს ქართული ნუმიზმატიკური ისტორიაც; ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია გიორგი IV ლაშას მეფედ კურთხევისადმი მიძღვნილი მონეტა.<sup>1</sup> მაგრამ, მედალი, როგორც ასეთი, პირველად გაჩნდა რენესანსულ იტალიაში XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე (სანიმუშოდ მიიჩნევა პიზანელის ნაშრომები).<sup>2</sup> თავად ტერმინიც *მედალი* იტალიური წარმოშობისაა და წარმოდგება სიტყვისგან *medaglia*.

რასაკვირველია, შემდგომში სამედალო ხელოვნებამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო.<sup>3</sup> მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში გვიანფეოდალურ პერიოდსა და ახალ დროში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული დაკნინების გამო სამედალო ხელოვნება, თანამედროვე გაგებით, შეუდარებლად გვიან განვითარდა. ქართველი მედალიერები და, შესაბამისად, მათ მიერ შექმნილი მედლები, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ XX საუკუნეში გაჩნდა. მართალია, ჯერ კიდევ იქამდე იქმნებოდა სამაგიდო მედლები ქართულ თემატიკაზე, ასე რომ, ქართული სამაგიდო მედლის ისტორია, რასაკვირველია, XX საუკუნეზე უფრო ადრე იწყება. ქართული სამედალო დარგის ისტორიას რამდენადმე უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

1 პატარიძე მაია, ფალავა ირაკლი. „გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა“. *საისტორიო კრებული*, ტომი 3 (2013). თბილისი, მხედარი, 2013, გვ. 197-265.

2 Одноралов Николай. *Техника медальерного искусства*. Москва: Изобразительное искусство, 1983, с. 14-18.

3 იქვე, с. 18-31; Косарева Алла. *Искусство медали*. Москва, Просвещение, 1982, с. 7-11.

ჩვენი ამჟამინდელი ნაშრომის მიზანი კი შედარებით მოკრძალებულია - მოკლედ გავანალიზოთ ქართული სამაგიდო მედლის, როგორც მოვლენის, ისტორია და, შედარებით დაწვრილებით, დავახასიათოთ მისი არსებობის ყველაზე, იქნებ, თვალსაჩინო - საბჭოთა პერიოდი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ქართული სამაგიდო მედალი დღეისთვის ნაკლებად შესწავლილია; ცალკეული მედლებისადმი<sup>4</sup> თუ მედალიერის შემოქმედებისადმი<sup>5</sup> მიძღვნილ ერთეულ კვლევებს და სხვადასხვა წიგნში მიმოხილულ მწირ ინფორმაციას<sup>6</sup> თუ არ ჩავთვლით, სამამულო (თუ მსოფლიო) ისტორიოგრაფიას არ გააჩნია სამეცნიერო თუ, თუნდაც, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც ექსკლუზიურად ამ დარგისადმი იქნებოდა მიძღვნილი და მას ერთიანობაში განიხილავდა. ამრიგად, ქართული ნუმიზმატიკის რუკაზე ეს დარგი ჯერაც ერთგვარ თეთრ ლაქას წარმოადგენს. იმედი გვაქვს, რომ, მოცულობითა და განხილული მასალის კატალოგიზირებით თუ არა, ჰოლისტიკური მიდგომით მაინც, ჩვენი კვლევა გარკვეულ როლს მაინც შეასრულებს ამ ლაქის შევსებაში. წინამდებარე ნაშრომს ექსკლუზიურად ქართული სამაგიდო მედლისადმი მიძღვნილი მონოგრაფია-კატალოგის შექმნის წინარე მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ.

4 აბრამიშვილი თამარი. „1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XX-B (1959), გვ. 251-258.

5 ძუცოვა ირინე. *ლამარა ქველიძე*. თბილისი: ხელოვნება, 1984. ულრელიძე ნათია. „XX საუკუნის ქართული მედლები (მოქანდაკე ლამარა ქველიძე)“. ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XVII-XVIII (2007), გვ. 207-220.

6 Прибанов Эдуард. *Советские медали (медицина, здравоохранение, красный крест и другие)*. Москва, Легпромбытиздат, 1991, #27, 48, 57, 167, 177-180, 232; Косарева. *Искусство медали*, с. 85, 102-106; Одноралов. *Техника медальерного искусства*, с. 47, 85.

## ქართული სამაგიდო მედლის ისტორია

საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის ექსპანსიონისტურ<sup>7</sup>-ანექსიონისტური ამბიციების ფონზე პირველი რუსული მედალი ქართულ თემაზე უკვე XVIII საუკუნეში გაჩნდა (გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი<sup>8</sup>); ხოლო XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოს მეტი ნაწილი უკვე უშუალოდ ინკორპორირებული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ამგვარი მედელების რაოდენობამ იმატა.<sup>9</sup> თუმცა ისინი, ბუნებრივია, ქართულ ეროვნულ პერსპექტივას არ ასახავდა. აღნიშნულ პერიოდში უშუალოდ საქართველოსა და ქართველი მედალიერების მიერ მედელები ჯერ არ იქმნებოდა. ამ პერიოდის მედელებს, თუნდაც ქართულ თემაზე შექმნილს, უშუალო ეროვნული ქართული გაგრძელება არ მოჰყოლია; ქართული მედლის განვითარების ეს ხაზი ერთგვარად ჩიხით დასრულდა.

დღემოკლე პირველმა ქართულმა რესპუბლიკამ (1918-1921) საკუთარი მედელები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ დაგვიტოვა (რაც, საფიქრებელია, ომისა და რევოლუციის შემდგომ მეურნეობის მოშლასა და ლითონის დეფიციტს უნდა დაეუკავშიროთ).

ქართული მედლის ჭეშმარიტი აღმავლობა და, პირდაპირ უნდა ითქვას, *ეროვნული* მედლის დაბადება უკვე საბჭოთა პერიოდში მოხდა. ფაქტია, რომ სწორედ *საბჭოთა იმპერიის* (სსრკ) შემადგენლობაში ძალდატანებითი ყოფნის პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაიბადა ქართული სამამულო სამედალო სკოლა - გაჩნდა ქართველი მედალიერების პლეადა (გ. ავსაჯანიშვილი, ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. დეკანოზიძე, მ. ეშბა, გ. ვულაძე, ვ. თოფურიძე, ვ. ივანბა, ლ. ნაკაშიძე, გ. ოჩიაური, გ. ქაჯაია, ლ. ქველიძე); გამოიკვეთა მედალში ასასახად პოპულარული თემები; და, ბოლოს, რაც მთავარია, უბრალოდ, შეიქმნა ასობით ქართული სამაგიდო მედალი. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდი წარმოადგენს ქართული სამედალო ხელოვნების ოქროს ხანას.

1991 წელს ქართველმა ერმა დაიბრუნა სანუკვარი დამოუკიდებლობა. თუმცა კი, დაშვებული შეცდომებისა და მტრის მეოხებით, ჩვენი ქვეყანა უმძიმესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და რამდენიმე ძალიან სერიოზული მარცხიც განიცადა. სახარბიელო სიტუაცია არც სამედალო დარგში შეინიშნებოდა. ლოგიკური იქნებოდა, საბჭოთა იდეოლოგიის მარწმუნებლისაგან გამონთავისუფლებულ დამოუკიდებელ საქართველოში სამედალო ხელოვნების შემდგომი აღმავლობა გვევარაუდა. მაგრამ, რეალობაში, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ტექნოლოგიებზე ესოდენ დამოკიდებული დარგი, როგორც სამაგიდო მედლის წარმოება, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. (საბჭოთა კავშირის) ლენინგრადისა და მოსკოვის ზარაფხანები, სადაც ქართული სამაგიდო მედელების მცირედი, მაგრამ ტექნოლოგიურად და ესთეტიურად ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ნაწილი იქმნებოდა, ხელმიუწვდომელი თუ ნაკლებ ხელმისაწვდომი აღმოჩნდა; ჩანს, მოიშალა სამამულო ტექნოლოგიური ბაზაც; რაც მთავარია, მოსკოვის მხრიდან ქართული მედლის გამოშვების დაფინანსება, ბუნებრივია, შეწყდა, ხოლო უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანას თავად უკვე აღარ რჩებოდა საკმარისი რესურსი, უფრო სწორად, თავისუფალი რესურსი, რომლის ათვისებაც სამაგიდო მედელების შექმნაზე მოხერხდებოდა. არ მოვერიდებით იმის თქმასაც, რომ შეზღუდული რესურსებითაც და დაკნინებული ტექნოლოგიური ბაზითაც, თეორიულად მაინც, გაცილებით მეტის გაკეთება იყო შესაძლებელი; ახალ პირობებში (შედარებით გახსნილი საზღვრები და თანამედროვე სამედალო ხელოვნების უცხოური ნიმუშების გაცნობის გაადვილება; საბჭოთა ცენზურის გაქრობა) ხელიდან გავუშვით სამედალო დარგში წინსვლის<sup>10</sup> უნიკალური შესაძლებლობა (მრავალ სხვა შესაძლებლობასთან ერთად). ბოლო 15 წლის (ფარდობით) ეკონომიკური, აღმავლობის თუ არა, სტაბილიზაციის პერიოდშიც კი მდგომარეობა სამაგიდო მედელების გამოშვების მხრივ პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა. როგორც ჩანს, საზოგადოდ, იკარგება თუ დაიკარგა ქართული სამაგიდო მედლის შექმნის თავად ტრადიცია (რომელშიც ვგულისხმობთ არა მარტო სამე-

7 ექსპანსია არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ-კულტურული ხასიათისაც იყო.

8 აბრამიშვილი. „1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი“.

9 მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თ. ტოლსტოის მედალი *ახალციხის ბრძოლასა და აღებაზე* ან ლ. შტიინანის მედალი *სურამის გვირაბის გახსნაზე*.  
Одноралов. *Техника медального искусства*, с. 40, 47.

10 ვგულისხმობთ უფრო გამოკვეთილი ეროვნული თემატიკისა და მხატვრულად ახლებური მედელებისა თუ მედელების სერიების გამოშვებას.

დალო სკოლასა თუ ტექნოლოგიურ უნარებს, არამედ მედლის არსისა და მნიშვნელობის შეგნებას, საკუთარი მედლის გამოშვების სურვილს). სამწუხაროა, მაგრამ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში სამედალო დარგი თუ ხელოვნება აშკარად დაკნინდა, რაც, თუნდაც, შექმნილი მედლების რაოდენობაში აისახა - 1991 წლის შემდგომ და 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით, ჩვენი დაკვირვებებით, საქართველოში დაახლოებით 20-ჯერ ნაკლები სამაგიდო მედალი შეიქმნა, ვიდრე წინარე 20-30 წლის განმავლობაში. ამრიგად, რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, ჯერჯერობით მაინც, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი - ქართული სამაგიდო მედლის დაცემის პერიოდია.

ქართული სამაგიდო მედლის ისტორიას მოკლედ შევაჯამებთ და მისი პერიოდიზაციის ზოგად სქემას ჩამოვყალიბებთ.

I პერიოდი: ადრეული; ქართულ თემაზე შექმნილი უცხოური (ექსკლუზიურად) რუსული მედლები; ევოლუციური ჩიხი;

II პერიოდი: საბჭოთა; თავად საქართველოსა და ქართველებში სამედალო ხელოვნებისა და სამაგიდო მედლის ინსტიტუტის გავრცელება; ქართული სამაგიდო მედლების სიუხვე; ქართული სამედალო ხელოვნებისა და დარგის (ფარდობითი) აყვავება;

III პერიოდი: თანამედროვე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი; ჯერჯერობით მაინც, ქართული სამედალო ხელოვნების, ქართული სამაგიდო მედლის დაცემა.

### საკვლევი მასალა და კვლევის მეთოდოლოგია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე კვლევაში ვიზლუდებით (ქართული სამაგიდო მედლის ისტორიის განხილვას თუ არ ჩავთვლით) მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შექმნილი მედლების ანალიზით.

ამასთან, ჩვენი კვლევის ფარგლებს მიღმა ვტოვებთ ე.წ. სპორტულ მედლებს, რომლებიც, ჩანს (ყურის არსებობიდან და თემატიკიდან თუ ლეგენდებიდან გამომდინარე) გამარჯვებული სპორტსმენისთვის ჯილდოს სახით გადასაცემად იყო განკუთვნილი. მართალია, სამაგიდო მედლებიც და სპორტული მედლებიც შინაარსობრივად (დამზადების ტექნიკითა და, ნაწილობრივ, ეპოქის ამსახველ პირველწყაროდ ვარგისიანობის კუთხით) მეტად მსგავსია - ამას ადასტურებს

თუნდაც სამაგიდო მედლის *ჯილდოდ გადასაცემ, ჩამოსაკიდ მედლად* გადაკეთების შემთხვევები (ყურის უკვე მედლის დამზადების შემდეგ მირჩილვა-მიმაგრების გზით, რასაც ჭიათურის საპატო მოქალაქის მედლის შემთხვევაში ვხედავთ) (სურ. 32<sup>11</sup>). მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მაინც, ვამჯობინეთ ეს ორი კატეგორია ერთმანეთისგან გაგვემიჯნა.

ჩვენი კვლევა ეფუძნება, პირველ რიგში, თავად ფაქტობრივ მასალას - ქართულ სამაგიდო მედლებს, რომლებიც, ძირითადად, კერძო კოლექციებში ინახება.<sup>12</sup> ჯამურად საბჭოთა პერიოდის 350-ზე მეტი ქართული მედალი გვაქვს შესწავლილი.

მოსკოვისა და ლენინგრადის ზარაფხანებში დამზადებული მედლებისთვის შემონახულია სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც ნაწილობრივ ხელმისაწვდომია (ძირითადად, ინტერნეტ-რესურსების მეშვეობით, *vide infra*). სამწუხაროდ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გამოშვებული მედლებისათვის მსგავსი ფუფუნება არ გავაჩნია.

ბუნებრივია, გათვალისწინებული გვაქვს რელევანტური ლიტერატურაც. თუმცა კი, ის მეტად მწირია, საბჭოთა პერიოდისთვისაც კი; თუმცა საბჭოთა კავშირში სამედალო დარგის ევოლუციის შესახებ ცნობების სასარგებლო წყაროა და, შესაბამისად, ზოგად კონტექსტს იძლევა. შეიძლება აღინიშნოს ცალკეული პუბლიკაციები *ფურნალში Советский коллекционер (საბჭოთა კოლექციონერი)*, ნიგნები *Советские медали (медицина, здравоохранение, красный крест и другие) (საბჭოთა მედლები (მედიცინა, ჯანდაცვა, წითელი ჯვარი და სხვ.)* (1991), *Искусство медали (მედლის ხელოვნება)* (1982), *Техника медальерного искусства (სამედალო ხელოვნების ტექნიკა)* (1983).<sup>13</sup>

11 რელევანტური მონაცემები მედლის / პლაკეტის შესახებ მოყვანილია მის გამოსახულებასთან. თუ მედალის ვინაობა, დამზადების წელი და ტირაჟი მითითებული არ არის, ე.ი. ეს მონაცემები ჩვენთვის უცნობია.

12 ვისარგებლებთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ მფლობელებს, რომლებმაც ნება დაგვრთეს გავვეცნო მათ მიერ შეგროვებული მედლები და რამდენიმე მათგანის გამოსახულებით ჩვენი სტატია დაგვესურათებინა.

13 Шатэн А. Советские мемориальные медали 1966 года. *Советский Коллекционер* 5 (1967), с. 65; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 7 (1970), с. 102; Шатэн А. Советские памятные медали 1971 г. *Советский Коллекционер* 10 (1972), с. 128, 130; Шатэн А. Советские памятные медали 1972 г. *Советский Коллекционер* 11 (1974), с. 113, 115, 118;

სასარგებლო ცნობების წყაროა ინტერნეტ-რესურსები, ისეთი ვებსაიტები, როგორცაა **Sovmedal**<sup>14</sup> ან **Sovietznak**.<sup>15</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამოჩენილი ქართველი მედალიერის, ლამარა ქველიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მოკლე მონოგრაფია.<sup>16</sup>

ძვირფასი ცნობები წლების წინ მოგვანოდა ინფორმანტმა, რომელიც 80-იან წლებში უშუალოდ იყო ჩართული საქართველოში სამაგიდო მედლების წარმოებაში. მისგან მიღებული ინფორმაცია გვეხმარება უკეთესად გავიაზროთ როგორც მედლების დამზადების ტექნოლოგია, ასევე, რაც მთავარია, შექმნის წინაპირობები და გარემოებები.

რასაკვირველია, გააზრებული გვაქვს ჩვენი კვლევის შეზღუდულობაც, რაც, პირველ რიგში, ობიექტური სირთულეებითაა განპირობებული:

ქართული სამაგიდო მედლების შესახებ (ბეჭდური) ინფორმაციის სიმწირე, ბუნებრივია, ართულებს პირველმკვლევრის ამოცანას.

ხელმშემშლელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ფაქტობრივი მასალის შედარებითი შეუსწავლელობაც. მართალია, დავამუშავეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი კოლექციები, მაგრამ წარსული წლების გამოცდილება (ქართულ სამაგიდო მედლების შესწავლა დაახლოებით 13-14 წლის წინ დავინწყეთ) გვიჩვენებს, რომ ახალი სამედალო ტიპები უწყვეტად იჩენს თავს. საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს კერძო თუ საჯარო კოლექცია, რომელიც ყოვლისმომცველი თუ არა, თითქმის ყოვლისმომცველი მაინც იქნებოდა (სამაგიდო მედლებს ვგულისხმობთ): ჩვენთვის ხელმისაწვდომი კერძო კოლექცი-

ები თითოეული 50-300 ცალ მედალს მოითვლის ხოლმე; ნუმისმატიკური კვლევების ისეთ მსხვილ (და წამყვან) ცენტრშიც კი, როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მედლების ფონდი მოიცავს მხოლოდ 112 ეგზემპლარს.<sup>17</sup> არსებული მასალაც კატალოგიზირებული არ არის (როგორც უკვე ვახსენეთ, ერთ-ერთ სამომავლო ამოცანად სწორედ ასეთი კატალოგის შექმნას ვისახავთ).

საბჭოთა პერიოდის ქართული სამაგიდო მედლების შესწავლისას ერთ-ერთი წამყვანი პრობლემა არის მათი დათარიღების საკითხი. თავად მედალზე დამზადების/გამომშვების თარიღი ძალიან ხშირად მითითებული არ არის. ზოგჯერ, ვარაუდით მაინც, მისი დადგენა მედლის თემიდან გამომდინარე ხერხდება - მითითებული პიროვნების, დაწესებულებისა თუ მოვლენის იუბილე, ანდა, ღონისძიების ალტერნატიულ წყაროებში მოძიებული თარიღით; თუმცა, არ არის გამოირიცხული, რომ შესაბამისი მედალი წლისთავზე უფრო გვიანაც გამოემშვებინათ - ამრიგად, თუ არა გვაქვს უფრო ზუსტი ცნობები, შესაბამისი თარიღი უნდა განვიხილოთ როგორც *terminus ante quem non*. ხშირად, სამწუხაროდ, ესეც არა გვაქვს. ამ შემთხვევაში, იძულებულნი ვართ შემოვიფარგლოთ მიახლოებითი თარიღის დადგენით - სტილისტური ნიშნების საფუძველზე - 1-2 ათწლეულის სიზუსტით. მოსახერხებელ დამატარებელ ფაქტორად გვევლინება ზედწერილების ენა; თითქოსდა, ხერხდება გარკვეული კანონზომიერების გამოყვანა: დასაწყისში ლეგენდები ძირითადად რუსულ-ქართულია, 1980-იან წლებში მატულობს ექსკლუზიურად ქართულენოვანი მედლების რიცხვი, ხოლო საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, *პერესტროიკის* დაწყების შემდეგ, ჩნდება მედლები ინგლისურენოვანი ზედწერილებითაც. 1980-იანი წლების ქართული მედალი, წინა პერიოდთან შედარებით, საზოგადოდ, თითქოს, *ეროვნულობის* მეტ ნიშანს ატარებს.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე ვიზლუდებით, ძირითადად, მოძიებული მასალის აღწერილობითი ანალიზით, ძირითადი ტენდენციების გამოვლენით.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 14 (1976), с. 105; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 16 (1978), с. 123; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 19 (1981), с. 108; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 20 (1982), с. 106, 111; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 21 (1983), с. 123; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 22 (1984), с. 133, 137; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 23 (1985), с. 114; Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 28 (1991), с. 94; Грибанов. *Советские медали (медицина, здравоохранение, красный крест и другие)*; Косарева. *Искусство медали*; Одноралов. *Техника медальерного искусства*.

14 <http://www.sovmedal.ru/>

15 <http://www.sovietznak.ru/>

16 ძუცოვა. *ლამარა ქველიძე*. იხ. ასევე Косарева. *Искусство медали*, с. 103-105.

17 ცნობის მონოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ქართული ნუმისმატიკის კორიფეს, მედლების ფონდის ყოფილ კურატორს, ქალბატონ თინათინ ქუთელიას.

### ქართული სამაგიდო მედალის ცნება

აუცილებლად მივიჩნევთ ამ ეტაპზევე განმარტების ფორმულირებას - რა არის ქართული სამაგიდო მედალი, რა არის ქართული სამედალო დარგი, ხელოვნება თუ ისტორია?

ჩვენი აზრით, ქართული სამაგიდო მედალი ეწოდება ყველა სამაგიდო მედალს, რომელიც შექმნილია ქართულ თემაზე (მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში) ან / და ქართველი თუ საქართველოში მოღვაწე მედალიერის მიერ.

ქართული სამედალო დარგი მოიცავს ქართულ (სამაგიდო) მედალებს და იმ მედალიერებისა და ტექნიკური (პერსონალის ჩათვლით) თუ ფინანსური საშუალებების ერთობლიობას, რომელთა ურთიერთქმედების შედეგად, საქართველოსა თუ უცხოეთში, ქართული სამაგიდო მედალი იქმნება.

ქართული სამედალო ისტორია - ქართული სამედალო დარგის ისტორიაა.

როგორც ვხედავთ, პირადად ჩვენ - ქართული სამაგიდო მედალების მიმართ ინკლუზიური მიდგომის მომხრენი ვართ. ქართულ (სამაგიდო) მედალად მივიჩნევთ ნებისმიერ (სამაგიდო) მედალს, რომელსაც რაღაც კავშირი მაინც აქვს საქართველოსა და ქართველ ერთან.

განვიხილავთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს. ასე, მაგალითად, ქართულად მივიჩნევთ 26 ბაქოელი კომისრისადმი მიძღვნილ აზერბაიჯანულ მედალს, ვინაიდან კომისრებს შორის 2 თუ 3 ქართველიც იყო (სურ. 2); ასევე ქართულად მივიჩნევთ ლენინგრადის ზარაფხანაში 1982 და 1984 წლებში მოჭრილ საბჭოთა მედალებს, რომლებიც მიძღვნილია იუსტინე ჯანელიძის დაბადების წლისთავისადმი და მისი სახელის მატარებელი სამედიცინო დაწესებულებისადმი, რომელიც რუსეთში, სანქტ-პეტერბურგში მდებარეობს, მაგრამ ამ ქართველი კაცის სახელს ატარებს.<sup>18</sup> ასევე ქართულია საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკების მიერ ძალდატანებით დაარსებული „სამხრეთ ოსეთის“, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური ოლქების/რესპუბლიკების წლისთავისადმი მიძღვნილი მედალებიც (სურ. 3-5); ანდა, საქართველოში და მნიშვნელოვანწილად ქართულ კულტურულ გარემოში მოღვაწე აფხაზი/აფსუა ლიტერატორის - დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი მედალი (სურ. 6); თუნდაც,

18 Грибанов. Советские медали (медицина, здравоохранение, красный крест и друие), №27, 167.

ამიერკავკასიის ოფთალმოლოგთა ყრილობისადმი მიძღვნილი მედალი, რომელზედაც სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბიც არის გამოსახული (სურ. 23). საქართველოს ისტორიასთან უშუალო კავშირშია ახტალისა და ალავერდის მადნებისადმი მიძღვნილი მედალები (სურ. 21-22) - გვახსოვს, რომ ორივე განსამთამადნო სამუშაოები ერეკლე II-ის ინიციატივით დაიწყო ხოლო მოპოვებული ოქრო-ვერცხლი და სპილენძი კი გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ბიუჯეტში შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა.<sup>19</sup> ყველა ეს მედალი ქართულია, ისინი, ასე ვთქვათ, სამედალო გეორგიკას მიეკუთვნება.

### საბჭოთა პერიოდის ქართული სამაგიდო მედალის ქრონოლოგია

სტალინის გამოსახულებიან 1937 წლის მედალებს თუ არ ჩავთვლით, საბჭოთა პერიოდის უადრეს ქართულ სამაგიდო მედალს, როგორც ჩანს, წარმოადგენს 1938 წელს მოჭრილი პლაკეტი<sup>20</sup> შოთა რუსთაველის<sup>21</sup> გამოსახულებით<sup>22</sup> (სურ. 1).



სურ. 1. პლაკეტი „შოთა რუსთაველის აკროს „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავი“. მედალიერი: მ. გიარასიმოვი. ბრინჯაო, 84.7 / 58 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1938 წ. ტირაჟი: 700.

19 თაბუაშვილი აპოლონი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბილისი: უნივერსალი, 2010, გვ. 72-79.

20 მართკუთხა (და არა მრგვალი) მედალის აღსანიშნავად სწორედ ამ, წარმოშობით, ფრანგულ ტერმინს იყენებენ (ფრ. *plaque* - პატარა ფიცარი).

21 ეს ფორმა აშკარად უფრო სწორეა, ვიდრე დამკვიდრებული „რუსთაველი“.

22 Косарева. Искусство медали, с. 85.



სურ. 2. „26 ბაქოელი კომისრის დაღუპვის 50 წლისთავი“. მედალიერი: ა. რუსთამოვი. ტომავაკი, 60 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1938 წ. ტირაჟი: 100.



სურ. 3. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 50 წლისთავი“. მედალიერი: რ. მინიგალაევი. ალუმინი, 62 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1972 წ. ტირაჟი: 225.



სურ. 4. „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 60 წლისთავი“. მედალიერი: ვ. ნიკიფენკო. ტომავაკი, 60 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1981 წ. ტირაჟი: 1050.



სურ. 5. „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50 წლისთავი“. მედალიერი: ვ. ივანვა. ტომავაკი, 60 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1971 წ. ტირაჟი: 426.

ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მეორე მხრიდან კრავს საბჭოთა კავშირის დაშლის დრო - 1991 წელი.

ჩვენთვის ცნობილია 50-60-იანი წლების ქართული მედლები (განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება და იშვიათია სპორტული ღონისძიებისადმი მიძღვნილი ქარ-

თულ-ესტონური მედალი); მაგრამ, აშკარაა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული სამაგიდო მედლის აბსოლუტური უმრავლესობა 1970-1980-იან წლებშია გამოშვებული. სიტუაცია, ამ მხრივ, საბჭოთა კავშირში შემაჯავალ რესპუბლიკებში, მეტ-ნაკლებად, ერთნაირი იყო; საქართველოს საბჭოთა სოცი-



სურ. 6. „დ. გულიას დაბადების დღის 100 წლისთავი“. მედალიერი: ვ. ივანვა. ტომავაკი, 60 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1974 წ. ტირაჟი: 1000.



სურ. 7. დავით გურამიშვილი დაბადების 275 წლისთავი. პრინჯაო, ჩამოსხმა. დამზადებულია სსსრ-ში. 1980 წ. ან შემდგომი პერიოდი.



საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 8. სტალინისადმი მიძღვნილი მედალი (ჯეოზის წლებით). ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში. ტექნოლოგიური ზრაკი.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 9. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 60 წლისთავი“. მედალიერი: მ. ბარკენიშვილი. ტომასკი, 65 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1981 წ. ტირაჟი: 5336.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 10. „დ. უზნაძის დაბადების დღის 100 წლისთავი“. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1986 წ. ან უმედიერებში პერიოდი.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 11. პლაკეტი „XIV საკავშირო კროსი ბაზეთ „პრავდას“ პრიზაზე“. 1975. ქ. თბილისი“. მედალიერი: ნ. ბრატუნოვი. ბრინჯაო, 84,7 / 58 მმ. საკავშირო ზარაფხანა? 1975 წ.

ალისტურ რესპუბლიკაშიც სამედალო დარგი საზოგადო ტრენდის ფარგლებში ვითარდებოდა. ამასთან, როგორც ჩანს, ნახევრად ლეგალური კერძო სანარმოო ინიციატივის რეალიზაციისათვის მეტი თავისუფლების გათვალისწინებით, ამ პერიოდში სამაგიდო მედელების განსაკუთრებით დიდი რაოდენო-

ბა სწორედ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში იქმნებოდა. თუმცა კი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი არცთუ უმნიშვნელო ნაწილი საკმაოდ მდარე ხარისხისა იყო, პირველ რიგში, მხატვრული თვალსაზრისით.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 12. ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი



სურ. 13. გმირთა მემორიალი ქალაქ ფოთში. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში.



სურ. 14. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი. მედალიერი: ვ. თოფურიძე. ტომავაჰი, 65 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1976 წ. ტირაჟი: 1501.



სურ. 15. ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. მედალიერი: ბ. ქაჯაია. ტომავაჰი, 60 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1987 წ. ტირაჟი: 5000.

**ქართული სამაგიდო მედლის კლასიფიკაცია და დახასიათება**

სხვადასხვა პარამეტრის გამოყენებით, ამ პერიოდის ქართული მედლები შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. ამასთან, სხვადასხვა კლასიფიკაციის ფარგლებში გამოყოფილი კატეგორიები ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემთხვევა.

ლოგიკურად გვეჩვენება დაყოფა დამზადების ადგილის / წარმომავლობის მიხედვით:

- ცენტრალურ, საკავშირო (მოსკოვისა და ლენინგრადის) ზარაფხანებში გამოშვებული მედლები;
- უშუალოდ საქართველოში (საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში) დამზადებული მედლები;
- მეზობელ რესპუბლიკებში (ანუ, მაინც, პერიფერიულად) დამზადებული და ქართული თემატიკის ამსახველი მედლები. წარმოების ტექნიკის მიხედვით შეიძლება



სურ. 16. მ. ხვაჩავას ბარდაცვალების 20 წლისთავი. მედალიერი: ვ. კოპოვი. ტომავაჰი, 60 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა, 1989 წ. ტირაჟი: 1000.



სურ. 17. საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის სპორტაიადა. პაპურიანი 1974. მედალიერი: ბ. რ. (?). ტომავაჰი, 60 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1974 წ.



სურ. 18. ივანე მდინავაძე. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 19. ვაჟა ფშაველას დაბადების 125 წლისთავი. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1986 წ.



სურ. 20. ოზურგეთი. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1989 წ.?



სურ. 21. ახტალის მაღანი. ბრინჯაო.

გამოვყოთ *მოჭრილი*, ანუ ლითონის ფირფიტაზე გამოსახულებიან-წარწერიანი სიქების ორი მხრიდან ზენოლის შედეგად წარმოებული (სურ. 1-6, 9-23, 25-35, 37-43) და *ჩამოსხმული* მედლები (სურ. 7, 24, 36).

შესაძლებელია გარკვეული დამატებითი მოსაზრებების გამოთქმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მედლის წარმოების ტექნიკაზედაც. სიქებით ზემოქმედებისათვის დანადგარში შედიოდა

ლითონის მოზრდილი ფირფიტა (ზოლი?); სიქების ზემოქმედების, ანუ *მოჭრის* შემდეგ აუცილებელი ხდებოდა სიქების ანაბეჭდის, ანუ მომავალი მედლის *ამოჭრა* ამ ზოლიდან. დანადგარის პრიმიტიულობიდან თუ პერსონალის დაუდევრობიდან გამომდინარე, ეს პროცესი ზოგჯერ ხარვეზით სრულდებოდა, ამოჭრილი მედალი არასწორ დიამეტრს იძენდა. ზოგჯერ ლითონის ნამზადზე ზემოქმედებისთვის გამიზნული



სურ. 22. ალავერდის სილინქიმიური კომბინატის 200 წლისთავი. ბრინჯაო. დამზადებულია სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში? 1970 წ.?



სურ. 23. ამიერკავკასიის ოფთალმოლოგთა მე-2 კონფერენცია. 1971 წლის სექტემბერი. ბრინჯაო. დამზადებულია სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში? 1971 წ.?



სურ. 24. ნიკოზ ნიკოლაევის დაბადების 100 წლისთავი. მედალიერი: ლ. ქველიძე. ბრინჯაო, ცალმხრივი. 1977 წ. ან შემდგომი პერიოდი



სურ. 25. აკადემიკოსი ა.ი. ჯანელიძე. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1986 წ.?

სიქები ერთმანეთის მიმართ არასწორად ორიენტირდებოდა, რასაც მედლის შუბლისა და ზურგის ურთიერთაცდენა მოჰყვებოდა (სურ. 8).

შედარებით იშვიათად მიმართავდნენ მედლის ზედაპირზე მინანქრის (ფერის) ფენის დატანას (სურ. 9).

ასევე, შედარებით იშვიათია გამოსახულების (პორტრეტის) არა რელიეფში *ძერწვა*, არამედ ფონის ჩაღრმავება-ტონირებით *ფოტოგამოსახულების ეფექტის* მიღება (სურ. 10).

საბჭოთა პერიოდის ქართული მედელების აბსოლუტური უმრავლესობა ორმხრივია, გამოსახულება და ლეგენდები არის როგორც შუბლზე, ასევე ზურგზედაც. გამონაკლისია მხოლოდ ე.წ. საავტორო მედელები<sup>23</sup>, რომლებიც ჩამოსხმულია და ქვედა მხარე ყალიბის მეტ-ნაკლებად სადა კედელს შეესაბამება,

ცარიელ, *მუნჯ* ზედაპირს წარმოადგენს (ამ მედელებში მეტადაა გამოხატული *სამაგიდო* მედლის იდეა, რომელიც, თეორიულად მაინც, ზედაპირზე შესანახად/დასადებად არის განკუთვნილი და მეორე მხარე არც მოეთხოვება; ამ უკანასკნელის რელიეფურობა და, შესაბამისად, მონყვლადობა კი, პირიქით, ხელსაც კი შეუშლიდა *სამაგიდო* მედლის *მაგიდაზე* დადებას). უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი ქართული სამაგიდო მედელების შემთხვევაში, ტრადიციული მედლისგან განსხვავებით, რევერსის ინფორმაციულ-მხატვრული მნიშვნელობა ხშირად ავერსისას არ ჩამოუვარდება და დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია. თუმცა კი, *სამაგიდო* მედლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რევერსის მხარე, როგორც წესი, მაინც ნაკლებ რელიეფურია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ (საბჭოთა პერიოდის) ქართული სამაგიდო მედლის შუბლად,

23 ამ ცნებას ქვემოთ დანვრილებით განვმარტავთ.



სურ. 26. სულსან საბა ორბელიანი. საბაოპა. 1984. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში. 1984 წ.



სურ. 27. სსრკ-ის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის 1927 წელს დაარსება. პრინციპი. 1927 წ. შამიგომი პერიოდი, სავარაუდოდ, 1977 წ. შამიგომი



სურ. 28. მოქვი. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 29. 1982 წლის ავტომობილის მძღოლთა VII საკავშირო კონკურსის ფინალი. ქ. რუსთავი. პრინციპი. 1982 წ.

ე.ი. ავერსად მივიჩნევთ არა ემიტენტის აღმნიშვნელ მხარეს (როგორც ეს მონეტებზეა), მით უფრო, რომ ემიტენტი ზოგჯერ საერთოდ არ არის მითითებული, და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ იგულისხმება; არამედ იმ მხარეს, რომელიც იუნყება მოვლენას, რომლისადმიც არის მიძღვნილი შესაბამისი მედალი.

გურტი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყველა ქართულ საბჭოთა მედალს გლუვი აქვს. თუმცა კი, ამ ეფექტის მისაღწევად მედალი სპეციალურ დამუშავებას გადიოდა (რომლის კვალიც მედლის გურტს ზოგჯერ ეტყობა კიდეც).

გამოყენებულ ლითონს რაც შეეხება, ძვირფას ლითონებს ქართული საბჭოთა მედლის წარმოებაში არ იყენებდნენ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მოჭრილ მედლებს ხშირად სხვადასხვა ლითონში იმეორებდნენ; ჩვეულებრივ, მონითალო-ყა-

ვისფერ ბრინჯაოში (ან მოყვითალო-ყავისფერ ტომპაკში), ვერცხლისფერ ალუმინში და ოქროსფერ-მოყვითალო ლითონში (თითბერში?). არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ჩვეულება, ქვეცნობიერად მაინც, სტანდარტული სამონეტო ლითონების (სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს) გამოყენების ტრადიციის შორეული გამოძახილია.

მედლის ფორმა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ტრადიციული, მრგვალი იყო. მხოლოდ საავტორო მედლებში (*vide infra*) გვხვდება უნესო ფორმის ცალები. *პლაკეტები* ძალზე იშვიათია - ჩვენთვის ცნობილი ქართული (საბჭოთა) მხოლოდ ორი პლაკეტი: *შოთა რუსთველი 750* და *XIV საკავშირო კროსი გაზეთ „პრავდას“ პრიზებზე*; ისინიც, თუნდაც ქრონოლოგიით, ემიტენტითა და ლეგენდებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული სამედალო დარგის განვითარების ძირითადი ხაზის მიღმაა (სურ. 1, 11).



სურ. 30. ლენინგრადის დამცველს. თითბერი. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 31. წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში. 1983 წ. ?



სურ. 32. ჭიათურის სააბატიო მოქალაქე. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 33. თბილისი „ინტურისტის“ 50 წლისთავი. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში. 1979 წ. ?



სურ. 34. ქართული სანაოსნო კომპანია. ბათუმი. პრინჯაო



სურ. 35. რუსეთის მფარველობაში საქართველოს შესვლის თაობაზე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავი. მედალიერი: ბ. ავსაჯანიშვილი. პრინჯაო, 65 მმ. ლენინგრადის ზარაფხანა. 1983 წ.

ზოგჯერ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში), ჩანს, ეკონომიის მიზნით, ანდა, გამოსახულების პოპულარობიდან გამომდინარე, სხვადასხვა მედლის დასამზადებლად იყენებდნენ ერთი და იმავე სიქას თუ არა, ერთი ესკიზის მიხედვით დამზადებულ სიქებს მაინც. ასე, მაგალითად, თითქმის იდენტური სიქითაა მოჭრილი მედლები „ფოთის საპატიო მოქალაქე“ და „გმირთა მემორიალი ქალაქ ფოთში“ (სურ. 12-13).

საკმაოდ ლაკონურად და მოსახერხებლად მიგვაჩნია კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს როგორც მედლის დამზადების ადგილს, ასევე მის ბუნებას, მახასიათებლებს:

**ცენტრალურ, მოსკოვისა და ლენინგრადის ზარაფხანებში დამზადებული ოფიციალური მედლები** (სურ. 1-6, 9, 14-17, 35, 41).

აბსოლუტური უმრავლესობა სტანდარტულია, დიამეტრით, ჩვეულებრივ, 60 მმ (უფრო იშვიათად - 65 მმ); ტექნიკური კუთხით გამართულია, გამოირჩევა მაღალი ხარისხით.

როგორც წესი, მხატვრული თვალსაზრისითაც, ყველაზე ცოტა, მინიმუმ საშუალო დონეს არ ჩამოუვარდება. ზოგიერთი მათგანი, თავისი მხატვრული ღირსებებით, გამორჩეულია და ქართული საბჭოთა მედლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს; ასეთია, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი მედლები (სურ. 14-16). ასეც რომ არ იყოს, ყოველთვის უზრუნველყოფილია გარკვეული მინიმალური სამედალო დონე მაინც; მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადი-

სადმი (ბაკურიანში ჩატარდა) მიძღვნილი მედალი (სურ. 17).

საბჭოთა კავშირში დეკლარირებული ნაციონალური პოლიტიკის გამოისობით ლეგენდები რუსულის გარდა, ხშირად ქართულ ენაზედაც არის შესრულებული;

საქართველოში, ამა თუ იმ საწარმოს ამქარში („ცეხში“) მასობრივი ტირაჟით დამზადებული ნახევრად ოფიციალური მედლები (პროვიზორიები). (სურ. 8,10, 12-13, 18-20, 25-26, 28, 30-33, 37-40, 42-44).

განსხვავებით მოსკოვისა და ლენინგრადის მედლებისგან, მათი გამოშვების ტირაჟის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს, მაგრამ მასალის გავრცელებულობით თუ ვიმსჯელებთ, რამდენიმე ასეულ ცალად მაინც გამოდიოდა.

აბსოლუტური უმრავლესობა სტანდარტულია, დიამეტრით დაახლოებით 60 მმ; თუმცა ზოგჯერ გხვდება უფრო დიდი ან პატარა ზომის / დიამეტრის, ანდა, საერთოდ, არამრგვალი მედლებიც. ტექნიკური კუთხით, აშკარად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ზარაფხანებში გამოშვებულს. ზოგჯერ საკმაოდ დაუდევრად არის შესრულებული. ზოგიერთ შემთხვევაში ბაძავს ცენტრალური ზარაფხანის ნაწარმს.

მხატვრული თვალსაზრისით კი ეს ნახევრად ოფიციალური მედლები უკიდურესად მრავალგვარია. ბევრი მედალი საკმაოდ პრიმიტიულია: საუბარია არა შემოქმედებითი მწვერვალების მიღწევაზე, არამედ, ზოგჯერ, რეალისტურად პორტრეტის გამოსახვის უუნარობაზედაც კი (სურ. 18). თუმცა გხვდება მხატვრული ღირსებებით გამორჩე-

ფოტოგრაფირებულია საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახურის მიერ



სურ. 36. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. 1983 წ.

ფოტოგრაფირებულია საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახურის მიერ



სურ. 37. დავით-გარეჯი. ალუშინი. დამზადებულია სსსრ-ში

ული ცალებიც, მაგალითად: ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავი, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის დაბადების 100 წლისთავი, საბაობა 1984, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ (სურ. 19, 25-26, 43).

შეიძლება ითქვას, რომ ამ კატეგორიის ქართული საბჭოთა მედლები ყველაზე საინტერესოა, როგორც ისტორიული პირველყარო მაინც, და კვლევისათვის მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, მათში ქართულ-ეროვნული მუხტი განსაკუთრებით ძლიერად შეიგრძნობა.

ენობრივი თვალსაზრისით, თანდათანობით შეინიშნება რუსულენოვანი ლეგენდების ხვედრითი წილის შემცირება - ამ მხრივ სანიშნუშოა მედალი 1983 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი (სურ. 31). ჩნდება (ამ ჯგუფის მედლებში) ექსკლუზიურად ქართულენოვანი მედლებიც (სურ. 26, 32); როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ინგლისურ ლეგენდებსაც ურთავდნენ (რომლებიც ზოგჯერ რუსულსაც კი ენაცვლებოდა) (სურ. 20). საკმაოდ ბევრი მედალია, რომლებიც თარიღს არ ატარებს, მაგრამ, რუსული ზედწერილის არსებობიდან გამომდინარე, უფრო საბჭოთა პერიოდითა და არა დამოუკიდებლობის წლებით დავათარილებდით (სურ. 12-13, 18, 28, 37, 40, 42-44).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ტექნოლოგიური კუთხით იმავე დონის სამაგიდო მედლები, რომლებიც ქართულ თემას მიეკუთვნება და რუსეთის ფედერაციაში, ანდა აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში გამოუშვეს. ამ

უკანასკნელებზე, ბუნებრივია, ზედწერილები ან ექსკლუზიურად რუსულენოვანია, ანდა, პირიქით, რუსულის პარალელურად გვხვდება ლეგენდები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (შესაბამისად, სომხური ანბანითა და კირილიცათი). ასეთია, მაგალითად, მედლები 26 ბაქოელი კომისრის დაღუპვის 50 წლისთავი, ახტალის მადანი, ალავერდის სპილენძქიმიური კომბინატის 200 წლისთავი, ამიერკავკასიის ოფთალმოლოგთა მე-2 კონფერენცია (სურ. 2, 21-23).

საავტორო მედლები (სურ. 7, 24, 36).

ქართულ ან არაქართულ თემაზე დამზადებული ქართველი ხელოვანის მიერ; ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ქართველი მედალიერების ე.წ. საავტორო მედლები. რასაკვირველია, ზემოთ განხილულ ოფიციალური თუ ნახევრად ოფიციალურ მედლებსაც ჰყავდათ ავტორები; მაგრამ, ამ შემთხვევაში, საავტორო საწყისი მეტად არის გამოხატული და ერთგვარად, პრევალირებს კიდევაც. აქედან გამომდინარე, ტერმინ „საავტორო“-ს გამოყენებას გამართლებულად მივიჩნევთ.

ამ საავტორო მედლების აბსოლუტური უმრავლესობა (იქნებ ყველაც?) ჩამოსხმის გზით არის დამზადებული, ამასთან, როგორც წესი, საკმაოდ კუსტარულად (წნევის გარეშე); თუმცა კი, ზუსტად ეს კუსტარულობა მედალს ზოგჯერ განსაკუთრებულ ფაქტურასა და, შესაბამისად, ხიბლს ანიჭებს.

ზომა, წონა და ფორმა უკიდურესად ვარიაბელურია, ვინაიდან ძირითადად მხოლოდ ხელოვან-მედალიერის შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციას ემსახურებოდა და მასობრივი ემისიის ტექნიკური შეზღუდვების-

გან თავისუფალი იყო. ხშირია არამრგვალი ცალები (სურ. 24, 36).

ლითონად, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, ბრინჯაოა გამოყენებული.

საავტორო მედლების ტირაჟი უცნობია, მაგრამ აშკარად დიდი არ უნდა იყოს; ამაზე მეტყველებს როგორც გამოყენებული ტექნოლოგია (ჩამოსხმა კუსტარულად დამზადებულ ყალიბში), ასევე შემორჩენილი ეგზემპლარების საკმაო იშვიათობა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბევრი მედალი ერთ ეგზემპლარად დამზადდა და უნიკალურიცაა.

თემატური თვალსაზრისით, ამ ჯგუფის (საბჭოთა პერიოდის) ქართულ მედლებში ჭარბობს პერსონალიებისადმი, გამოჩენილი ქართველი თუ არაქართველი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი მედლები.

ზედნერილები უმეტესწილად ქართული ან ქართულ-რუსულია.

მხატვრული თვალსაზრისით, ამ ჯგუფის

თითქმის ყველა მედალი საკმაოდ საინტერესოა. თუმცა კი, იშვიათობიდან და, სწორედ რომ ხაზგასმული მხატვრობიდან გამომდინარე, უფრო სამამულო ხელოვნების ისტორიის ნაწილია, ვიდრე წყარო საბჭოთა ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

\*

ტექნიკურ/მეტროლოგიურ ვარიანტულურობასა და სამედალო გაქანებას რომ თავი დავანებოთ, ქართული საბჭოთა მედალი შეიძლება თემატური პრინციპითაც კლასიფიცირდეს. გამოვყოფდით რამდენიმე ძირითად თემას: პერსონალიები, ღონისძიებები, უწყებები და დანესებულებები, არქიტექტურული ძეგლები და სხვა (სურ. 25-28). საზღვარი სხვადასხვა ჯგუფს შორის, ცხადია, ზოგჯერ საკმაოდ პირობითია; ასე, მაგალითად, პირველი საბაობისადმი (1984) მიძღვნილი მედალი სულხან საბას საინტერესო პორტრეტით არის შემკული და, ამრიგად, შეიძლე-



სურ. 38. რუსთაველის თეატრის 100 წლისთავი. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1981 წ.



სურ. 39. საქართველოს ზოომტექნიკურ-სავეტირინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის 50 წლისთავი. ბრინჯაო. დამზადებულია სსსრ-ში. 1982 წ.



სურ. 40. თბილისის სახელმწიფო იპოგრაფიის ინსტიტუტი. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 41. ჭიათურის (სამთო-სამადრო კომპონატის?) 100 წლისთავი. მედალიერი: ე. აბაშუკელი. ბრინჯაო, 60 მმ. მოსკოვის ზარაფხანა, 1979 წ.



ბა მიეკუთვნებოდეს როგორც პერსონალის, ასევე, უფრო ღონისძიებისადმი მიძღვნილი მედლების რიცხვს (სურ. 26).

უფრო საინტერესოდ გვეჩვენება მედლების დაჯგუფება *ემიტენტის* მიხედვით. „ემიტენტი“ ვგულისხმობთ იმ უწყებასა თუ პიროვნებას/პიროვნებებს ჯგუფს, რომლის ინიციატივითაც/დაფინანსებით განხორციელდა ამა თუ იმ მედლის გამოშვება.

საავტორო მედლების შემთხვევაში, ეს, ბუნებრივია, თავად მედალიერია, თუმცა კი, გასარკვევი რჩება, მედლის დამზადების (საკმაოდ, საფიქრებელია, მაღალ) ხარჯებს თუ ვინ ისტუმრებდა (მხატვართა კავშირის სტრუქტურების ფარგლებში ფინანსდებოდა?).

ცენტრალურ ზარაფხანებში მოჭრილი მედლების შემთხვევაში, ემიტენტი, აშკარად, საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა ხელისუფლება იყო, მისი ცენტრალური აპარატი.


ზოგჯერ, მედლის, თუნდაც ადგილობრი-

ვად, საქართველოში დამზადების შემთხვევაში, ინიციატივა მაინც, თითქოსდა, საკავშირო იყო; ასეთი უნდა იყოს რუსთავეში ჩატარებული ავტოლონისძიებისადმი მიძღვნილი მედალი (სურ. 29).

მაგრამ, უმეტესწილად, ადგილობრივად დამზადებული მედლების შემთხვევაში კი, ჩანს, პრაქტიკულად, ყოველთვის, სამაგიდო მედლის გამოშვების ინიციატორად და დაფინანსებლად გამოდიოდა ესა თუ ის დანესებულეა (დავუშვათ, ქარხანა ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) თუ უწყება (ვთქვათ, რომელიმე დასახლებული პუნქტის საბჭოთა ადმინისტრაცია). ჩვენი ინფორმანტის გადმოცემით, „უძრაობის“ ე.წ. *зачтой*-ს პერიოდში დანესებულეათა საბალანსო ანგარიშებზე საკმარისი თანხა გროვდებოდა, რომლის სხვანაირად გახარჯვა შეუძლებელი იყო (?); ამრიგად, სახსრების ხელმისაწვდომობის პირობებში, ერთგვარ მოდადაც კი იქცა, ამა თუ იმ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამაგიდო მედლის შეკვეთა და შემდეგ თანამშრომლებსა თუ მოწვეულ პირებზე დარიგება. გადმოცემით, სწორედ ამან განაპირობა 70-80-იანი წლების ქართული სამაგიდო მედლების ისეთი სიუხვე. თუმცა კი, მედალიერთა ეროვნული პული შედარებით მოკლე დროში ამდენი შეკვეთის შესრულებას აშკარად ვერ გაუმკლავდა, რაც ამ პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გამოშვებული მრავალი სამაგიდო მედლის მხატვრულ ღირსებებზედაც აისახა (ეს არ ნიშნავს, ცხადია, რომ არ გვხდება მაღალმხატვრული გამოწაკლისებიც).



სურ. 42. რუსთავეის მატალურგიული ქარხანა. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 43. სამეცნიერო სანარმოო გაერთიანება „ელვა“. პრინფაო. დამზადებულია სსსრ-ში



სურ. 44. „გაზიერი“. საქართველოს მოწვევპირი. ალუმინი. დამზადებულია სსსრ-ში

ძალიან საინტერესოა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებულ (შედარებით, ცხადია) ლიბერალიზმზე მიუთითებს კერძო პირების მიერ სამაგიდო მედლის შეკვეთის შემთხვევებიც. ჩვენ ინფორმანტს მოყოლილი აქვს, რომ ერთხელაც სამაგიდო მედლის შეკვეთა განათავსა ლენინგრადის ბლოკადის ვეტერანმა (რუსმა? მედალზე მხოლოდ რუსული ზედწერილია), რომელსაც გული წყდებოდა იუბილეს არაღნიშვნისა თუ (მისი აზრით) არასათანადოდ აღნიშვნის გამო. სახსრების შეზღუდულობის გამო, დიზაინი პრიმიტიული გაკეთდა. მაგრამ, ასე თუ ისე, შესაბამისი სამაგიდო მედალი შედგა (სურ. 30).

გარკვეულწილად, ემიგრენტის ვინაობასთან არის კავშირში ამ პერიოდის ქართული სამაგიდო მედლის დანიშნულება.

საკმაოდ ბევრი სამაგიდო მედალი, აშკარად, ერთგვარი ჯილდოს ფუნქციას ასრულებდა (სურ. 31-32). სპორტულ მედლებსაც რომ თავი დავანებოთ, ესეთია „საპატიო მოქალაქისადმი“ გადასაცემად გამიზნული მედლების დიდი სერია - წარმოდგენილი გვაქვს *ჭიათურის საპატიო მოქალაქის* მედალი (სურ. 32); საინტერესოა ასევე მედალი *წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი* (სურ. 31). არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ასეთი მედლებში გხვდება ყურის უკვე მედლის დამზადების შემდეგ, შემდგომ ეტაპზე მიმავლების შემთხვევები (სურ. 32).

ცალკე შეიძლება გამოიყოს ე.წ. *საექსპორტო* მედლების კატეგორია. ვგულისხმობთ იმ მედლებს, რომლებიც გარე, საბჭოთა კავშირის გარეთ არსებულ სამყაროზე უფრო იყო ორიენტირებული. მას მივაკუთვნებდით *ინტურისტებისთვის*, ანუ უცხოელი, საბჭოთა კავშირში ჩამოსული ტურისტებისთვის განკუთვნილ სამაგიდო, სუვენირულ-სამახსავრო დანიშნულების მედლებს (სურ. 33); მასვე შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული სანაოსნო კომპანიის მედალიც - ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ მასზე ლეგენდები ექსკლუზიურად ინგლისურენოვანია (sic) (სურ. 34).

პროპაგანდისტული ელემენტი, ბუნებრივია, სამედალო საქმის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ ზოგიერთი ქართული საბჭოთა მედლის შემთხვევაში პროპაგანდისტული მიუხედავად განსაკუთრებით ძლიერ არის გამო-

ხატული და საბჭოთა წყობილების განმტკიცებას ანდა საქართველოს რუსულ სამყაროში (მნიშვნელოვანწილად, ძალდატანებით) ინკორპორირების დასაბუთება-პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ასეთია, მაგალითად, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების (რეალურად, საქართველოს ანექსიის), ანდა საქართველოს მინა-წყალზე ავტონომიურ-ტერიტორიული პოლიტიკური სტრუქტურების შექმნის წლისთავის აღმნიშვნელი 1961, 1971 და 1972 წლების მედლები (სურ. 3-5, 9), ანდა, სულაც, გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი მედლებისა და სამკერდე ნიშნების სერია (სურ. 35-36).

მეორეს მხრივ, საბჭოთა პერიოდის ქართულ სამაგიდო მედლებში ძალიან ბევრია ისეთი, რომლებიც ქართული კულტურის, საქართველოსა და ქართველი ერის მიღწევებისა და დამსახურების პროპაგანდას წარმოადგენს. რამდენიმე ასეული ცალი სამაგიდო მედალი, რომლებიც 1970-80-იან წლებში საქართველოში თუ მოსკოვ-ლენინგრადში შეიქმნა, ქართულ საქმეს ემსახურებოდა და თავადაც ქართული კულტურისა და ისტორიის შემადგენელ ნაწილად იქცა. მედალზე, თუნდაც, ზოგჯერ, არცთუ მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე მედალზე, ქართველი მწერლის, პოეტის, კომპოზიტორის, ექიმისა თუ სხვა საზოგადო მოღვაწის<sup>24</sup> უკვდავყოფა არ შეიძლება დადებით მოვლენად არ ჩაითვალოს (სურ. 1, 7, 10, 14-16, 18-19, 24, 26); იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ ქართულ კულტურულ ღონისძიებაზედაც, მაგალითად, საბაობაზე (სურ. 26); ანდა, ქართული კულტურის მატერიალური ძეგლების ამსახველ მედლებზედაც - აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე *მოქვზე* თუ ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოხვედრილ *დავით-გარეჯზე* (სურ. 28, 37) (მით უფრო დასანაწინაა, რომ ეს ტრადიცია თანამედროვე, დამოუკიდებელ საქართველოში პრაქტიკულად დავიწყებას მიეცა<sup>25</sup>).

24 სტალინსა და მის გამოსახულებიან მედალს, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ (სურ. 8).

25 თუმცა, საბედნიეროდ, აღორძინდა ეროვნული მონეტის მოჭრის ტრადიცია, საკოლექციო მონეტების ჩათვლით; თანამედროვე სამახსოვრო მონეტები კი რეალურად პატარა მედლების როლს ასრულებს.

ასევე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებული სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, გასართობი, სანარმოო დაწესებულებისა, თუ უწყებისადმი მიძღვნილი (და, საფიქრებელია, მის წიაღში გაჩენილი) მედლები. მოგვყავს ტიპური ნიმუშები - მედლები, რომლებზედაც უკვდავყოფილია რუსთაველის თეატრი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის იპოდრომი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანება „ელვა“ (სურ. 38-40, 42-43). ყველა ეს სტრუქტურა ქვეყნის ცხოველქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენდა და წარმოადგენს; მისი შენარჩუნება, შექმნა და უკვდავყოფა ეროვნული ამოცანაა.

\*

უკიდურესად მრავალრიცხოვანი საბჭოთა პერიოდის ქართული სამაგიდო მედლის მხატვრული ღირსებები ვრცელი თემაა და საგანგებო განხილვის საგანი უნდა გახდეს. ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით მხოლოდ ძირითადი დებულებების ფორმულირებით:

- მედლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესანიშნავად შეესაბამება სოციალისტური რეალიზმის ტრიადას - სიცხადე, იდეურობა, კონკრეტულობა; იდეურ მუხტთან კონკრეტულობა-სიმარტივის შერწყმა მათ სოციალისტური რეალიზმის ტიპურ ნიმუშებად აქცევს; დამახასიათებელია და არცთუ ტირაჟირებულია მსოფლიო სამედალო ხელოვნებაში ინდუსტრიული თემის ფართოდ გაშლა (სურ. 21-22, 41-43);

- ამასთან, ინდუსტრიული თემატიკის გაშუქებისას საქართველოში მოღვაწე ანონიმური მედალიერები ზოგჯერ რეალიზმის ფარგლებს თითქოსდა, საზოგადოდ, ცდებიან კიდევაც და ერთგვარ სიურრეალისტურ სახესაც კი ქმნიან (სურ. 42-43);

- ზოგიერთი მედალი, განსაკუთრებით კი, ბუნებრივია, საავტორო ცალები (სურ. 7, 24, 36) ვერ ეტევა სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში; მათი ანალიზი ინდივიდუალურად უნდა ჩატარდეს არა მარტო თანამედ-

როვე სამედალო ხელოვნების განვითარების ჭრილში, არამედ კონკრეტული მედალიერის შემოქმედებითი გზის ერთიანობაში განხილვის პარალელურად;

- მედალიერისა თუ მედალიერის ფუნქციის შემსრულებელი პირის შემოქმედებითი გაქანება მონოდების სიმაღლეზე ყოველთვის, აშკარად, ვერ იყო. ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება უბრალოდ გამოსახულების რეალისტურად გადმოცემის უუნარობაც კი (სურ. 44) (ბუნებრივია, რეალიზმისგან აცდენა ამ შემთხვევაში მხატვრული ხერხი ნამდვილად არ არის);

- რამდენიმე ათეული მედალი, თუნდაც მასობრივი წარმოების, საკმაოდ ნოვატორულად გვეჩვენება და მსოფლიო სამედალო ხელოვნების მასშტაბითაც საყურადღებო მხატვრულ მოვლენას წარმოადგენს (სურ. 9, 15-16, 19, 26, 42-43).

## შეჯამება

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ქართული სამაგიდო მედალი (საბჭოთა პერიოდის) ქართული ისტორიის მნიშვნელოვანი პირველწყაროა. ზემოთ მოკლედ ჩამოყალიბებული რამდენიმე მოსაზრება და სტატიის ფორმატის შესაბამისი რაოდენობით მოყვანილი ილუსტრაციები, იმედია, ასაბუთებს, რომ აღნიშნული ლითონის არტეფაქტები ძალიან თავისებური და, ამასთან, ღირებული წყაროა როგორც ეპოქის ქართული ხელოვნების ისტორიის, ასევე ქართული სოციაუმის კულტუროლოგიური ისტორიის შესასწავლად.

ტექსტში ურთიერთვანაცვლებთ ტერმინებს *ქართული საბჭოთა სამაგიდო მედალი* და *საბჭოთა პერიოდის ქართული სამაგიდო მედალი*. პირველ შემთხვევაში ცნება *საბჭოთა* არანაირად არ აკნინებს ამ პერიოდში მრავალი ქართველი პატრიოტისა თუ ქართული კულტურისა და ქართველი ერის მიღწევებისადმი კეთილგანწყობილი პირის მიერ შექმნილი მედლის ღირსებასა და ღირებულებას. შეიძლება ცალსახად განვაცხადოთ, რომ ქართული საბჭოთა სამაგიდო მედალი ჭეშმარიტად (საბჭოთა პერიოდის) ქართული კულტურის შემადგენელი ფენომენია, რომელიც სათანადო ყურადღებას (შესწავლასა) და დაფასებას მოითხოვს.

ქართული სამაგიდო მედლის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შემდგომი კვლევისათვის აუცილებლად მიგვაჩინია, პირველ რიგში, მაქსიმალურად მოგროვდეს ინფორმაცია ქართული სამაგიდო მედლების შესახებ და შედგეს მათი თუნდაც ნაწილობრივი კატალოგი ცნობაში მოყ-

ვანილი ცალების მიხედვით. საინფორმაციო მასივის ამგვარი სახით ფორმალიზება მყარ ნიადაგს შექმნის შემდგომი ისტორიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევისათვის. იმედს ვიტოვებთ, რომ ამგვარი კატალოგის მომზადება უახლოეს დროში მო(გვი)ხერხდება.

## ირაკლი ფალავა

ისტორიის დოქტორი, მედიცინის დოქტორი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი თამარი. „1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XX-B (1959), გვ. 251-258.

თაბუაშვილი აპოლონი. *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*. თბილისი: უნივერსალი, 2010.

პატარიძე მანია, ფალავა ირაკლი. „გიორგი ლამას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა“. *საისტორიო კრებული*, ტომი 3 (2013), თბილისი, მხედარი, 2013. გვ. 197-265.

ულრელიძე ნათია. „XX საუკუნის ქართული მედლები (მოქანდაკე ლამარა ქველიძე)“. ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XVII-XVIII (2007), გვ. 207-220.

ძუცოვა ირინე. *ლამარა ქველიძე*. თბილისი, ხელოვნება, 1984.

[www.sovmedal.ru/](http://www.sovmedal.ru/), [www.sovietznak.ru/](http://www.sovietznak.ru/)

Грибанов Эдуард. *Советские медали (медицина, здравоохранение, красный крест и другие)*. Москва, Легпромбытиздат, 1991.

Косарева Алла. *Искусство медали*. Москва, Просвещение, 1982.

Одноралов Николай. *Техника медальерного искусства*. Москва, Изобразительное искусство, 1983.

Шатэн А. Советские мемориальные медали 1966 года. *Советский Коллекционер* 5 (1967), с. 63-66.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 7 (1970), с. 96-102.

Шатэн А. Советские памятные медали 1971 г. *Советский Коллекционер* 10 (1972), с. 127-132.

Шатэн А. Советские памятные медали 1972 г. *Советский Коллекционер* 11 (1974), с. 113-118.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 14 (1976), с. 105-114.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 16 (1978), с. 120-127.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 19 (1981), с. 105-111.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 20 (1982), с. 106-112.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 21 (1983), с. 120-130.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 22 (1984), с. 133-142.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 23 (1985), с. 113-120.

Шатэн А. Советские памятные медали. *Советский Коллекционер* 28 (1991), с. 92-97.

## ქალაქ ფოთის გერბის პროექტი



ქუთაისის ცენტრალურ არქივში ფოთის საქალაქო მმართველობის 1909 წლის მასალებში დაცული ქუთაისის გუბერნიის ინჟინრის (ფოთის ყოფილი საქალაქო ინჟინრის) ედმუნდ ედმუნდის ძე ფრიკის მიერ შედგენილ ფოთის გერბის პროექტი და მიმონერის ასლები.

საფუძველი: ქ ც ა, ფონდი № 120, საქმე № 1743.

*Старый*  
Полюписи № 241.

04

~~По новой форме № 241~~

~~Архив № 2878~~

*© Гербе города*

Центр Истор  
Архив

Номер: 190  
Архив № 1743

# ДѢЛО

Потійской Городской Управы

*исурна (всесамм) думи*

*Герба города Потти.*

*1 в деле изобретения*

*герба.*

Началось *3 ноября* 1909 г.

Кончилось *7 декабря* 1909 г.

На *4* листахъ

ЖУРНАЛЪ

ПОТІЙСКОЙ ГОРОДСКОЙ ДУМЫ.

Н о я б р ь с к о е О ч е р е д н о е С о б р а н і е 1 9 0 9 г.

З а с ѣ д а н і е 3 н о я б р я .

8. ГЕРБЪ ГОРОДА ПОТИ.

Городской Голова доложилъ Думѣ, что съ окончаніемъ сооруженія Потійскаго порта и съ приступомъ къ его оборудованію механическими перегрузочными приспособленіями и складочными помѣщеніями, Потійскому городскому общественному управленію предстоитъ развить коммерческую дѣятельность для облегченія въ порту товарныхъ операций и условій портового грузооборота. Въ этихъ видахъ еще въ 1896 году городскимъ общественнымъ управленіемъ было испрошено разрѣшеніе на устройство городскихъ товарныхъ складовъ, съ правомъ выдачи варрантовъ и даже ссудъ подъ товары. При такихъ операціяхъ необходимы отмѣтка и клейменіе товаровъ и наложеніе отличительныхъ знаковъ на документы и складочныя помѣщенія. Вслѣдствіе этого возникаетъ необходимость осуществить присвоенное всѣмъ городамъ Имперіи право имѣть свои особые гербы. *По духу соображеній, на этомъ основаніи* онъ, Городской Голова, счелъ себя обязаннымъ, на основаніи 100 ст. Городового Положенія, заказать бывшему потійскому городскому, а нынѣ Кутаисскому губернскому инженеру Э.Э.Фрику проектъ герба города Поти.

Представляя на благоусмотрѣніе Думы изготовленный проектъ, Городской Голова пояснилъ, что эмблемы предлагаемаго герба характеризуютъ отличительныя особенности города Поти, древняго Фазиса: подъ крѣпостною короною, съ девизомъ *въ буряхъ покой*; мѣсто шлема занимаетъ, на русскомъ національномъ торговомъ флагѣ, крестъ св.Нины, просвѣтительницы Грузіи, водруженный надъ серебряннымъ полумѣсяцемъ. Въ верхней половинѣ щита изображенъ огненный Драконъ, стерегущій на берегу Фазиса Золотое руно. Въ нижней половинѣ щита, разсѣченной на двѣ четверти, на одной ~~помѣщено~~ изображеніе св.Георгія Побѣдоносца, а на другой--современный якорь, на фонѣ изъ трехъ голубыхъ рѣкъ, отдѣляемыхъ другъ отъ друга тремя другими золотыми рѣками, эмблемы обилія *вокругъ Поти* водныхъ путей. Щитъ

окружень, подъ наметомъ, перспективнымъ видомъ переустроеннаго городомъ Потійскаго порта.

Городская Дума, рассмотрѣвъ представленный проектъ, единогласно постановила: <sup>1</sup> одобрить проектъ герба города Поти и представить его въ установленномъ порядкѣ на утверждение подлежащей власти <sup>2</sup>, *разрѣшить Управленію и проследовать къ составленію проекта и къ его утвержденію до двадцати рублинъ.*



ПОТІЙСКИЙ  
ГОРОДСКОЙ ГОЛОВА

241/2009  
3  
Многоуважаемый

7 ноября 1909г.

Эдмундъ Эдмундовичъ,

№ 5190

Гор. ПОТИ.

Прежде всего позвольте выразить Вамъ сердечную признательность за присылку Вашего проекта герба для города Поти. Онъ привелъ всѣхъ въ восторгъ. Но, какъ всегда бываетъ въ случаяхъ, когда утверждение зависитъ отъ двухъ съ половиною дюжины людей, постепенно возникли пожеланія считать своимъ долгомъ ознакомиться насъ съ теми же различныхъ улучшеній и добавленій, которыя заслужили особое вниманіе большинства гласныхъ.

\* эти же пожеланія //

1| Находить что лапы дракона должны касаться берега рѣки, т.е. чтобы верхняя половина щита отдѣлялась отъ нижней обкою [базисъ]. При этомъ не видно, чтобы драконъ былъ огнедышащимъ (онъ изрыгаетъ пламя и дымя).

2| Желательно, чтобы фонъ этой верхней половины былъ не зеленый а лазуревый, но это-- не важно.

3| Золотое руно въ Вашемъ изображеніи похоже, говорить, на живаго барана, а не на его шкуру, которая должна быть отвислою, какъ на гербѣ Кутаисской губерніи. Величину руна находить чрезчуръ большою, не пропорціоальною къ дракону и, въ особенности, къ дубу.

4| Якорь въ правой четверти щита желательно изобразить новаго, усовершенствованнаго, фасона, . Кроме дельфины

или вместо дельфина, желаютъ въ этой же части щита помѣстить орота или какую нибудь другую рыбу, въ некоторыхъ даже и чаша рабы (какъ въ Саратовскомъ гербѣ), въ видѣ эмблемы рыбнаго промысла.

5| Въ лѣвой четверти щита, вместо корабля, желаютъ помѣстить Святаго Георгія Побѣдоносца на конѣ, въ томъ видѣ, какъ онъ косявался на древнемъ гербѣ Тифлисскаго губерніи (т.е. Грузіи). Краски лучше подобрать какъ на дворянскомъ знамени, хранящемся въ Кутаисскомъ Соборѣ или въ Дворянскомъ Соборѣ.

6| Еще, непременно хотятъ помѣстить куда нибудь на щитѣ изображеніе шаха, какъ эмблему, что гдѣ идетъ о базисѣ. *(или же Св. Георгія)*

7| Якорь правой нижней четверти *(которые желали бы)* изобразить на такомъ же фонѣ, какъ гербъ *галицкой* губерніи, т.е. на трехъ *трехъ* *стаканн.* *золотыми* ~~полосахъ~~ *отдѣляемыхъ другъ отъ друга* (золотыми ~~полосами~~). Это *какъ* эмблема того, что Богъ располагаетъ владѣніемъ путей.

8| Средній поле входятъ расположеннымъ слишкомъ вправо. Это желательно придвинуть ближе къ нижнему концу щита. На концѣ поля нужно изобразить въ перспективѣ, кромѣ пакгаузовъ, и будущій вокзалъ, съ сигнальной мачтой.

9| Въ концѣ бракветера просятъ поставить возможно большій маякъ, съ яркимъ сіяніемъ. *матрисию Государя Султана*

Всѣ эти пожеланія, по ~~желанію~~ *(могутъ только улучшить)*

Таки проситъ, почему я покорѣйше прошу Васъ изредѣлять его въ

*Копия*

этомъ смыслѣ и прислать въ возможно скоромъ вре~~мени~~ на имя  
Управы.

Гонораръ будетъ Вамъ высланъ Управою въ январѣ мѣсяцѣ,  
тотчасъ же по утвержде~~ніи~~ сѣты, въ которой Дума 3 ноября  
постановила внести особый расходъ на вознагражденіе Вас~~ь~~,  
на обязательныя пошлины Департаменту Герольдіи и на т.п.  
издержки. Но если Вы ~~судите~~ *желаете*, ~~то~~ *согласитесь* и вышлемъ раньше.

Съ истиннымъ почтеніемъ

## საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917 წ.)

1914 წელს, პეტრე სურგულაძის მესვეურობით, ფენევაში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (იგივე დამკომი), რომელშიც გაერთიანდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი, შალვა ვარდიძე, მელიტონ ქარცივაძე, ზია-ბეგ აბაშიძე და სხვები. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დამკომი ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კავშირი დაამყარა გერმანიის მმართველ წრეებთან. მათივე დახმარებით დამკომმა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქანეთში ჩამოაყალიბა „ქართული ლეგიონი“.

სწორედ გერმანიის მხარეზე მებრძოლი დამკომისა და ქართული ლეგიონის ისტორიას უკავშირდება პირველი ქართული ორდენის – თამარ მეფის ორდენის დაწესება და არსებობა. ამ წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა. ამ ორდენის კავალერი შეიძლება გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთთა შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე გერმანელები (იხ. ნიკო ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი (პირველი ქართული ორდენის ისტორიიდან), ჟურნალი „ჰეროლდი“, № 6, თბ., 2017, გვ. 110-125).

ფიქრობთ, საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არსებული ქვეყნის დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს.

როგორც ცნობილია, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი სამფეროვანი (შავი, თეთრი და შინდისფერი) დროშა, რომელიც გერმანიის იმპერიის სახელმწიფო დროშის მსგავსი იყო (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს სამივე ფერი ბოლომდე გასდევდა), აფრიალდა 1917 წლის 19 ნოემბერს,


როდესაც თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა გაიხსნა. ამ ყრილობის მონაწილეებს გულზე სწორედ ასეთი ფერის ბაფთები ეკეთათ (იხ. დავით კლდიაშვილი, თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა, თბილისი, 2008, გვ. 6).

ეს დროშა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქცა.

საგულისხმოა, რომ შემორჩენილია ოფიციალური დოკუმენტი, გაცემული ზემოხსენებულ თარიღამდე ნახევარი წლით ადრე, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი დამკომის წევრებს საქართველოს დროშა.

1917 წლის 1 მაისით დათარიღებული ამ საბუთით დგინდება, რომ დამკომს თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოვებია გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944), I მსოფლიო ომამდე გერმანიის იმპერიის ყოფილი კონსული თბილისში. მოგვიანებით ის მსახურობდა გერმანიის ელჩად სსრ კავშირში (ომის დაწყებამდე). „ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებასა“ და 1944 წლის 20 ივლისს ქალაქ რასტენბურგში, ე. წ. „მგლის ბუნაგში“, გერმანიის კანცლერ ადოლფ ჰიტლერზე განხორციელებულ აფეთქებაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ ისტანბულში გაცემულ ამ დოკუმენტს, რომელზე-



გრაფი შულენბურგის სავიზიტო ბარათი

კონსტანტინოპოლი, 1 მაის 1917 წ.



*Monsieur le Comte F. W. Schulenburg  
Chambellan de S. A. R. le Duc de Brunswick  
Capitaine au 1<sup>er</sup> R<sup>g</sup> d'artillerie de la Garde Impériale  
Commandant de la Légion géorgienne*

შოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მივიღეთ ჩვენ საქმეში, გვაქვს ზატივი მოგაწოდოთ სამსახურო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა.  
ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მკერდზე ქვემოდას.

ქართველთა კომიტეტის



თავმჯდომარე

*Handwritten signature*

წევრები

*M. Kakhiani  
G. ...  
P. ...*

დაც დაფიქსირებულია ამ ქალაქის ისტორიული დასახელება – კონსტანტინოპოლი, ხელს აწერენ ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე და წევრები: ზ. აბაშიძე (მემედ-ბეგ აბაშიძის ბიძაშვილი), ო. ქარცივაძე, მ. მაღალაშვილი.

საბუთში ვკითხულობთ: „მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენ საქმეში, გვაქვს პატივი მოგანოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მკერდზე ქვემოდას“.

დაჯილდოების დამადასტურებელ ამ სიგელს ქვედა მარცხენა მხარეს აქვს დასმული მრგვალი, ლურჯი ფერის ბეჭედი შემდეგი წარწერით: „დამოუკიდებელ საქართველოს პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტი“.

საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში გამოსახულია თამარ მეფის ორდენი, რომლის ორივე მხრიდან აღმართულია დროშა – წითელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონტალური ზოლებით. ასეთივე ფერის ლენტის მთლიანად აქვს გარს შემოვლებული ამ სიგელს.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რატომ იყო დროშაზე მაინცდამაინც წითელი (შინდისფერი) და შავი ფერები?

შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გარკვეულწილად ასახავს ქართულ სინამდვილესაც, ვკითხულობთ:

„ავმართე დროშა მეფისა,  
აღმითა წითელ-შავითა“.

პროფესორები აპოლონ სილაგაძე და გოჩა ჯაფარიძე თავიანთ ბროშურაში, რომელსაც სათაურად აქვს „ვეფხისტყაოსანიდან“ ამოღებული ზემოხსენებული სიტყვები, წერდნენ: „დროშები ფერთა ასეთი შესამებით არ არსებობდა ჩვენს მეზობელ არც ისლამურ სამყაროში, არც ბიზანტიაში. ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, მოტანილი სტრიქონი რუსთველურია თუ ჩანამატი, – ორსავე შემთხვევაში საქართველოში არსებობდა ტრადიცია, რომ შავი ფერი ალამზე, წითლის გვერდით, სულაც არ არის არაჩვეულებრივი და მიუღებელი“ (აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, „ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა“, თბილისი, 1999, გვერდი 30).

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან,

უნდა ვივარაუდოთ, რომ დამკომის წევრებს, როგორც ქართველ მამულიშვილებს და განათლებულ ადამიანებს, აღნიშნული ფერები შემთხვევით არ შეურჩევიათ დროშისათვის, რომელსაც, როგორც ჩანს, ისინი მოიაზრებდნენ საქართველოს მომავალ სახელმწიფო დროშად.

რასაკვირველია, ასეთი დროშა ბევრად უფრო ტრადიციული და შესაფერისი იქნებოდა საქართველოსთვის, ვიდრე სამფროვანი ალამი, რომელიც 1918 წელს იქცა პირველი ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, დაჯილდოების სიგელებს, მსგავსი გაფორმებით, დამკომი მოგვიანებით აღარ გასცემდა. კერძოდ, დამკომის მიერ 1918 წელს გაცემულ სიგელებზე დროშის გამოსახულება საერთოდ აღარ გვხვდება. როგორც ჩანს, დამკომმა ანგარიში გაუწია იმ ფაქტს, რომ სამფროვანმა დროშამ იმხანად უკვე ოფიციალურად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის სტატუსი.

ამრიგად, ზემოთ განხილული დოკუმენტური მასალიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რომლებიც I მსოფლიო ომის პერიოდში, სახელმწიფოებრიობის აღდგენას გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდნენ (რაც 1918 წლის 26 მაისს რეალობად იქცა), ჩვენი სამშობლოს დროშად წარმოედგინათ ალამი – წითელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონტალური ზოლებით. ეს კი ეხმიანება „ვეფხისტყაოსანში“ დაცულ ზემოხსენებულ ცნობას.

## ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



## საქართველოს ორგანული კანონი

### საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ

#### მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ადგენს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებს – საქართველოს სახელმწიფო დროშას, საქართველოს სახელმწიფო გერბს და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს.

#### მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო დროშა

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი. ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის ბოლნურ-კაცხური ჯვარი.

2. საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულება და სტანდარტული ზომები განისაზღვრება ამ კანონის №1 და №2 დანართებით.

#### მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო გერბი

1. საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო გერბის ფორმითა და მცირე სახელმწიფო გერბის ფორმით.

2. სახელმწიფო გერბი არის ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს

შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარი დაგვირგვინებულია ივერიული (ქართული) გვირგვინით. ფარისმტვირთველი ორი ოქროს ლომი ვაზის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე დგას. საფუძველზე გადმოფენილია ვერცხლ-მეწამული სადევიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი, რევერსი – მეწამული). ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მეწამული ჰერალდიკური ჯვრები.

3. მცირე სახელმწიფო გერბი არის ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია.

4. სახელმწიფო გერბისა და მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებები განისაზღვრება ამ კანონის №3 დანართით.

#### მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა განისაზღვრება ამ კანონის №4 და №5 დანართებით.

#### მუხლი 5. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი



გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,



14 ნოემბერი 2018 წ.

N3724-ის



დანართი №1

საქართველოს სახელმწიფო ღარი




ფერები:

წითელი: RGB: 255 0 0  
CMYK: 0 100 100 0  
HEX: #FF0000

თეთრი: RGB: 255 255 255  
CMYK: 0 0 0 0  
HEX: #FFFFFF

დანართი №2



დანართი №3

სახელმწიფო გერბი



მცირე სახელმწიფო გერბი



დანართი №4

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

## „თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
განათებული მთა-ბარი,  
წილნაყარია ღმერთთანა.  
თავისუფლება დღეს ჩვენი  
მომავალს უმღერს დიდებას,  
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის  
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,  
დიდება თავისუფლებას,  
თავისუფლებას დიდება.

დანართი №4

**თავისუფლება**

მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის  
პიანოდ დაამუშავა იოსებ კეჭაყაძემ  
ლექსი დავით მაღრაძის

**Moderato maestoso**

S  
A  
T  
B

Piano

მე - ში ხა - ტი - ა სამ -  
შობ - ლო, ხა - ხა - ტე მოე - ლი ქვე - უა - ნა,  
შობ - ლო, ხა - ხა - ტე მოე - ლი ქვე - უა ; ნა,

The image displays a musical score for the national anthem of Georgia. It is organized into four systems, each containing vocal and piano parts. The first system includes two vocal staves (soprano and alto) and a piano accompaniment. The lyrics are: "გა - ნა თეპუღი შთა ბა - რი წილ - ნა - უა - რი - ა ღმერთ -". The second system continues the lyrics: "თა - ნა, თა - ვი - სუფ - ღუ - ბა დღეს წუ - ნი". The score is written in a key signature of one flat (B-flat) and a common time signature (C). The piano accompaniment features a steady eighth-note bass line and chords in the right hand.

მო - შავალს უმღერს დი - დე - ბას, ცის - კრის ვარსკვლავი ა -  
 მო - შავალს უმღერს დი - დე - ბას, ცის - კრის ვარსკვლავი ა -  
 მო - დის, ა - მოდის და ორ ზღვას შუ - ა ბრწყინდუ - ბა ზე  
 მო - დის, ა - მოდის და ორ ზღვას შუ - ა ბრწყინდუ - ბა ზე

The image displays a musical score for the Georgian national anthem. It consists of several systems of staves. The top system includes two vocal lines (Soprano and Alto) with lyrics in Georgian: "დი - ღე - ბა თა - ვი-სუფ-ღე - ბას, თა - ვი-სუფ-ღე - ბას დი - ღე -". Below the vocal lines is a piano accompaniment section with treble and bass clefs. The second system shows a continuation of the piano accompaniment. The third system features a grand staff with treble and bass clefs, containing sustained chords and melodic fragments. The fourth system continues the piano accompaniment with various musical notations such as slurs and accents.





## საქართველოს კანონი

### სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ

#### თავი I

#### ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში გამოყენებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დადგენის წესს.
2. ეს კანონი არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებსა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სიმბოლოებზე. მათი გამოყენების წესი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად დგინდება საქართველოს ორგანული კანონით.
3. ამ კანონის მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშანზე.

##### მუხლი 2

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო – საქართველოს სახელმწიფო გერბი, საქართველოს სახელმწიფო დროშა, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი;
- ბ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო:
  - ბ.ა) საჯარო დაწესებულების (შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის)

ემბლემა;

ბ.ბ) საჯარო დაწესებულების დროშა, დროშების ერთობლიობა;

ბ.გ) საჯარო დაწესებულების დროშებისა და სიმბოლოების ერთობლიობა;

ბ.დ) ინსიგნია;

ბ.ე) საქართველოს სახელმწიფო ჯილდო, უწყებრივი ჯილდო;

ბ.ვ) საქართველოს სახელმწიფო სამხედრო წოდების, სახელმწიფო სპეციალური წოდების განმასხვავებელი ნიშანი; სამხედრო ძალების სახეობის, სამხედრო დანაყოფის, სამხედრო ქვედანაყოფის განმასხვავებელი ნიშანი;

ბ.ზ) მუნიციპალიტეტის გერბი, მუნიციპალიტეტის დროშა;

ბ.თ) საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშანი;

ბ.ი) საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;

ბ.კ) საჯარო დაწესებულების ბლანკის ნიმუში, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო;

ბ.ლ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო;

გ) სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება:

გ.ა) სამხედრო აღლუმი;

გ.ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადება;

გ.გ) საქართველოს ტერიტორიაზე გამართული სარიტუალო, საერთაშორისო, სადღესასწაულო ღონისძიება, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს;

დ) ემბლემა – საჯარო დაწესებულების, საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობისა და უფლებამოსილებების პირობითი, სიმბოლური გამოსახულება, რომელიც შექმნილია საერთაშორისო ჰერალდიკური ნორმების დაცვით;

ე) ინსიგნია – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობისა და უფლებამოსილებების პირობითი, სიმბოლური გამოსახულება: დროშა, სამკერდე მედალიონი, კვერთხი;

ვ) დროშების ერთობლიობა – დროშები, რომლებითაც სიმბოლურად გადმოიცემა საჯარო დაწესებულებისა და საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება;

ზ) საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – ორდენი, მედალი, რომლებიც განისაზღვრება კანონით;

თ) უწყებრივი ჯილდო – მედალი, მედალიონი, სამკერდე ნიშანი, სიგელი, დიპლომი, რომლებიც მტკიცდება საჯარო დაწესებულების შესაბამისი სამართლებრივი აქტით, ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით;

ი) საჯარო დაწესებულება – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება.

## თავი II

სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცება, აღმართვა,

გამოფენა და გამოსახვა

### მუხლი 3

1. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს და მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესს ამტკიცებს საჯარო დაწესებულება ან მისი ხელმძღვანელი. მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო მისი გამოყენების წესი დგინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან (შემდგომ – ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო) წინასწარი კონსულტაციების და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. საქართველოს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს და მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესს ამტკიცებს შესაბამისი მინისტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით. საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების, აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშანზე. საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშნის გაფორმებასა და დიზაინს შეიმუშავებს და საკუთარი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

4. საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) ნიმუშები დადგენილი წესით თანხმდება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

#### მუხლი 4

1. საჯარო დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმების მიზნით საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმების მიზნით – მუნიციპალიტეტის მერი წერილობით მიმართავს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მიმართვა უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი საჯარო დაწესებულების სრულ სახელწოდებას, ხოლო თუ იგი სხვა დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო დაწესებულებაა, – ამ დაწესებულების სრულ სახელწოდებასაც;

ბ) ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთვის მიმართვის საფუძველს;

გ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახულების პროექტს;

დ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს აღწერილობას.

3. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია საჯარო დაწესებულებას დამატებითი დასაბუთება მოსთხოვოს. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახულების პროექტის განხილვაში და მისი განხილვისას საკუთარი ინიციატივით წარუდგინოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დამატებითი მონაცემები.

4. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო შესათანხმებლად წარდგენილ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს აფასებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

5. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო წარდგენილი პროექტის შეთანხმების შესახებ დასკვნას გასცემს ამ პროექტის წარდგენიდან 1 თვეში. თუ ამ ვადაში ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო დასკვნას არ გასცემს, აღნიშნული პროექტი შეთანხმებულად ითვლება. პროექტის შეთანხმების შემდეგ ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ხელმძღვანელი პირი ან ორგანო უფლებამოსილია დაამტკიცოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო.

6. საჯარო დაწესებულების მოქმედი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ცვლილება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან თანხმდება ამ მუხლის პირველი–მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით. ამასთანავე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებისა, წარდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული ცვლილების დასაბუთება.

## მუხლი 5

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი“ თანხმდება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

## მუხლი 6

დაუშვებელია საჯარო დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს სხვა საჯარო დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოდ ან მის საფუძვლად გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საჯარო დაწესებულება სხვა დაწესებულების სისტემაში შემავალი, მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ან მის მიერ დაფუძნებული

დაწესებულება.

#### მუხლი 7

1. საჯარო დაწესებულება სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების შესახებ ნორმატიულ აქტს უგზავნის ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო ამ ნორმატიულ აქტს 3 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე.

2. საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებას ამ ნორმატიული აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

#### მუხლი 8

1. დაუშვებელია დადგენილი წესით ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული და საჯარო დაწესებულების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ნიმუშისა და მისი ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება, აგრეთვე დაზიანებული, სახეცვლილი (შესაბამისი ნიმუშისგან განსხვავებული) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვა, აღმართვა, გამოფენა.

2. დაზიანებული ან სახეცვლილი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო ჩამოიხსნება და აღარ აღიმართება, აღარ გამოიფინება, აღარ გამოისახება.

3. საჯარო დაწესებულების დაზიანებული ან სახეცვლილი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს განადგურების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო დაწესებულება ან მისი ხელმძღვანელი, ხოლო მუნიციპალიტეტის დაზიანებული ან სახეცვლილი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს განადგურების წესს შეიმუშავებს და შესაბამისი სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

### თავი III

#### გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 9

1. ამ კანონის ამოქმედებამდე დამტკიცებული ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო, გარდა საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშნისა და ამ კანონის ამოქმედებამდე ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსი, 2022 წლის 1 იანვრამდე ხელახლა უნდა დამტკიცდეს ამავე კანონით დადგენილი წესით.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ცვლილების საჭიროების შემთხვევაში იგი ხელახლა უნდა დამტკიცდეს ამავე კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 10

დაევალოს საქართველოს მთავრობას, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი“.

### მუხლი 11

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი



საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი,

22 თებერვალი 2019 წ.

N4313-III



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

№ 282 2019 წლის 12 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 12 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი




მამუკა ბახტაძე



# საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი

საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის  
სიმბოლოს (დროშის) აღმართვის და გამოფენის წესი



1. საქართველოს სახელმწიფო დროშას საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც ყველა სხვა დროშასთან, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) მიმართებაში ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართება და გამოიფინება მხოლოდ საპატიო ადგილას.
3. საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) ღია ცის ქვეშ მუდმივი აღმართვის და გამოფენის ადგილებში განათებულია ან აღმართულია მხოლოდ დღის ნათელ საათებში.
4. საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს.
5. სახელმწიფო ღონისძიებისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) შენობაში შეაქვთ აღმართული.
6. სახელმწიფო ღონისძიებისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღმართება და დაეშვება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.
7. საქართველოს სახელმწიფო დროშა, უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა, მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა დროშა აღმართება და გამოიფინება თითოეული მისთვის მინიჭებულ ადგილას, ერთი სიგრძის ტარზე ან ფლაგპოკზე, ერთ სიმაღლეზე.
8. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვა დროშების, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივში, წრიულად და ნახევარწრიულად აღმართვისას ან გამოფენისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართება ან გამოიფინება წარმომადგენლის ხელმარჯვნიდან მარცხნივ სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დროშების, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების (დროშების) ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზურის), ანბანის ასოთა თანმიმდევრობით.
9. საქართველოს სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) აღმართვისას ან გამოფენისას დამსწრე დგას დროშების მიმართ პირისახით.

**დაუშვებელია:**

1. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) არადანიშნულებით გამოყენება;
2. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) შემკობა ნებისმიერი გამოსახულებით, მოხატვა;
3. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დაზიანება;
4. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს


- (დროშის) შენახვა დროშისთვის საფრთხის შემცველ ან შეუფერებელ პირობებში;
5. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დამცირება, სხვა დროშასთან მიმართებაში წესისათვის შეუსაბამო აღმართვით და გამოფენით.
  - o საქართველოს სახელმწიფო დროშა;
  - o სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ეროვნული დროშა;

**საქართველოს ტერიტორიაზე დროშების აღმართვის და გამოფენის თანმიმდევრობა მნიშვნელობის მიხედვით**


- o საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა;
- o საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის დროშა;
- o საქართველოს მუნიციპალური დროშა;
- o საქართველოს საჯარო დაწესებულების დროშა;
- o საზოგადოებრივი გაერთიანების/ორგანიზაციის დროშა;
- o სხვა დროშა.



**საქართველოს სახელმწიფო დროშის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართვის და გამოფენის წესი**




1. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელი, ერთ-ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) არქონის შემთხვევაში აღმართავს და გამოფენს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო დროშას.
2. ორი დროშის – საქართველოს სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) – აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართება საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის ხელმარჯვნივ, საპატიო ადგილას.



3. სამი და ხუთი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შუაში, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა მონაცვლეობით, წარმომადგენლის ხელმარჯვნიდან მარცხნივ.




4. ოთხი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება მწკრივში მეორე, წარმომადგენლის ხელმარჯვნივ, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა მონაცვლეობით წარმომადგენლის ხელმარცხნიდან მარჯვნივ.




5. ექვსი და მეტი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლის ხელმარჯვნივ მწკრივის კიდეში პირველი და იკავებს საპატიო ადგილს, ხოლო ყველა სხვა დროშა

(უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის, (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, მწკრივში წარმომადგენლის ხელმარჯვიდან მარცხნივ.




6. დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წრის შუა საპატიო ადგილას აღიმართება, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წრიულად საათის ისრის მიმართულებით.




7. შენობის შესასვლელთან დროშების ნახევარწრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მთავარი შესასვლელის პირდაპირ აღიმართება, შუა საპატიო ადგილას, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის


ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წარმომადგენელი შენობის მხრიდან წრიულად საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.




8. შენობის შესასვლელთან, წარმომადგენელი დაწესებულების მხრიდან მარჯვნივ, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ერთ მწკრივად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მწკრივში აღიმართება ბოლო; ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.



9. შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენელი დაწესებულების ხელმარჯვნივ მწკრივში ბოლო; ყველა სხვა დროშა (სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, ორივე მწკრივში საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.





10. შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს ორი სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენელი დაწესებულების მხრიდან ორივე მწკრივში ბოლო; ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, ორივე მწკრივში საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.




ველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღმართება ზემოთ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

11. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის მიერ მხოლოდ ერთი დროშის აღმართვისას, აღმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა დაწესებულების შენობის წინ და შენობის სახურავზე.




12. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის შენობასთან დროშებისა და ფლაგშტოკების რაოდენობის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) სხვა დროშებთან ერთად აღმართვის და გამოფენის წესი


1. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას ერთი დროშის აღმართვის შემთხვევაში, აღმართება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ.




2. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის მიერ ორი დროშის (ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ) აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წარმომადგენლის ხელმარჯვნივ საპატიო ადგილას, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) წარმომადგენლის ხელმარცხნივ აღიმართება.




3. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელთან ორი დროშის წარმომადგენლის ხელმარჯვნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება საპატიო ადგილას წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში პირველი.




4. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელთან სამი დროშის, ორი ხელმარჯვნივ და ერთი ხელმარცხნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლის ხელმარჯვნივ შუაში.



5. სამი და ხუთი დროშის ერთად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა სხვა დროშებთან (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან (დროშასთან) მიმართებაში შუა ადგილას აღიმართება.




6. ორი სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელი, თითოეული წარმომადგენელი საქართველოს სახელმწიფო დროშით და სახელმწიფო მნიშვნელობის საკუთარი სიმბოლოთი (დროშით): ადგილსამყოფელი დაწესებულების წარმომადგენელი ხელმარჯვნივ საპატიო ადგილს უთმობს სტუმარს. ორივე წარმომადგენელი აღმართავს საქართველოს სახელმწიფო დროშას და იმ დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშას), რომელსაც პირადად წარმოადგენს; ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა მარჯვნივ საპატიო ადგილას აღიმართება.




7. ორი წარმომადგენელი სამი დროშის – საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) აღმართვისას: თითოეული აღმართავს სამივე დროშას და ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელ-

მწიფო დროშა შუა საპატიო ადგილას აღმართება.




8. სამი წარმომადგენელი, თითოეული წარ-

მომადგენელი ერთი დროშით და ერთი საერთო დროშით: თითოეული აღმართავს საკუთარ დროშას და სამივე აღმართავს ერთ საერთო დროშას, ოთხი დროშიდან საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართება რიგით მეორე საპატიო ადგილას.



საქართველოს სახელმწიფო დროშის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთან აღმართვის და გამოფენის წესის სხვა შემთხვევები


1. სახელმწიფო წარმომადგენლების მაგიდასთან ორი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართება წარმომადგენლისგან ხელმარჯვნივ, საპატიო ადგილას.



2. სახელმწიფო წარმომადგენლების მაგიდასთან სამი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართება შუა საპატიო ადგილას.




3. სახელმწიფოს (საჯარო დაწესებულებების) წარმომადგენლების მრგვალ მაგიდასთან შეხვედრისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, მაგიდაზე სხვა დროშების მწკრივში წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მთავარი შესასვლელის პირდაპირ აღმართება, შუა საპატიო ადგილას, ან მრგვალი მაგიდის შუა საპატიო ადგილას, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, საათის ისრის მიმართულებით.




**აღლუმი**

**აღმართული დროშებით მსვლელობისას:**


1. გზის სავალი ნაწილის გასწვრივ აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივში პირველი.



2. გზის სავალი ნაწილის მიმართ აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის და სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით მართობულად მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივში პირველი წარმომადგენლის მხრიდან ხელმარჯვნივ კიდეში.




3. სხვა შემთხვევაში აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით გზის სავალი ნაწილის მიმართ მართობულად მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივის ორივე კიდეში, წარმომადგენლის ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ.




**სტადიონზე**

სპორტული ღონისძიებისას დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა სპორტული არენის მთავარი შესასვლელის პირდაპირ საპატიო ადგილას აღმართება, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წრიულად საათის ისრის მიმართულებით.




**გლოვა**

1. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით არის დაშვებული და აღმართულია ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.






2. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დაშვების წესი: საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.




3. გლოვისას დაშვებული საქართველოს სახელმწიფო დროშის და საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს (დროშის) ჩამოხსნის წესი: ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით დაშვებული და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული დროშა აღიმართება და უკვე



შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება.



4. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) ერთად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება.



5. გლოვისას დროშების გამოფენის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად გამოფენილია შავი ბაფთით.

საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვის და გამოფენის წესი

1. საჯარო დაწესებულება, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) არქონის შემთხვევაში ან მხოლოდ ერთი სიმბოლოს გამოსახვისას, გამოსახავს საქართველოს დიდ ან მცირე სახელმწიფო გერბს სრული სახით, ფერში, ერთ ფერში, ფერისა და მეტალის ჰერალდიკური დაშტრიხვის წესის გამოყენებით.



2. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა) გამოისახება ფერში, კონტურით, ერთ ფერში ან ფერისა და მეტალის გამოყენებით.

საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბის, ემბლემის) გამოსახვა მნიშვნელობის მიხედვით



საქართველოს სახელმწიფო გერბი



ავტონომიური რესპუბლიკის გერბი



მუნიციპალიტეტის გერბი



საჯარო დაწესებულების ემბლემა

1. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბს, ისევე როგორც ყველა სხვა გერბთან, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) მიმართებაში ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) ერთად გამოისახება

სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში.



3. სამი და მეტი კენტი გერბის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვისას, სახელმწიფო გერბი გამოისახება შუაში.



4. ოთხი და მეტი ლუნი საქართველოს სახელმწიფო გერბის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) ერთად გამოსახვისას საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ შუა ადგილიდან პირველი.



დაუშვებელია:

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) საქართველოს სახელმწიფო გერბის ზევით გამოსახვა.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად გამოისახოს საქართველოს სახელმწიფო გერბზე უფრო დიდი ზომის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა).
3. საქართველოს სახელმწიფო გერბის, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვა დაზიანებული სახით.

## სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვის სხვა შემთხვევები

1. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას, ტრიბუნაზე გამოისახება ან საქართველოს სახელმწიფო გერბი ან დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა).
2. ორი სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა) გამოისახება ორივე წარმომადგენლის ტრიბუნაზე.
3. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო გერბი გამოისახება ტრიბუნაზე, ხოლო წარმომადგენლის უკან, ზემოთ გამოისახება სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა), ან პირიქით.




4. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში საქართველოს სახელმწიფო გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, დროშა) გამოისახება წარმომადგენლის უკან, ზემოთ, შუაში.



5. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, დროშა) გამოისახება წარმომადგენლის უკან, ზემოთ, შუაში.



6. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში საქართველოს სახელმწიფო გერბი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) ერთად გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ უკან, ზევით, კიდემი.





უწყებრივი სიმბოლოები

ქართული

Eesti

გარეშე დასვინ სამინისტრო



KESKKONNAMINISTEERIUMI  
INFOTEHNOLOOGIAKESKUS

პოლიცია



KESKKONNAMINISTEERIUMI  
INFOTEHNOLOOGIAKESKUS

საზღვრის დაცვა



KESKKONNAMINISTEERIUMI  
INFOTEHNOLOOGIAKESKUS

Riigikantselei

Riigikantselei

eestikeelne versioon

eestikeelne versioon

Logo kasutatakse eelistatult värvilisena. PNG laiendiga logo kasutatakse veebis ja esitlusslaididel (.ppt)  
Pantone (PMS) värviruumis logo kasutatakse trükkimisel. Kui ei ole võimalik või otstarbekas kasutada Pantone trükki, siis tuleb kasutada neljavärvi trükki (CMYK).  
Kui neljavärvi trükk ei ole võimalik, siis tuleb kasutada musta või valget ühevärvi (Grayscale) logo.



RIIGIKANTSELEI



RIIGIKANTSELEI

Lisa vajalik fail allalaadimise listi

Rasterformaadid

RGB: PNG (mustvalge)

PNG (värviline)

Trükiformaadid

CMYK: AI PDF

PMS: AI PDF

Ühevärviline: PDF AI

Lisa vajalik fail allalaadimise listi

Rasterformaadid

RGB: PNG (mustvalge)

PNG (värviline)

Trükiformaadid

CMYK: AI PDF

PMS: PDF AI

Ühevärviline: AI PDF

მთავრობის კანცელარია  
ქართული ენაზე

Allalaetavad failid (0)

inglisekeelne versioon

inglisekeelne versioon



REPUBLIC OF ESTONIA  
GOVERNMENT OFFICE



REPUBLIC OF ESTONIA  
GOVERNMENT OFFICE

Lisa vajalik fail allalaadimise listi

Rasterformaadid

RGB: PNG (mustvalge)

PNG (värviline)

Lisa vajalik fail allalaadimise listi

Rasterformaadid

RGB: PNG (mustvalge)

PNG (värviline)

მთავრობის კანცელარია  
ინგლისურ ენაზე



უწყებრივი სიმბოლოები

გერმანია

Bundesrepublik Deutschland



Bundesministerium  
des Innern



Bundesministerium  
der Justiz



Bundesministerium  
für Wirtschaft  
und Energie

შინაგან საქმეთა  
ფედერალური სამინისტრო

იუსტიციის  
ფედერალური სამინისტრო

ეკონომიკისა და ენერჯეტიკის  
ფედერალური სამინისტრო



Bundeswehr


ბუნდესვერი

საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო


გერმანულ ენაზე




ფრანგულ ენაზე



ინგლისურ ენაზე



არაბულ ენაზე





უწყებრივი სიმბოლოები

ნიდერლანდები

Nederlands



Rijksoverheid

მთავრობა



Ministerie van Defensie

თავდაცვის სამინისტრო



Ministerie van Infrastructuur  
en Waterstaat

ინფრასტრუქტურისა და წყლის  
რესურსების მართვის სამინისტრო



Ministerie van Economische Zaken  
en Klimaat

ეკონომიკისა და კლიმატის სამინისტრო



Agentschap Telecom  
*Ministerie van Economische Zaken  
en Klimaat*

ტელეკომის სააგენტო



უწყებრივი სიმბოლოები

პორტუგალია

República Portuguesa



GOVERNO DE PORTUGAL

პორტუგალიის მთავრობა



GOVERNO DE PORTUGAL

SECRETÁRIO DE ESTADO DA CULTURA

პორტუგალიის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო



REPÚBLICA PORTUGUESA



ზოგადი განათლების დირექტორატი

პორტუგალიის თავდაცვის სამინისტრო

EDUCAÇÃO



GOVERNO DE PORTUGAL

SECRETÁRIO DE ESTADO DA CULTURA

სახელმწიფო კულტურის სამდივნო



უწყებრივი სიმბოლოები

სლოვაკეთი

Slovakia




GOVERNMENT OFFICE OF THE SLOVAK REPUBLIC

სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის კანცელარია



MINISTERSTVO KULTÚRY SLOVENSKEJ REPUBLIKY

სლოვაკეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო



MINISTRY OF FOREIGN AND EUROPEAN AFFAIRS OF THE SLOVAK REPUBLIC

სლოვაკეთის რესპუბლიკის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტრო

სლოვაკეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო



NATIONAL SECURITY AUTHORITY

ეროვნული უსაფრთხოების უწყება

## SUMMARIES IN ENGLISH

### SEVERAL OPINIONS CONCERNING STATE SYMBOLIC ETERNITY AHEAD!

OTAR CHILADZE

Article by prominent Georgian writer about The State Symbols of Georgia: The State Flag and The State Coat of Arms.

### THE FLAG OF SVANETI - „LOMI“

SARA BARNAVELI

Article by Art Historian about the Historical tribal Flag from Svaneti Region.

### TERRITORIAL HERALDRY IN THE REPUBLIC OF MACEDONIA AND MACEDONIAN TERRITORIAL HERALDIC SYSTEM

JOVAN JONOVSKI

The oldest modern territorial coat of arm in the Republic of Macedonia is the one of the City of Skopje from 1928, which has a landscape composition with the Stone Bridge displaying 4 arches in the centre, as well as a a mountain and part of the city's fortress. Something similar was introduced during the Bulgarian administration during WWII, in 1941. During the 1960s some cities started using "Coats of arms" which were designed after the socialist fashion. By 1970, 8 cities used a coat of arms.

The territorial organization of 1996 acknowledged 123 Municipalities and the capital City of Skopje with a special status. In 2013 it was reduced to 80 plus the City of Skopje. The law regulated at least some aspects of the Municipality Heraldry and Vexillology in the Republic of Macedonia. There is a Register for the Coat of Arms and Flags of the municipalities at the Ministry of Self-Government with no heraldic experts resulting in a high percentage of non-heraldic landscape socialistic "heraldry".

Therefore, the Macedonian Heraldry Society came up with the Macedonian Territorial Heraldic System (MTHS) prescribing three forms of the Arms: small, middle and greater. Greater arms consist of standard MTHS shield, rank crown and a floral wreath. Rank crowns can be rural, urban, of the capital, of a historic capital, and of a municipality within the City of Skopje. The wreath highlights the uniqueness of each municipality.

The flags is in proportions of 2:3 based on the small Arms but not the heraldic banner of Arms, which the Mayor of the municipality uses. Also, there are special ceremonial flags such as gonfalons bearing the arms of the municipality.

MTHS takes care of the preservation and extension of the historical heraldic heritage, and existing arms that are heraldically correct are adapted and included in the system. Existing ones that are partially heraldically correct after a heraldic intervention will be part of the system, but also can be replaced with completely new heraldic arms. And arms that are not heraldically correct cannot be part of the MTHS and as such must be replaced with new, proper heraldic arms.

When creating arms, MTHS requires that the cultural, historical and natural aspects of the development of the armiger are taken into account and shown in a heraldically correct manner.



## QUATREFOIL OR BOLNURI CROSS?

MAIA PATARIDZE

The so-called *Bolnuri* cross can be outlined with four partially overlapping circles of the same diameter. This very intersection creates a decorative element often referred as rosette or quatrefoil.

The above described decoration was so noticeable as an adornment on various artifacts, that scholars rarely took notice of segments beyond its general outline.

However, a gilded cross depicted on the bottom of Chermiskhevi bowl dated to the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. clearly indicates that primary decorative element in this case is the cross, whereas quatrefoil bears only auxiliary, secondary significance.

If we apply the above perspective to 13<sup>th</sup> century. glazed pottery, it will reveal the main motif to be the cross richly decorated with blossoming plants. We believe it is not a random choice of decoration. Artist tries to emphasize the cross with decorative sprouts as the main element of the surface just like it is done on Chermiskhevi bowl – in order to accentuate the cross, it is gilded.

The front of the unique coin minted on behalf of Giorgi IV Lasha depicts a crowning ceremony, whereas the quatrefoil dominates the back of the coin as the primary decorative element dividing a surface into four segments composing a cross. Despite the fact that these segments (or rather, arms of a cross) are neither ornamented nor gilded, they serve a much more valuable function by bearing the following legend: “Giorgi, son of Tamar, sword of Messiah”. The scene of royal coronation and an inscription in Arabic placed on arms of a cross – “Sword of Messiah” – are obviously state propaganda, a clear message to peoples of the Near East reminding them that a Christian king had ascended the throne.

Based on the above evidence, it sounds reasonable to speculate that the unique coin of Giorgi-Lasha, the 13<sup>th</sup> century-glazed bowl and bas-relief of Tsughrughasheni depict the *Bolnuri* cross – the strongest, miracle-working symbol of Christians.

## TEAR-OFF LOTTERY TICKET EMITTED TO SPONSOR THE CONSTRUCTION OF THE CONSTANTINOPLE GEORGIAN CHURCH OF OUR LADY OF LOURDES

ROLAND SPANDERASHVILI, IRAKLI PAGHAVA

Through this article we would like to analyze and publish a short summary of the research we conducted in regard to Georgian bonds. This financial instrument which was arguably the first of its kind in the country was issued in the early 1860s. While, the history of Georgian paper money has certainly been researched previously, new discoveries make it clear that additional subject material still have to be accumulated and catalogued comprehensively. In one of the private collections, we encountered a previously unpublished, and so far unique tear-off ticket of „Loterie pour la Reconstruction de l’Eglise de Notre Dame de Lourdes, des Pères Géorgiens a Férikeuy“. The legends in French, Greek, and Ottoman Turkish indicated that the total production amounted to 10,800 tickets, of 10 piastres each, and that 59 lots of 170 Turkish Livres in total were disposed off, while the production was placed at G. Tubini in Galata. This lottery was held by the fraternity of Georgian Catholics who had fled from the religious oppressions imposed by the Russian imperial authorities (Russian Empire had annexed the most part of Georgia over the course of the 19<sup>th</sup> century). Led by Petre Kharischirashvili, a group of Georgian Catholics moved first to Venice, and later on to Constantinople. The Georgian church was constructed in 1860-1861, where the religious rites were performed in Georgian. In 1861 the fraternity was acknowledged by *Propaganda fide*. P. Kharischirashvili and his associates also established a seminary and typography (having printed more than 200 books). Commercial activities of the Georgian Catholics in Constantinople are particularly noteworthy; Petre Kharischirashvili declared openly his concern for the commercial backwardness of his contemporary Georgian society and desire to facilitate the development of national bourgeoisie, altering the national Georgian mentality. A commercial corporation established by P. Kharischirashvili and its business activities were just one of the actions therefore. The lottery ticket we are discussing reflects yet

another type of commercial activity the Georgian Catholics became involved in. It constitutes unbiased evidence indicating the selfless service in favour of Georgia and the Georgian nation undertaken by the contemporary Georgian patriots acting within the two Empires who had partitioned Georgia.

## GEORGIAN COATS OF ARMS IN EUROPEAN SOURCES OF XVI CENTURY

KLDIASVILI

In the second half of the XVI century, Georgian Christian kings fought against neighboring Ottoman and Persian Kingdoms. This sociopolitical circumstances has to be considered as a main stimulus for reappearance of Byzantine and Christian markings on Georgian Heraldic items.

## „THE SYMBOLS AND ACADEMIC DRESSES OF ILIA STATE UNIVERSITY”

ZACHARY KIKNADZE

The symbols and academic dresses for Ilia State University were created in 2006 when it was established as a merger of six different educational and research institutions. Rectorate contacted me and asked to create a coat of arms and academic garbs for this newly established entity. The rectorate asked me to incorporate the National Flag of Georgia, inscriptions of the three freedoms that lie at the heart of the University: academic freedom, freedom of conscience and freedom of choice in Latin and the motto ribbon with Latin inscription «LIGAMUS» (We Unite). My proposal to create academic dresses based on medieval Georgian costumes was welcomed by the rectorate. Description of coat of arms: Modern French shield divided party per cross. On the first azure field, six silver (white) open books signify the first six original schools of the Ilia State University. Books bear inscriptions of the three freedoms that lie at the heart of the University: academic freedom, freedom of conscience and freedom of choice. The second field bears the Georgian National Flag which signifies the State status of the University. The third field with two half silver and half gules (red) crossed keys of St. Andrew (knowledge keys) signify that the University holds the methods of educations. On fourth azure (blue) field three ermine fur welted gules academic caps signify the past of the two higher education institutions, their merger and the future of the newly formed University. Beneath the shield of the coat of arms, the motto ribbon bears the Latin inscription «LIGAMUS», (We Unite) i.e. the University's aspiration to unite research and education, bring together existing knowledge, creating new understanding and passing it on to students and society. Besides the coat of arms were created the seal, the standard and the gonfalon of the university with coat of arms depicted upon them. Academic dresses: 1. Dress of a bachelor- black gown with openings for arms and black round cap. 2. Dress of a master- long black gown with sleeves is worn under the black coat with opening for arms. Round cap with white fur around its edges. 3. Dress of a Docent (associate professor)- long blue garment is worn under the blue coat with opening for arms. Blue round cap and the coat have white fur around the edges. 4. Dress of a Professor- long blue garment is worn under the red coat with openings for arms. Round blue cap and coat have white fur around the edges. 5. Rector's dress- long red undergarment is worn under the purple coat with openings for arms. Coat has white fur around the edges. Purple hat with triangular cut in front of its is also decorated with white fur.

## GEORGIAN TABLETOP MEDALS (THE SOVIET PERIOD)

IRAKLI PAGHAVA

Modern medal art has evolved from donative / commemorative coinage, which dates back to Ancient times. We know at least one instance of a commemorative coin issued by a Georgian monarch in the Middle Ages. However, medals in a modern sense first appeared in Renaissance Italy in the 15<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries. Due to the loss of state independence of Georgia, the first purely Georgian medals were first issued in the 20<sup>th</sup> century. Nevertheless, some of the foreign (Russian) medals of the 18<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries were related to Georgia and in a sense can also be considered as *Georgian*. Our goal was to classify Georgian medals and establish their chronology, as well as analyze in some more detail perhaps the most eminent, Soviet period of the Georgian medal history.

Seemingly, this is the first work devoted to the phenomenon of Georgian tabletop medals: lack of published data and virtual absence of comprehensive collections constituted substantial obstacles. Nevertheless, some remarkable conclusions could be drawn. We established three major periods within Georgian medal history:

1<sup>st</sup>: The early and preliminary one, when some Georgia-related medals were created in foreign countries (Russian Empire); not a direct ancestor of the Georgian medals of the later periods;

2<sup>nd</sup>: The soviet period; wide spread of the tabletop medal making in Georgia and Georgian society; abundance of Georgian medals minted both in Georgia and at the Leningrad and Moscow USSR mints; rise of the national medallists' pool;

3<sup>rd</sup>: The modern period since regaining independence; due to many reasons, for the time being, the decline of Georgian medal art.

We analyzed only tabletop medals, not sport awards, which were, intended to be suspended. We studied more than 350 medals. Archive data was available only for the medals issued by the central USSR mints. Available literature has been referred to. Valuable information was obtained from the former worker at one of the plants in Tbilisi involved (along with other activities) striking medals locally. Some of the specimens were dated exclusively according to the legends they bore.

We considered *Georgian* all medals either produced in Georgia or by Georgian medallist or related to Georgia / Georgian nation. By *Georgian medallic art* or *manufacturing* we imply the unity of the medallists and technical (incl. personnel) and financial means, both in Georgia and abroad, essential to produce *Georgian medal*. Obviously, we promote the *inclusive* approach to the concept of *Georgian medal*.

In terms of chronology, the Soviet period in the history of the Georgian medallic art is confined by the 1937 medal and 1938 plaque with the effigies of correspondingly Stalin and Shota Rustveli, and the 1991 collapse of the Soviet Union. Most of the soviet Georgian medals were issued in the 1970-1980s.

In terms of provenance these medals can easily be classified into three groups:

1. Minted at the central USSR mints (in Moscow and Leningrad);
2. Minted (or, relatively rarely, cast) (semi-)privately within the Georgian Soviet Socialist Republic;
3. Issued (semi-)privately in other Republics of the USSR.

We favour an alternative classification, which mostly overlaps the previous one (various classes were discussed in much detail):

1. *Official* medals produced / minted at the central USSR mints (in Moscow and Leningrad);
2. *Semi-official* medals produced / minted within the Georgian Soviet Socialist Republic at various plants;
3. *Auteur* medals produced / cast within the Georgian Soviet Socialist Republic.

We also analyzed the technical peculiarities of soviet Georgian medals, like production method, shape and size, metal employed, sharing of (imitating) dies etc.

Their purport thematic diversity was also discussed in much detail, as well as the language of the legends and artistic value of the medals.

We established that these soviet Georgian medals, albeit issued after the independent First Georgian Republic had been forcibly incorporated into what became the USSR, illustrated various achievements of the Georgian nation and served as a certain agent of national aspirations; therefore, they not just constitute peculiar *objets d'art*, but also serve infallibly as a valuable primary source of information on the contemporary events and cultural situation in Georgia.

Further studies, including (but not limited to) composing a comprehensive catalogue of the extant medals would shed more light on the Georgian medallic history.

### **GEORGIAN STATE FLAG BY THE VISION OF THE PART OF GEORGIAN SOCIETY IN 1917**

**NIKO JAVAKHISHVILI**

“Georgia’s Independence Committee”, which was functioning in Berlin during the World War I assumed, that by the help of German’s they could restore Georgia’s statehood.

By the help of German government the Committee established “Georgian Legion” on the territory of Turkey (Lazistan). The establishment and existence of the first Georgian reward – the Order of King Tamar was connected to the above mentioned Committee and Georgian Legion members, who fought on the side of Germans. The holder of the reward could become a person of Georgian as well as German origin, who was not a member of the Legion, but had successfully served German-Georgian military-political alliance mission.

The document issued by the Committee on May 1, 1917 proves that a German diplomat Graff Friedrich-Verner Schulenburg (1875-1944) was awarded with the Order of King Tamar. By the same document it can be also proved how “Georgia’s Independence Committee” versioned Georgian state flag, which would have had red and black horizontal stripes. This type of flag is described by prominent Georgian poet of XII-XIII century - Shota Rustaveli in his poem “The Knight in the Panther’s Skin” as the Georgian flag of that period.